

K 240.023  
3

საქართველოს  
მიწამომართებელი


# სამუშაოს დაზიანების გამოყვანა

## ჟილ ფარი

ამანათნაყრების  
ნარმოება

ხელოვნური  
განაყოფიერება

ფუტკრის სადედე  
რძის მიღება



## ჟილ ფერი

# ფუტკრის დედების გამოყვანა

ამანათნაყრების წარმოება  
ხელოვნური განაყოფიერება  
ფუტკრის სადედე რძის მიღება

თარგმანი მეოთხე ფრანგული გამოცემიდან  
ივანე ნიკოლაძის და თამარ მჭედლიშვილის მიერ

(13)

638.12



Miel. Pollen

Pollinisation dirigée

Sélection. Reines. Essaims

Insemination artificielle

**Gilles FERT**

*Apiculteur Eleveur*

"La Chesnaie" 64300 ARGAGNON - France

Tel: 59676855 Fax: 59 67 69 90

E-mail: [Gilles.Fert@wanadoo.fr](mailto:Gilles.Fert@wanadoo.fr)

Web: [www.apiculture.com/fert](http://www.apiculture.com/fert)

სელექციონერი

ივანე ნიკოლაძე

თბილისი 380077 ნუცუბიძის ქ. 77, ბ.15

ტელ.: 39 55 78, მობ.: 8 99 56 70 00

ელ-ფოსტა: [vano\\_ge@mail.ru](mailto:vano_ge@mail.ru)



გამომცემლობა სანი

ISBN 99928-898-2-9



K 240023

## მეოთხე გამოცავის წინათქმა

უკულ ფერის მიერ 1996 წლის დეკემბერში, მესამედ გამოცემული მონოგრაფია „ფუტკრის დედების გამოყვანა“ უკვე მოძველებულად შეიძლება ჩაითვალოს. მეოთხე გამოცემაში, ისევე როგორც ყოველ წინა გამოცემაში ავტორი მიზნად ისახავს მკითხველს აცნობოს ყოველი სიახლე და წინსვლა რასაც თვითონ შენიშნავს, ყოველნდიურად დედების გამოყვანის მეთოდებში. აგრეთვე იგი ითვალისწინებს იმ შენიშვნებსაც რომელსაც ის იღებს და სიტყვის ან წინადადების ჩამატებით ნათელს ჰქონის მისი ნაშრომის ამა თუ იმ ნანილს, რომელიც შეიძლება ზოგიერთი მკითხველისათვის გაუგებარი იყო. აქვეა სიახლეებიც რომლის შესახებ ინფორმაციას ავტორი სხვადასხვა წყაროებიდან იღებს, ან თვითონ მიემგზავრება მის საძიებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ასე, რომ ევროპის, ავსტრალიის, ჩრდილო თუ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ტექნიკური პროგრესი, დედების გამოყვანის საქმეში, მას, არ რჩება შეუმჩნეველი, და ამ პროგრესს ის გადასცემს თავის მკითხველსაც.

რა დიდი გზა განვლო „ფუტკრის დედების გამოყვანამ“ მისი გამოცემის შემდეგ. ეს იყო 1988 წელს. გამოცემა, რა თქმაუნდა, შეიცავდა ფუტკრის დედების გამოყვანის ძირითად მეთოდებს, მაგრამ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციით შეივსო ის. სახელმომართო „ამანათნაყრების წარმოება“, ან „ხელოვნური განაყოფიერება“. ამ გამოცემაში წინდართულია „ფუტკრის ძირითადი გეოგრაფიული ჯიშები“ სადაც განხილულია სელექციონერების მიერ ფართოდ გამოყენებული ფუტკართა სხვადასხვა ჯიშები.

გამოცემას თან ერთვის, საკმაოდ ვრცელი, ბიბლიოგრაფია, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე. ამრიგად ნაშრომი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების მეფუტკრებს, თავიანთი სურვილის მიხედვით მოიპოვოს სასურველი ინფორმაცია, თავიანთ ქვეყანაში.

ამ წინასიტყვაობის დასრულება შეუძლებელია როგორც დარჩენის ხსოვნის გარეშე, მან იუმორით აღნიშნა, რომ მის წინასიტყვეობებს იცნობდნენ უკილ ფერის „ფუტკრის დედების გამოყვანის“ სამი გამოცემიდან. მან ვერ დაასრულა წინათქმა მეოთხე გამოცემისათვის, თუმცა მოასწრო გაეხსენებინა პირადი მაგალითი: „კინალამ დამავიწყდა, გასულ წელს, მე მას გაუცვალე რამდენიმე დედა ფუტკარი. ისინი შესანიშნავი იყო და მეც არნა-ხული მოსავალი მივიღე“.

როგორც დარჩენი იყო CNRS-ის დირექტორი და პარიზის VI უნივერსიტეტის, ტროპიკული მეფუტკრეობის სკოლის დამაარსებელი. იგი იყო ავტორის ერთგული მეგზური მსოფლიოს გარშემო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მისი, როგორც მკვლევარის, ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში.

ვ. შვანი  
 OPIDA-ს პრეზიდენტი  
 1999 წ. თებერვალი

# მესამე ფრანგული გამოცავის ცინათქმა

როგორც კოლეგას მეშემიძლია წარმოვიდგინო ჩემი მეგობრის, უილ ფერის კმაყოფილების გრძნობა, მისი წაშრომის ხელმეორედ გამოქვეყნების გამო.

**მაგრამ რა კმაყოფილების გრძნობა?**

რა თქმა უნდა არა სიხარბე, გამოწვეული ახალი გამოცემით მიღებული ისედაც მცირე შემოსავლით. მისი კმაყოფილების გრძნობა გამოწვეული იყო იმით, რომ მისმა წაშრომმა მოიპოვა დამსახურება იმ საქმეში, რომ-ლისთვისაც ის იყო შესრულებული.

სინამდვილეში, მისი მსოფლიოში მოგზაურობის დროს, როცა ის აგროვებდა მრავალმხრივ ცოდნას, ზრუნავდა თავის მომავალ წაშრომზე, სიმდიდრეზე, რომელსაც იგი გასცემდა თავის გარშემო მეფუტკერეობის სამყაროში. როცა ის დაბრუნდა, აღმოჩნდა გულგატებილი. მისი მომავალი არ წარიმართა ისე, როგორც მას ჰქონდა წარმოდგენილი. ის გახდა მეფუტკერე, თაფლის ყვავილის მტკვერის და ფუტკრის დედების მწარმოებელი.

მაგრამ, ასეთი დიდი ცოდნა არ შეიძლებოდა უქმად შენახულიყო. მას თხოვეს დაენერა ეს ნიგნი, ფუტკრის დედების გამოყვანის შესახებ. ის ას-ნავლის სასოფლო სამეურნეო კოლეჯში. ის კითხულობს ლექციებს როგორც საფრანგეთში ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის ამზადებს მოსწავლეებს როგორც საფრანგეთში ასევე საზღვარგარეთ. ამჟამად ის არის პარიზის VI უნივერსიტეტთან არსებული ტროპიკული მეფუტკერეობის სკოლის აქტიური მონაწილე.

და მე არავითარ შემთხვევაში არ მსურს შევზღუდო მხოლოდ ამ ატრიბუტებით, ამ საუკეთესო ექსპერტის დახასიათება.

პო მართლა... კინალამ დამავიწყდა! გასულ წელს, ზოგიერთი ჩემი ფუტკრის დედა გავცვალე მის ფუტკრის დედებში. მათი ხარისხი იყო უმაღლესი და მოსავალიც უმაღლესი მივიღე.

## როგორ დარჩენი

ყოფილი სამეცნიერო დირექტორი  
 პარიზის უნივერსიტეტის ტროპიკული  
 მეფუტკერეობის სკოლის თანა-დამარსებელი.

## ცინათქმა

ფუტკრის დედების გამოყვანა, უეჭველად, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეფუტკრეობაში წარმატების მისაღწევად. ყოველ მეფუტკრეს მტკიცედ უნდა სჯეროდეს, რომ თაფლის პროდუქტიულობა მჭიდრო კაბშირშია დედების განახლებასთან. ეს ხდება ორი ძირითადი მიზეზის გამო: (1) ახალგაზრდა დედა ჰქმნის ძლიერ ოჯახს და (2) მისი არსებობა საგრძნობლად ამცირებს ნაყრიანობას.

ყოველნიური, ან ყოველ შემთხვევაში, დედების რეგულარული ცვლა, წარმატების სანინდარია პროდუქტიულ მეფუტკრეობაში.

კარგი ფუტკრის დედების გამოყვანა მხოლოდ მცოდნე მეფუტკრეს შეუძლია. მაგრამ, ინდივიდუებს ვისაც დედების გამოყვანა სურთ, შეუძლიათ ადვილად შეარჩიონ კარგი მედედე, იმავე ხაზზე, რომლის დედები შეგუებულნი არიან მოცემულ რეგიონთან, რომლებთანაც მათ შეეძლებათ, ნლის მოცემული მომენტისათვის, გაცალონ ახლადგამოყვანილი დედები.

ამ საკითხებთან გაცნობილი ბევრი მეფუტკრე, იქნება ის დიდი თუ მცირე ბიზნესმენი, შესაძლოა ფიქრობს, რომ დედების გამოყვანა არის საკმაოდ ძნელი საქმე. ეს აზრი მოითხოვს დაზუსტებას და ამისათვის ამ მეფუტკრეებმა უნდა ნაკითხონ ჟილ ფერის ეს პატარა ნიგნი. ის დაწერილია კარგი მეფუტკრის მიერ, რომელსაც გამოჰყავს ფუტკრის დედები როგორც თავისთვის ასევე სხვისთვის.

ეს ნიგნი არის მარტივი, ლაკონური და სრულყოფილი. ის იძლევა მსოფლიოში დაგროვილი ცოდნის შეძენის შესაძლებლობას. თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა თანდათანობით სრულყოფილი გახადოთ თქვენი ჩვევები ამ სასარგებლო საქმეში, სრული წარმატების მისაღწევად.

მეითხველს მიეცემა შესაძლებლობა შეისწავლოს პირველი ნაბიჯები, ფუტკრის დედების ხელოვნური, (ინსტრუმენტალური) განაყოფიერების საქმეში და თუ ისინი ისურვებენ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას, შეუძლიათ ისარგებლონ თანდართული ბიბლიოგრაფიით, ამ საკმაოდ ძნელი საკითხების შესახებ.

ამ პატარა ნიგნი მოცემულია ერთი თავი ფუტკრის ამანათნაყრების შესახებ. თუმცა ეს ტექნიკა ამჟამად ნაკლებად ვითარდება ევროპაში. სასარგებლოა გავეცნოთ მას ჟილ ფერის თვალსაზრისით.

ეს ნიგნი, უმთავრესად, განკუთვნილია მეფუტკრისათვის, ვისაც სურს ცოტა ან ათასობით ფუტკრის დედების გამოყვანა. მე განვიცადე დიდი სიამოვნება ამ ნიგნის წაკითხვისას და დარწმუნებული ვარ თქვენც ასევე მოგენონებათ ის. თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს ნიგნი დაგეხმარებათ მომგებიანი მეფუტკრეობის წარმოების საქმეში.

რაიმოდე გონია  
აპიმონდიის პრეზიდენტი

# სარჩევი

მიმოხილვა გამოცემის წინათქმა	3
მისამართი ფრანგული გამოცემის წინათქმა	4
წინათქმა	5
შესავალი	9
<b>ფუტკრის პირველი, რომელიც გამოიყენება ეპიროვანი გარემონდების შესახებ</b>	11
Apis mellifera L.: ეგრეთ წოდებული შავი ანუ ადგილობრივი ფუტკარი	12
Apis mellifera ligustika S.: ეგრეთ წოდებული იტალიური ანუ ყვითელი ფუტკარი	12
Apis mellifera caucasica G.: ეგრეთ წოდებული რუხი ფუტკარი	13
Apis mellifera carnica P.: ეგრეთ წოდებული კარნოლიური ფუტკარი	14
Apis mellifera sabariensis B.: საპარის ფუტკარი	15
Apis mellifera cecropia K. & macedonica R.: ბერძნული ფუტკარი	16
შევევარება	16
<b>გაუნაყოფილობები დაღების გამოყვანა</b>	18
სანაშენე რეზაბის შერჩევა ანუ სელექცია	18
საჯიშე რეზაბების მომზადება	22
მასტიმულორებელი კვება	23
<b>გამომავლი ბარტყის ჩარჩოების დამატება</b>	28
სადედე უჯრედების დამზადება	28
– უდედო ფუტკრის რეზაბი – ადვილი გადაწყვეტა	28
ბუნებრივი უჯრედების გამოყენება, დედის მოძებნის გარეშე	29
სადედების დიდი რაოდენობით მიღების მეთოდი	30
1) მიღების მეთოდი	30
2) ალფის მეთოდი	32
3) დულიტლის მეთოდი (ჭუპრების გადაწყვეტა „მყნობა“)	32
სადედე ჯამშიანი თამასების მომზადება	33
სანთლის სადედე ჯამშიბის დამზადება	33
თამასებიანი და საკუებურიანი ჩარჩოები	34
შეგუება	37
სასტარტო ფუტკრის რეზაბების მომზადება	38
დახურული სტარტერი	38
ლიასტარტერი	40
სანაყრე ყუთი	45
სანამყენე ჭუპრიანი ჩარჩოების შერჩევა	46
ჭუპრის გადაყვანა ანუ „მყნობა“	48
ორმაგი მყნობა	51
ჭუპრის გადაწყვეტა ცილინდრული მკვეთით	52
აღმზრდელი რეზაბი (ფინიშიორი)	55

ჰორიზონტალური სკა აღმზრდელი ოჯახისათვის	56
ვერტიკალური სკა აღმზრდელი ოჯახისათვის	60
ინკუსტორები	62
ხელოუნიური ინჟინერორი ანუ სადედე უჯრედების გამომჩეული	62
ბუნებრივი ინკუსტორი	63
<b>ფუტკრის დედების განაყოფილება</b>	66
გამანაყოფიერებელი სკების შერჩევა	66
მამალი ფუტკრების მნიშვნელობა და მათი გამოყვანა	67
სამამლები ბანკები	69
ნუკლეუსები	71
ნუკლეუსების შედგენა და მოვლა	73
სადედების ამოკრეფა და ნუკლეუსებში შეყვანა	76
'ორდედიანი' სისტემა	78
<b>დედების გამოყვანა</b>	79
დედების მოძებნა	79
დედების მარკირება	80
თავდასხმები	82
სატრანსპორტო გალიები	83
დედების შესანახი სკები	85
დედების შეყვანა ახალ ოჯახებში	87
დედები	91
კალენდარი დედების გამოყვანისათვის	92
<b>ფუტკრის დედების გამოყვანა – დასკვები</b>	94
<b>ამანათნაყრების წარმოება</b>	96
ამანათნაყრების მომზადების მეთოდი	96
აუცილებელი მოწყობილობა	96
ფუტკრების შეგროვება	98
სკების მომზადება	98
ამანათნაყრების შეგროვების მეთოდი	99
შეგროვილი ფუტკრების ტრანსპორტირება	101
<b>შეგროვილი ფუტკრების განაყოფილება</b>	103
გასაგზავნი ყუთების მიღება და ამანათნაყრების ჩანაცემი	107
ამანათნაყრები – დასკვები	109
ზოგიერთი პრობლემები	109
მაგრამ ბევრი უპირატესობა	109
<b>ხელოუნიური განაყოფილება</b>	111
შესავალი	111
გამოყენება	111
ლაბორატორია	112
მოწყობილობანი	113
– მიკროსკოპი	113
– ნახშირორჟანგი	113
– დამატებითი მოთხოვნილებანი	114
სასქესი ორგანოების ანატომია და ფიზიოლოგია	115
სპერმის შეგროვება	116
განაყოფიერების ტექნიკა	118

ფუტკრის დედის სასქესო ორგანოს გახსნა .....	119
ხელოვნური განაყოფიერება: დასკვნა .....	123
<b>დამატება</b> .....	<b>124</b>
სადედე რძის წარმოება .....	124
საფუტკრის შერჩევა .....	125
ფუტკრის ოჯახის შერჩევა ჭუპრების გადასაწერვად .....	126
ბარტყის კვება .....	127
მოწყობილობის მომზადება .....	129
განემანის ბადე .....	130
ჭუპრების გადაწერვა ანუ მყნობა .....	131
სკის მოწყობა .....	133
საწყისი მომსახურეობა .....	133
კონსპექტი კალენდარი .....	134
სადედე რძის ამოღება და მისი შენახვა .....	135
დასკვნა .....	136
<b>პიბლიოგრაფია</b> .....	<b>137</b>
მისამართება:	140

## შესავალი

პროდუქტიულობის მიზნით მეფუტკრეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სელექციას. ფუტკრის დედების ხელოვნური განაყოფიერება ხელს უწყობს სელექციის საქმეს და ზრდის გამრავლების ეფექტიურობას. ეს თავის მხრივ იძლევა მეტი მოსავლის მიღების შესაძლებლობას.

ჩვენ ვიცით, რომ ფუტკრის ოჯახი არის ერთი დედა, ათიათასობით მუშა და დაახლოებით ათასამდე მამალი ფუტკარი აქტიური სეზონის პერიოდში.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დედა ფუტკრის არსებობას, შემდეგი მთავარი მიზეზის გამო: ის ყოველი ინდივიდის დედაა ფუტკრის ოჯახში, და თავისი ცხოვრების რამდენიმე წლის განმავლობაში (მაშინ როდესაც მუშა ფუტკრები ცოცხლობენ რამდენიმე კვირა, ღალიანობის პერიოდში), დედა უზრუნველყოფს მათ უნივერტ განახლებას. ამ გზით ის ხელს უწყობს ფუტკრის ოჯახის ცხოვრების ხანგრძლივობას, რომელიც, სხვაგვარად, ძალიან მაღალ დაილუპებოდა. ის აგრეთვე მუშა ფუტკრებს გადასცემს თავის გენეტიკურ მახასიათებლებს.

დედის არყოფნა სერიოზულად არღვევს მუშა ფუტკრების შრომისუნარიანობას. მათი ყოფაქცევა მკვეთრად იცვლება დედის გარეშე. ეს ხდება მხოლოდ დედის გამო, რადგან ის გამოჰყოფს სადედე ნივთიერებას, რომელსაც ფერომონი ენოდება და ის საჭიროა ოჯახის ერთად შესაკრებად. მთავარი მახასიათებლები, რომელსაც ყურადღებას აქცევს მეფუტკრე, არის დამოკიდებული დედებზე (და აგრეთვე მათ გამნაყოფიერებელ მამალ ფუტკრებზე). ესენია: თაფლის პროდუქტიულობა, ბარტყის ხარისხიანობა, უხვფუტკრიანობა, მცირე ნაყრიანობა, ნინააღმდეგობის უნარი დაავადებათა მიმართ, აქტიურობა მცირე ღალიანობის დროს, თვინიერება, დინდგელის დაბალი პროდუქტიულობა, სანთლის ხარისხიანობა, საკვების მომარაგების უნარიანობა და სხვა.

სელექციის თანამედროვე მეთოდები შესაძლებელს ხდის უზრუნველყოს პროდუქტიულობა: თაფლის, სადედე რძის, ყვავილის მტვერის და დამტვერიანებისა.

მეფუტკრები უფრო მეტად და მეტად რნმუნდებიან ახალგაზრდა დედების გამოყენების ეფექტურობაში. ფუტკრის მთაბარობა ასუსტებს დედებს. და, ამის გამო, აუცილებელი ხდება მათი განახლება, უფრო ხშირად ვიდრე ის საჭირო იყო ტრადიციული მეფუტკრეობის დროს.

ფუტკრის დედების სელექცია შესაძლებელია პროფესიონალური მედედების მიერ. მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ბუნებით ცნობისმოყვარე მეფუტკრეები მოისურვებენ შეისწავლონ, ამ წიგნში აღნერილი მეფუტკრეობის ეს დარგი.

როგორც ჩვენ დავინახავთ, ჩვენი ნარმოდგენის საპირისპიროდ,

ფუტკრის დედების ხელოვნური განაყოფიერება, შესაძლებელია ყოველი ჩვენგანისათვის. აქ აღნერილია რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც შეგვიძლია შევარჩიოთ ჩვენი სურვილის, მეფუტკრეობაში ჩვენი დონისა და შესაძლებლობის მიხედვით, გამოსაყვანი დედების რაოდენობის შესაბამისად.

სადედე უჯრედების მიღების ზოგიერთი მეთოდი, შეიძლება მოიძებნოს სპეციალურ ლიტერატურაშიც. ყველა ამ „რეცეპტებს“ შორის შეგიძლიათ შეარჩიოთ ის, რომელსაც თქვენ თვლით შესაფერისად. 1888 წელს აღნერილი PERRET-MAISONNEUVE-ს მიერ, და გამოყენებული 1915 წელს G. M. DOOLITTLE- ს მიერ, არის აქამდე ხშირად მოქმედი მეთოდი, რომელიც იხმარება მთელს მსოფლიოში პროფესიონალი მეფუტკრების მიერ. დულიტლის მეთოდში გამოყენებულია ახლადგამოჩეული ბარტყის გადანერგვა სადედე ჯამში, რომელსაც ‘მყნობა’ ენოდება. ასეთი, საქმაოდ ფაქიზი ოპერაციის ჩატარება შეიძლება მიუწვდომელი გახდეს, ზოგიერთი მეფუტკრისათვის, ვისაც აქვს ცუდი მხედველობა ან შეზღუდული ფიზიკური მოქნილობა. ამის გამო აქ დეტალურად აღნერილია ცილინდრული საჭრისი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას თავის ფუძიანად ამოვევეთოდ ახალგაზრდა ჭუპრი. დედების გამოყვანის უმნიშვნელოვანესი პირობა არის ის, რომ რაც შეიძლება დავაკმაყოფილოთ ფუტკრების ქცევის ბუნებრივი პირობები, რომელიც, დედების გამოყვანის დროს, წარმატების სანინდარია.

ამ წიგნში აღნერილი ტექნიკა განკუთვნილია, უფრო მეტად, იტალიური (*ligustika X mellifera*) ან სუფთა ჯიშის კავკასიური (*caucasica*) ფუტკრებისათვის, იმ ქვეყნებში, რომელთა განედები დაახლოებით ემთხვევა მექსიკის, ახალი ზელანდიის ან სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის განედებს. მაგრამ, ნაკლებად ხელსაყრელი გარემოსა და სხვა ჯიშის ფუტკრების შემთხვევაში, უნდა შევძლოთ ეს მეთოდები მივუსადაგოთ ფუტკრების ქცევას. მაგალითად, ცნობილია, რომ *mellifera x mellifera* ანუ შავი ფუტკარი, ხშირად დედის გამოყვანისას, წარმოქმნის პრობლემებს მეფუტკრის წინაშე, გარემო პირობებთან დაკავშირებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ყოველი განაყოფიერებული კვერცხიდან მიიღება დედა. ბუნებრივ პირობებში, სადედე უჯრა, მომზადებული ნაყრობისათვის ან, იმ შემთხვევაში როცა არსებული დედა დაბერდა, შეიძლება არ იყოს კარგი ხარისხის ან შემთხვევით შეიძლება დაიღუპოს.

ეს გარემოება კარნახობს მეფუტკრეს გამოიყვანოს ახალი დედები, ახლადგამოჩეკილი, სამუშე ჭუპრისაგან. განაყოფიერებული კვერცხიდან მიღებული ჭუპრის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ იყო ის გამოკვებული (საკვებით და სხვა ქიმიური ნივთიერებებით ის მარაგდება სადედე და შემდეგ აღმზრდელი ოჯახიდან).

# ფუტკრის ჯიშები, რომელიც გამოიყენა ევროპაში


**თ**ანამედროვე მეფუტკრეობა, პროფესიონალი მეფუტკრეებისაგან, მოითხოვს ზრუნვას მრახდინოს დაკვირვება ფუტკრების ყოფაქ-ცევაზე იმისათვის, რომ დადგენილ იქნას განსხვავება სხვადასხვა გე-ოგრაფიულ ჯიშებს შორის.

თანამედროვე პერიოდში, ადამიანის ინტერვენციის შედეგად, *Apis mellifera*-ს შეიძლება შევხვდეთ არქტიკული სარტყელიდან სამხრეთ აღ-მოსავლეთ აფრიკის ყურემდე.

ყოველი მეფუტკრეობის სეზონის დროს, მილიონბით ფუტკრის დედები ფოსტით იგზავნება, როგორც თაფლის მნარმოებლების, მუდ-მივად მზარდი მოთხოვნილების გამოძახილი. ანგლო-საქსელი მეფუტკრეების, დაახლოებით 50% ყიდულობს სელექციურ დედებს მედედე-ებისაგან. შეერთებული შტატები ანარმოებს ორ მილიონზე მეტ ფუტკრის დედას ყოველ წელიწადს. საფრანგეთში მეტი და მეტი მეფუტკრეები ინყებენ სელექციური ფუტკრის დედების გამოყვანას. მათი უმ-რავლესობა ადგილობრივი ჯიშისაა, მაგრამ, იზრდება საზღვარგარე-თიდან შემოყვანილი ჯიშები და აგრეთვე პიბრიდებიც.

რაც შეეხება კრიტერიუმებს სელექციისათვის ჩვენ მათ ჩამოვთვ-ლით, მათი მნიშვნელობის კლებადი მიმდევრობის მიხედვით:

- თაფლის პროდუქტიულობა,
- ფუტკრის დედების პროდუქტიულობა (ერთი სეზონისათვის მა-ინც),
- ნინააღმდეგობის უნარი დაავადებათა მიმართ,



ფუტკრის ძირითადი ჯიშების გეოგრაფიული განაწილება *Apis mellifera* ხმელთაშუა ზღვის აუზში (PEYVEL, F. RUTTNER, 1994).

- ნაკლებად აგრესიულობა,
- გამძლეობა ზამთარში,
- ნაყრიანობისადმი ნაკლები მიღრეკილება,
- და ბოლოს დედების ფასი, მათვის, ვინც მას იძენს მედედებისაგან.

## ***Apis mellifera mellifera L.: ეგრეთ წოდებული შავი ანუ ადგილობრივი ფუტკარი***

ეს არის ფუტკარი რომელიც გამოიყენება უმთავრესად საფრანგეთში და ესპანეთში. სადაც ის არაა გენეტიკურად ძალიან გაჭუჭყიანებული სხვა ჯიშებისაგან, რომლებიც მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნებიდან. ის საქმაოდ კარგადაა შეგუებული თავის რეგიონთან, მით უმეტეს, რომ გარემო არაა ძალიან გაუარესებული.

მისი დამახასიათებელი დადებითი თვისებებია:

- გამძლეობა,
- საერთო გამძლეობა დაავადებათა მიმართ მიუხედავად იმისა, რომ ის მგრძნობიარეა სოკოვან დაავადებათა მიმართ,
- თავისუფალი დაზამთრებისაკენ მიღრეკილება,
- ადაპტაციის უნარიანობა.

მისი უარყოფითი თვისებებიდან აღსანიშნავია:

- ნაყრიანობისადმი ტენდენციას ამჟღავნებს გარკვეულ გარემო პირობებში,

- ცუდად ფორმირებული ფიჭის დამზადება,

- ჭარბი აგრესიულობა,

- მოკლე ხორთუმი (6,3 მმ), რაც ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია კარგად იმუშაოს ისეთ თაფლოვან მცენარეებზე როგორიცაა აკაცია, ლუცერნა და სხვა.

- ფუტკარის ოჯახი ძნელად იღებს დედას მზესუმზირას და ლავანდას ყვავილობის დროს.

ეს ფუტკარი, როგორც ჩანს, ამ სხვადასხვა მიზეზების გამო, იდეალურია აქტიური მეფუტკერებისათვის, სადაც, ფუტკარის ოჯახების დამუშავებისათვის იხარჯება მინიმალური დრო.

## ***Apis mellifera ligustika S.: ეგრეთ წოდებული იტალიური ანუ ყვითელი ფუტკარი***

იქნება ის წმინდა იტალიური თუ შეჯვარებული ფორმით, ეს არის ფუტკარი რომელსაც ფართოდ იყენებენ თანამედროვე მსოფლიოში.

მაგალითად ავსტრალიაში 75,3% არის იტალიური ფუტკარი, მაშინ როცა კავკასიური ჯიში არის, მხოლოდ, 11,2%, კარნიკა 1,4%. საფრანგეთში მას ირჩევს მეფუტკრეების 19,4%. სამაგიეროდ, ის ფიგურირებს 39,7% ნაჯვარში (F. JEANNE). შეიყვანეს რა ისინი, დაახლოებით 20 წლის ნინათ ჩინეთში, თანდათან ცვლის ადგილობრივ ჯიშს – *Apis cerena*-ს, ასე, რომ დღეს ამ ჯიშის ჩანაცვლების დონე შეადგენს, დაახლოებით, 60%-ს. სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებიც ანარმობენ დიდი რაოდენობით სადედე რძეს, იყენებენ, უმეტეს შემთხვევაში, ამ ჯიშის ფუტკარს.

1950 წელს, ისრაელმა მეფუტკრეებმა დაიწყეს, თავისი, ადგილობრივი ფუტკრის ჯიშის – *Apis mellifera syriaca*-ს სისტემატიური შეცვლა იტალიური ჯიშის ფუტკრით. ამან მისცა მათ შესაძლებლობა, ენარმოებინათ თითოეული ოჯახიდან, საშუალოდ 53 კგ თაფლი სეზონში, დროის იმავე შუალედში ნაკლები შრომის დახარჯვით (ROSETHAL, 86). ევროპის ყველა ფუტკრის ჯიშებს შორის ლიგუსტიცა არის ის, რომელსაც უჭირავს ბუნებრივი განანილების უმცირესი არე, როგორიცაა ალპები და ზღვისპირეთი.

მისი დადებითი თვისებებია:

- თვითი ერება,
- უხვბარტყყიანობა (იდეალური ფუტკარი ამანათნაყრების წარმოებისათვის),
- ბარტყის ძალიან ადრე განვითარება.

თუმცა ის:

- ტენდენციურია თავდასხმებისადმი,
- მერძნობიარეა ავადყოფობების მიმართ,
- ძნელად იზამთრებს ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში,
- ტენდენციურია ნაყრიანობის მიმართ.

*mellifera*-ს მამლებთან შეჯვარების შემდეგ მისი შთამომავლობა შეიძლება იყოს ძალიან აგრესიული.

## *Apis mellifera caucasica* G.: ეგრეთ წოდებული რუხი ფუტკარი

მთარგმნელები შევნიშნავთ, რომ ეს იგივეა რაც ქართული ფუტკარი. კავკასიის მთებში წარმოშობილ ამ ფუტკარს აქვს ძალიან ბევრი კარგი თვისებები. ის არ არის 'ეფექტური' ფუტკარი, მაგრამ, სეზონის ბოლოსათვის, ის აგროვებს თაფლის საგრძნობლად დიდ მოსავალს, მეუტკრის მიერ მინიმალური შრომის დახარჯვის შემდეგ.

თუმცა ფერი არ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს, თითქმის

ყვითელი კავკასიური ფუტკარი შეიძლება აღმოვაჩინოთ სომხეთის სამხრეთ ნაწილში. *Gerstacker*-ი ახდენს მის კლასიფიკაციას და უნოდებს მას *Apis mellifera remipes*.

კავკასიური ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენადმე მეტია ვიდრე ყველა სხვა ჯიშისა.

მისი დადებითი თვისებებია:

- თვიზიერება,
- ადრეული ბიოლოგიური ციკლი ვიდრე შავი ფუტკრებისათვის,
- გრძელი ხორთუმი (7მმ), რომელიც დიდ როლს ასრულებს აკაციის და ლუცერნის ყვავილობის დროს,
- პროპოლისის, შედარებით, დიდი პროდუქტიულობა,
- კარგი დაზამთრების უნარიანობა.

მისი უარყოფითი თვისებებია:

- ის აგროვებს ძალიან ბევრ პროპოლისს, რაც სიძნელეს უქმნის იმ მეფუტკრეებს, რომლებიც იშვიათად ხსნიან სკებს,
- მგრძნობიარობა ნოზემის მიმართ.

## *Apis mellifera carnica* P.: ეგრეთ წოდებული კარნოლიური ფუტკარი

ამ ჯიშის სამშობლოა ბალკანეთის ნახევარკუნძული. მისი DNA – მიტოქონდრიის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ის ძალიან ახლო-საა *ligustica*-სთან, მიუხედავათ მათი ბიოლოგიური სხვაობისა.

ფერით ის ჰერც კავკასიურ ფუტკარს. მამალი ფუტკრები შავია და რუხი ჯაგარითაა დაფარული. გერმანიაში მას საუკუნეზე მეტია რაც ამრავლებენ.

მისი საუკეთესო თვისებებია:

- ის ადვილად ეგუება კლიმატს,
- ის ისევე აგროვებს ყოველგვარი ყვავილის ნექტარს, როგორც მანა თაფლს,
- ის არის განსაკუთრებით დამჯერე ფუტკარი (მიუნჰენში არის დაახლოებით 1000 მოყვარული მეფუტკრე, რომელთაც ჰყავთ 10 000-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი, განლაგებული ბალებში, სახურავებზე და გარაფებზე),
- სწრაფად ვითარდება გაზაფხულზე,
- ის იზამთრებს კარგად, მთავორიან ზონებში, ბარტყიანობის შეზღუდვით ექვსი თვით,
- საკვებ მარაგს ის ინახავს ბარტყიან ახლოს,

– დედის კვეცხდების და ნექტარის მოზიდვის რითმი ერთმანეთთან თანხმობაშია,

– ნაკლებად ტენდენციურია გუნდის შეკვრის მიმართ,

– აგროვებს ცოტა დინდგელს,

– შედარებით ნაკლებად ტენდენციურია ბარტყის დაავადების მიმართ.

მისი უარყოფითი თვისებებია:

– მას აქვს ნაყრიანობისადმი გადაჭარბებული ლტოლვა,

– აქვს მკვეთრად გამოხატული ტენდენცია თავდასხმებისადმი, უღალო პერიოდში, რაც დიდ პრობლემებს ჰქმნის მედედებისათვის,

– ის არაა ფიჭის კარგი მშენებელი ზემოალნერილ ჯიშებთან შედარებით.

კარნიკას მამალი ფუტკრები ახდენენ სხვა ჯიშის ფუტკრების განაყოფიერებას, რაც იძლევა საუკეთესო შედეგს. სამაგიეროდ, კარნიკას დედის შეჯვარება შავ მამალ ფუტკართან იძლევა ჰიბრიდს, რომელიც ტენდენციურია ნაყრიანობის მიმართ.

ანგლო-საქსელ ქვეყნებში იყენებენ მეტ და მეტ კარნიკას ნაჯვარს სხვა ფუტკრებთან.

## *Apis mellifera sabariensis B.: საპარის ფუტკარი*

1921 წელს BANDENSPERGER დააკვირდა ამ უცნაურ ფუტკარს. ეს ფუტკარი, რომელიც გეოგრაფიულად ბინადრობს ტაფილალეტის რეგიონის უდაბნოსა და ატლას-ს შორის სრულიად განსხვავებულია intermissa-საგან, რომელიც უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობს და adansonii-საგან, რომელიც უფრო სამხრეთით ცხოვრობს.

P. HACCOUR-ის თვალსაზრისით (1961 წ.), ებრაელ ემიგრანტებს უნდა შემოეყვანათ ეს ფუტკარი ახლო აღმოსავლეთში, 2 000-ზე მეტი წლის წინათ, და შემდეგ, ოაზისების თავისებურმა კლიმატურმა და ვეგეტაციურმა გარემომ, გამოინვია ევროლუცია, რითაც მივიღეთ დღევანდელი საპარის ფუტკარი. იგი კარგად ეგუება ნებისმიერ ტემპერატურას რომელიც მერყეობს 0-50°C-მდე 700 მ სიმაღლეზე. ოაზისების მიხედვით ამ ფუტკარის ფერი იცვლება მუქ ყვითლიდან მუქ ყავისფრამდე. იგი ოდნავ უფრო პატარაა ვიდრე იტალიური ფუტკარი. მისი დადებითი თვისებებია: დაზამთრება შეუძლია ძალიან კარგად, იგი საკმაოდ თვინიერია, მას აქვს საკმაოდ გრძელი ხორთუმი (7,5-8,0 მმ-მდე), თაფლის მოსამზადებლად ის იყენებს საკმაოდ დიდ არეალს, 5 კმ-ზე მეტი რადიუსით, მისი ნაყარი საკმაოდ კომპაქტურია. მისი უარყოფითი თვისებებია: ნაყრობისადმი დიდი მიდრეკილება, თუმცა ეს თვისე-

ბა ადვილად შეიძლება დარეგულირდეს მისი სხვა ფუტკართან შეჯვარებით, მას ცუდათ შეუძლია ფიჭების ხანგრძლივად შენახვა და დაცვა. საპარის ფუტკრების მამლები ხშირად გამოიყენება შეჯვარებისათვის მაგალითად ასე მიიღება ბაკფასტის ცნობილი ჰიბრიდი.

## *Apis mellifera cecropia K. & macedonica R.: ბერძნული ფუტკარი*

INFANTIDIS (1979) მიერ აღნერილ იქნა ეს ორი გეოგრაფიულად კონტაქტში მყოფი ფუტკრების პოპულიაცია ისე, რომ არ მომხდარა რაიმე შერევა მათ შორის. | ფუტკრებს შევხვდებით პელოპონესიდან ეპირემდე, ხოლო II-ს ატიკიდან სერბიამდე, ბულგარეთსა და უკრაინამდე. ეს ფუტკრები განსაკუთრებულად კარგად ეგუება ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ფლორასა და კლიმატს. *Macedonica* არის შავი და უფრო პატარა ფუტკარი, ვიდრე *cecropia*. მისი მუცელი უფრო ნაზია ვიდრე სხვა ევროპული ჯიშის ფუტკრებისა. სამაგიეროდ *cecropia* არის *carnica*-ს ზომისა. მისი მუცელი არის უფრო დიდი ვიდრე ყველა სხვა ევროპული ჯიშის ფუტკრისა. ის შეიძლება შევადაროთ მაგალითად *Apis cerana*-ს.

მისი დადებითი თვისებებია: ნაყოფიერება, თვინიერება და კომპაქტური ნაყარი. მისი უარყოფითი თვისებებია: ფიჭის არარეგულარული აშენება, დინდგელის დიდი რაოდენობით დაგროვება და ჭარბი მკრძნობიარობა ნოზემატოზის მიმართ.

## შეჯვარება

აღნერილი გეოგრაფიული ჯიშების უმრავლესობა იხმარება შეჯვარებისათვის. ჰიბრიდის ენერგია ანუ ჰეტეროგენი, მიღებული შეჯვარების შედეგად, იძლევა მოსავლის მკვეთრი ზრდის შესაძლებლობას, მხოლოდ პირველი გენერაციის შემდეგ. ცნობილი საუკეთესო ნაჯვარი არის, უეჭველად, ბუკფასტის ფუტკარი. ეს ჯიში გამოყვანილ იქნა ძმები ადამების მიერ, სამხრეთ ინგლისში. ის აერთიანებს ლიგუსტიკა და მელლიიფერა ფუტკრების თავისებურებებს. ეს

ნაჯვარი გამდიდრებულ იქნა, რიგრიგობით, საპარიენსის და კარნიკა ფუტკრის ჯიშებით. საფრანგეთში მხოლოდ 14,4% მეფუტკრებისა, იყენებს ბუკფასტ ფუტკრებს, ძირითადად აღმოსავლეთ ან ჩრდილოეთ ნანილში. როგორც ჩანს ისინი ამ ჰიბრიდს თვლიან სასარგებლოდ, მხოლოდ მოყვარული მეფუტკრებისათვის. 'იმკარფრეუნდში' 6/94 ბუკფასტის ფუტკრებისა იქნა გამოყვანილი კარნიკასთან ერთად, რამაც იგივე შედეგი უჩვენა, როგორც ორი შემადგენელის ნაჯვარმა.

მიუხედავად იმისა, რომ დაზამთრების უნარიანობა უმჯობესია კარ-  
ნიკას შერევით, სამაგიეროთ ნაყრიანობის უნარიანობა უფრო ადვი-  
ლად კონტროლირებადია ბუკფასტისათვის.

ავსტრალიაში, 11,9% მეფუტკრებისა, ამჯობინებს ნაჯვართან მუ-  
შაობას. აქ, მეტად პოპულარული არის *ligustica X caucasica*, რომელიც ად-  
ვილად შეჯვარებადია, როგორც ერთი ისევე საპირისპირო მიმართუ-  
ლებით, რის შედეგადაც ნარმოიქმნება ოდნავ განსხვავებული ჰიბრი-  
დები.

ისრაელში, C. ROSENTHAL-მა უჩვენა, რომ ამ ტიპის ნაჯვარს შეუძ-  
ლია მოგვცეს 20-40%-ით მეტი თაფლი ვიდრე სუფთა *ligustica*-ს. მან  
უჩვენა აგრეთვე, რომ *ligustica*-სათვის დედების ჩუმი ცვლა შეადგენდა  
66%-ს, მაშინ როდესაც *ligustica X caucasica*-სათვის ის შეადგენდა, მხო-  
ლოდ 17%-ს და ნული *caucasica X ligustica*-სათვის.

საფრანგეთში, მეფუტკრების დაახლოებით 39,7% არჩევს იმუშა-  
ოს ასეთი ნაჯვარით. სადედე რძის მნარმოებლები იყენებენ *caucasica*  
X *ligistica* ან *ligistica X caucasica*-ს ნაჯვარს, მაშინ როდესაც, მთავორი-  
ან რაიონებში განლაგებული, თაფლის მნარმოებლები მეფუტკრები არ-  
ჩევენ *caucasica X mellifera* -ს ნაჯვარს, რომელიც, როგორც ჩანს იძლე-  
ვა კარგი თვისების მქონე ფუტკარს. ნაჯვარი *bukfasti X mellifera* იძლევა  
ძალიან კარგ შედეგებს კულტივირებული პლანტაციებისათვის, მაგა-  
ლითად მზესუმზირასათვის. კარგ შედეგს გვაძლევს აგრეთვე სამჯე-  
რადი ნაჯვარი.

K 240023  
3



# გაუნაყოფიარებელი დედების გამოყვანა

## სანაშენე ოჯახის შერჩევა ანუ სელექცია

სელექციის მიზანია ფუტკრის ჯიშის გაუმჯობესება მისი პროდუქტიულობის გასაზრდელად.


ასეთი სახის სელექცია შესაძლებელია მხოლოდ კარგად განსაზღვრული პოპულარული ფარგლებში, მაგალითად, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ჯიშისათვის, კიდევ უფრო უკეთესია, საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული ჯიშისათვის რომელშიც თითქმის არ არის შერეული უცხო ჯიშის ფუტკარი.

„ინდივიდუების ფენოტიპიურ მახასიათებლების გამოყენებაზე და-ფუძნებული ჯგუფური სელექცია ხშირად იხმარება მრავალი სელექციონერის მიერ. ყველა საფუტკრედან არასასურველი მახასიათებლების თანდაათანობითი გამორიცხვის მარტივმა ზემოქმედებამ, შესაძლოა, ხანგრძლივი დროის შემდეგ, მოგვცეს პროდუქციის გარკვეული გაუმჯობესება. მაგრამ, როცა ჯგუფურ სელექციასთან ერთად ვახდენთ დედების გამოყვანას, შედეგი საგრძნობლად უკეთესია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მშობლის საუკეთესო მახასიათებლები პროპორციულად გადადის მისი ქალიშვილი დედის მახასიათებლებში. მაგრამ, ფაქტიურად დედების განახლება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მარტივი ჯგუფური სელექცია. მაშასადამე, სელექციას ჩევნ ვანიჭებთ უფრო მეტ ეცექტურობას ვიდრე მას რეალურად გააჩნია.“ (J. LOUVEAUX).

ფუტკრის ოჯახი, საიდანაც უნდა მივიღოთ ახალგაზრდა სადედებარტყი, უნდა შევარჩიოთ მისი ხარისხის მიხედვით. ხშირად, ამ მიზნით არჩევენ ოჯახს რომელიც თაფლის პროდუქტიულობით გამოიჩინევა, მაგრამ ასეთი კრიტერიუმი, ყოველთვის არ გამოდგება. ოჯახი უნდა იყოს ‚მდგრადი ხაზიდან‘ ე. ი. არ უნდა იყოს ჰიბრიდული ოჯახი.

ფუტკრის ფერი ნარმოადგენს მხოლოდ საწყის კრიტერიუმს. ბიომეტრიული გაზომვები, ელექტროფორეზი (კოლოიდური ნანილაკების მოძრაობა სითხეში ელექტრული ველის გავლენით. მთ.), ან მიტოქონდრიული ცვალებადობა (DNA)

(L.GARNERY, 1996) დაგვეხმარება სწორად შერჩევის საქმეში (ფიგ. 1). იგივე ოპერაციები უნდა ვანარმოოთ ‚ელიტარული‘ ოჯახის შესარჩევად, რომელიც შეიცავს მამალ ფუტკრებს გასანაყოფიერებლად. ფაქტიურად მათი როლი არის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც დე-



ფიგ. 1: მთავარი ბიოლოგიური მახასიათებლები  
(J. FRESNAYE, 1981)

დების მისაღები ოჯახებისა, ეს არ უნდა დარჩის ყურადღების გარეშე. მამლების გამოყვანა განხილულია ცალკე თავში. ( იხ. გვ. 53).

კარგი პროდუქტიულობის მქონე ჯიშის ფუტკარი ჰკარგავს თავის ეკონომიკურ სარგებლიანობას თუ ის ადვილად ნაყრიანობს. ეს მახასიათებელი სხვადასხვა აქვს სხვადასხვა ოჯახს და ნარმოადგენს შეჯვა-


**ცხრილი 1: ფუტკრის ძირითადი ჯიშების პიომეტრიული მახასიათებლები**  
 (J. FRESNAYE in Biometrie de l'abeille, OPIDA, 1980)

მახასია- თებ- ლები ჯიშები		კუბიტა- ლური ინდექსი (A/B)	თმიანო- ბა 5-ე სექც. (მმ)	შეფე- რადება (მმ)	ტომენ- ტუმის სიგანე (მმ)	ხორ- თუმის სიგრ- ძე (მმ)
<u><i>Apis mel.</i></u>	საშ.	1,75	0,46	0,25	0,75	6,35
	მინ- მაქს.	1,40-2,10	0,40-0,52	0,00-0,30	0,60-0,80	6,00-6,50
<u><i>Apis mel.</i></u> <u><i>ligustica</i></u>	საშ.	2,30	0,30	1,75	0,85	6,50
	მინ- მაქს.	2,00-2,70	0,20-0,40	1,40-2,20	0,80-1,00	6,30-6,60
<u><i>Apis mel.</i></u> <u><i>carnica</i></u>	საშ.	2,60	0,30	0,35	0,90	6,60
	მინ- მაქს.	2,30-3,20	0,20-0,40	0,20-0,60	0,80-1,00	6,40-6,80
<u><i>Apis mel.</i></u> <u><i>caucasica</i></u>	საშ.	2,00	0,30	0,30	1,00	7,00
	მინ- მაქს.	1,70-2,30	0,25-0,40	0,20-0,40	0,80-1,20	6,70-7,20
<u><i>Apis mel.</i></u> <u><i>intermissa</i></u>	მინ.	2,20	0,20	0,20	0,60	6,40
	მინ- მაქს.	2,10-2,30	0,15-0,35	0,10-0,40	0,50-0,70	6,30-6,60

რების შედეგს, როცა ფუტკრის დედა განაყოფიერებული იყო სხვადასხვა გენოტიპის მქონე მამლებიდან. მაშასადამე, ნაყრიანობისაკენ მიღრეებილება საკმაოდ უარყოფითი თვისებაა, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღოს დედების გამოყვანმა სელექციონერმა.

აგრესიული ოჯახები არ უნდა ავარჩიოთ დედების გამოყვანის დროს. (შევნიშნოთ, რომ არავითარი კორელიაცია არ არის შემჩნეული აგრესიულობასა და თაფლის პროდუქტიულობას შორის (S. TABER, 1987). მაგრამ, ცნობილია, რომ ფუტკრის ოჯახი, რომელიც იცავს სისუფთავეს, ამჟღავნებს ჭუპრის დაავადების – სიდამპლის მიმართ და

ასევე ვაროატოზის მიმართ გამძლეობას. ამ მიზნით ზოგიერთი მედე-  
 დე ატარებს ტესტირებას, სისუფთავისადმი მიღრეკილების შესამოწ-  
 მებლად. ეს მარტივი და ყველა მეფუტკრისათვის ადვილად შესასრუ-  
 ლებელი ოპერაცია შემდეგში მდგომარეობს: უნდა მოვსრისოთ დაახ-  
 ლოებით 5 სმ<sup>2</sup> ფართობზე დახურული ბარტყი, ეს არის დაახლოებით  
 100 ფიჭის უჯრედი. ამ მიზნით შეიძლება გამოყიყენოთ ნემსი ან კბი-  
 ლის სანმენდი. უმჯობესია დანით მოვაჭრათ ფიჭის ეს ნანილი და მო-  
 ვათავსოთ საყიდულები 1 საათის განმავლობაში. ეს მეთოდი საკმაოდ  
 პრაქტიკულია. ფიჭის ამ მკვდარჭუპრებიან ნაჭერს, კვლავ ათავსებენ  
 სკის იმავე ჩარჩოში 48 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ამონმებენ  
 რამდენად კარგად გაინმინდა ის ფუტკრების მიერ. თუ 90% გაინმინდა  
 მაშინ ფუტკრები კარგ მნმენდავებად უნდა ჩაითვალოს. ეს მეთოდი  
 გვაძლევს საშუალებას შევადაროთ ჩვენი შედეგები ლიტერატურაში  
 არსებულ მონაცემებს. ასეთი მონაცემების მქონე ოჯახი შეგვიძლია  
 შევარჩიოთ როგორც კარგი მნმენდავი და გამოყიყენოთ დედების ასე-  
 ვე მამლების გამოსაყვანათ. ასეთი ოჯახები გვხვდება დაახლოებით  
 ოჯახების 10%-ში.



ფიგ. 2: ტესტი მომარავების შესამოწმებლად

უფრო მეტი და მეტი მეფუტკრები ანხორციელებენ საჯიშეს შერ-  
 ჩევის ე. ნ. 'საუკეთესო მომარავებლის' ტესტებს. გენეტიკოსმა W. C.  
**ROTHENBUHLER** -მა, 1960 წელს განაცითარა ეს ტესტი რომელიც გვაძ-  
 ლევს საშუალებას შევარჩიოთ თაფლის უხვად მომგროვებელი ჯიში. ეს შემდეგნაირად შეგვიძლია განვახორციელოთ: 50 ახალგაზრდა ფუტ-  
 კრის პოპულაციიდან შედგენილი ჯგუფები, რომლებიც ნინასნარ გა-  
 მოყვანილ იქნა ინკუბატორში, ათავსებენ დასაკვირვებელ გალიებში  
 34°C ტემპერატურის პირობებში. მათ ეძლევათ ერთნაირი რაოდენო-  
 ბის 50% იანი შაქრის სირიფი, რომელიც შეიცავს, აგრეთვე, ცილოვან  
 საკვებს. თითოეულ გალიაში ჩამაგრებულია ცარიელი ფიჭები (ფიგ. 2).

ის პოპულიაცია რომელიც უფრო სწრაფად მოამარავებს საკვებს ფიჭაში ითვლება ყველაზე საუკეთესოდ და მისი შესაბამისი ოჯახი გამოიყენება საჯიშედ, დედების გამოსაყვანად.

ეს ტესტი და სხვა ზემოთჩამოთვლილი მეთოდები გვაძლევს შესაძლებლობას საბოლოოდ შევარჩიოთ საუკეთესო საჯიშე ოჯახი. დასაწყისში შეიძლება ვიყიდოთ კარგი ოჯახები გამოცდილი მედედისაგან.

სელექციის მეთოდების უფრო ღმად შესასწავლად უმჯებესი იქნება თუ წავიკითხავთ ერთერთი ძმა ადამის ნაშრომს, „ჩემი მეთოდები მეფუტკრეობაში“ (1980), რომელიც ამბობს, რომ: „სელექცია არის გზა წარმატებისაკენ და უნდა იყოს გამოყენებული როგორიცაა არ უნდა იყოს დედების გამოყვანის მეთოდი. უაზრობაა დედების გამოყვანა, დახარისხების და სელექციის გარეშე.“

ჰიბრიდიზაციაზე საუბრისას ეს ავტორი წერს, „ისევე როგორც ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობისათვის, და განსაკუთრებით ფუტკრებისათვის, უმაღლესი მოსავლის მიღება, არის შესაძლებელი მხოლოდ ჰიბრიდული ენერგიის ანუ ჰეტეროსის საშუალებით. ეს შესაძლებელია მხოლოდ შეჯვარების გამოყენებით. უმაღლესი სელექციური ხაზის გამოყენების შემთხვევაში მეფუტკრეს შეიძლება ჰქონდეს მაღალი მოსავლის მიღების იმედი.

იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ სპერმათეების სწრაფ დაცარიელებას საჯიშე ოჯახებში, კვერცხდების რითმი უნდა შეიზღუდოს მათი მოთავსებით მინი სკებში, ან ტიხერით გაყოფილ სკაში, რომელშიდაც არის დედა ფუტკრის ერთი განყოფილება. (იხ. გვ. 47, ფიგ. 24). ბევრი მედედებების, რომ ამ გზით მიიღება უფრო დიდი ზომის კვერცხები და მათგან საუკეთესო ხარისხის ჭუპრები, სადედე ჯამებში გადასანერგად.

## საჯიშე ოჯახების მომზადება

საჯიშე ფუტკრის ოჯახი არის ის ოჯახი რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ხელოვნური სასტარტო უჯრედები გარდავქმნათ სადედე უჯრედებად.

ასეთი ოჯახები, ისევე როგორც დედების გამოსაყვანად განკუთვნილი ყველა სხვა ოჯახი, ნინასწარ, გულმოდგინეთ უნდა დავამუშაოთ ვაროატოზის საწინააღმდეგოდ. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ამ ტკიპას შეუძლია შეუტიოს და ავნოს სადედეთ განკუთვნილ ჭუპრს. ასევე, უნდა შევნიშნოთ, რომ სკაში შესრულებული დამუშავება ვაროატოზე, იწვევს ფუტკრების შეშფოთებას და ამცირებს სადედე უჯრედების მიღების პროცენტს. ამიტომ დამუშავება უნდა მოვახდინოთ დედების გამოყვანის ოპერაციის დაწყებამდე (იხ. კალენდარი გვ. 92).

ზოგიერთი საჯიშე ოჯახი არის უკეთესი ვიდრე სხვა. მაგრამ საერთოდ, შავი ფრანგული ფუტკრის (*A. m. mellifera*) ჯიშისათვის ოპერაციების ჩატარება არის ბევრად უფრო ძნელი ვიდრე სხვა ჯიშისათვის. საუკეთესო ჯიშად ითვლება იტალიური (*ligustica*) ან ნაჯვარი იტალიურ/კავკასიური. როცა მედედებს ჯიშების არჩევის შესაძლებლობა აქვს ისინი ნაკლებად იყენებენ *A. m. carnica*-ს. იმის გამო, რომ ამ ჯიშის ფუტკარს აქვს სხვა ფუტკრის „გაძარცვის“ გაძლიერებული მიღრეკილება, როცა ფუტკარს ვანვდით დამატებით საკვებს ნაკლები ლალიანობის პირობებში. გენეტიკური გაჭუჭყიანების რისკი შეიძლება თავიდან ავიშოროთ თუ საფრენთან მივამაგრებთ ისეთ ბადეს რომელშიდაც ადვილად გაძვრება მუშა ფუტკრები და ვერ გავლენ მამალი ფუტკრები.

ყოველთვის უნდა შევეცადოთ, სადედების მისაღებად უნდა გვქონდეს ფუტკრით სავსე ოჯახი იმისათვის, რომ გავზარდოთ სადედების მიღების პროცენტი და გავაუმჯობესოთ გამოყვანილი დედების ხარისხი.

თუ ფუტკრის ოჯახები არაა საქმარისად გაძლიერებული, მაშიმ საჭიროა, ნინასნარ მოვამზადოთ ისინი რეგულარული და კარგი გამოკვებით და აგრეთვე მივცეთ მათ ერთი ან ორი ჩარჩო გამომავალი ფუტკრებით და ჭუპრებით.

## მასტიმულირებელი კვება

ხელოვნური კვების მიზანია სკაში მოახდინოს ნექტარის მოზიდვის იმიტაცია და ამავე დროს, მკვებავ ფუტკრებში, ალძრას სადედე რძის უხვად გამოყოფის სტიმული. გვახსოვდეს, რომ მკვებავი ფუტკრები სადედე რძეს გამოჰყოფენ მხოლოდ 5-დან 15 დღის ასაკამდე. ვიცით რა მკვებავი ფუტკრები მიიღება კვერცხის დადებიდან, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ, კვება უნდა დავიწყოთ საქმარისად ადრე (იხ. კალენდარი გვ. 92). საჭიროა მკვებავი ფუტკრების დიდი რაოდენობა, რადგან, მხოლოდ ერთი სადედე ჭუპრის გამოსაკვებად საჭიროა დაახლოებით 1200 მკვებავი ფუტკრის მომსახურეობა დღეში.

ასეთი ფუტკრის ოჯახები მიიღება, თუ მათ სპეციალურ დამუშავებას დავიწყებთ გამოყენების დასწყისამდე ექვსი კვირით ადრე. შაქრის სიროფის კონცენტრაცია უნდა შევარჩიოთ იმისდა მიხედვით თუ რა რაოდენობის ნექტარი შემოდის ოჯახში. უფრო ხშირად ეს უნდა იყოს 50% შაქრის ფხნილი და 50% თბილი ნყალი. თითოეულ ოჯახს დაახლოებით ეძლევა 200 გრ. სიროფი ყოველ მეორე დღეს. ნინასნარ დამზადებული სიროფის ყოველ 100 ლიტრს შეიძლება დაუმატოთ ორი ნეტო კალიუმის პერმანგანატი, იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ ფერმენტაციას.

M. BELIN (1984)-ის თანახმად ფუტკრებს არ უნდა მივცეთ ნატეხი (გრანულირებული) შაქრისაგან დამზადებული სიროფი, რადგან ფუტკარზე საქართვის ზემოქმედება ინვევს სადედე რძის გამოყოფი სარდევე ჯირყვლების ატროფირებას. ამიტომ, უმჯობესია თუ შაქარს შევურევთ თაფლში: მაგალითად, 25% თაფლი, 25% შაქარი და 50% თბილი ნყალი. გვახსოვდეს, რომ გაყიდვაში არსებული სამრენველო სიროფის უმეტესი ნაწილი, რომელიც პასტის სახითაა დამზადებული, უკვე მთლიანად ან ნაწილობრივ ინვერსიულია.

როგორც აღვნიშნეთ მედედებისათვის ცნობილია ყვავილის მტკერის მნიშვნელობა ამ საქმეში. H. GONTARSKI (1952) თავის ნაშრომში უწევენებს, რომ ჰიპოფარინგული ჯირყვლები (რომელიც სადედე რძეს გამოჰყოფს) აქტიურდება, ყვავილის მტკერში არსებული ამინომჟავების მოქმედებით. დედების გამოყვანის დროს, როცა სკაში ბევრია ლია ბარტყი, მაშინ მკვებავი ფუტკარი ხარჯავს ბევრი რაოდენობით ჭერს და როცა ფლორა არ იძლევა ამის შესაძლებლობას ან ცუდი ამინდია, აუცილებელია, რომ მეფუტკრემ მიიღოს შესაბამისი ზომები. ZHEROBKIN-ი მიუთითებს, რომ გაზაფხულის პერიოდში ფუტკრები, ჭერის უმეტესად ჭამენ 15 დღის ასაკამდე, ხოლო მაქსიმალური რაოდენობით 3- ან 6-დღემდე ასაკის ფუტკრები ჭამენ ამ პროდუქტს. დღეში 4 მგ პროტეინის ნარმობისათვის მკვებავმა ფუტკრებმა უნდა გარდაქმნან 10 მგ ყვავილის მტკერი. სასარგებლოა ვიცოდეთ, რომ სკის შესასვლელში მიტანილი ყვავილის მტკერი ჯერ უიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ მკვებავებს საკმარისი რაოდენობით პროტეინი ექნებათ. სინამდვილეში, პროტეინის შემცველობა 5-დან 30%-მდე მერყეობს. ეს დამოკიდებულია ყვავილის ტიპზე. მეტიც, ფუტკრებს აქვთ ყვავილის მტკერის შეგროვების ინსტიქტი, რის გამოც მტკერიანი ყვავილების არარსებობის პერიოდში ისინი ზოგჯერ ხის ნახერხსაც კი ეზიდებიან.

ხელოვნური მეთოდების გამოყენებით (ინკუბატორი) ამერიკელმა

#### ცხრილი II: სხვადასხვა ტიპის საკვებით მიღებული შედეგები

საკვების ტიპი	დაბადებათა რიცხვი
მხოლოდ თაფლი	575
მხოლოდ ჭერი	8600
თაფლი+სოიას ფქვილი	2600
თაფლი+12,5% ჭერი	4900
თაფლი+25% ჭერი	5500
თაფლი+50% ჭერი	7300

მკვლევარებმა C. W. SCHAEFER და C. L. FARRAR-მა (T. T. K. და M. P. JOHANSON-ის დამონიშებით, [1941]) მიიღეს ფუტკრების დაბადების მკვეთრად განსხვავებული რაოდენობანი, მათვის სხვადასხვა საკვების მიწოდებასთან დაკავშირებით (ცხრილი II).

ჭერ უნდა გამოვიყენოთ ახალი ან მაცივარში შენახვის შემდეგ, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავისი სასარგებლო თვისებები. მისი უქონლობის შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ მშრალი ყვავილის მტვერი ან მისი შემცვლელი მომზადებული პასტის სახით, რომელიც უნდა შეიცავდეს ცილებს სულ ცოტა 30% – ს მაინც. ყვავილის მტვერის ვარგისიანობის მიზნით არაა რეკომენდირებული მისი მზეზე გაშრობა, რადგან ამ დროს ისპობა ძირითადი სასარგებლო ფერმენტები და ცილების შემცველობა მკვეთრად მცირდება. გაშრობის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ თბილი ჰერიტ ვენტილიაცია.

კანდის მცირე გუნდები, რომელიც ზემოდან დახურულია ცელოფანით (ტენიანიბის შენარჩუნების მიზნით), თავსდება პირდაპირ ჩარჩოს თავზე, დახურულ ბარტყოთან ახლოს. ჩვენ გთავაზობთ კანდის მომზადების შემდეგ რეცეპტს:

- 10-დან 20 %-მდე ყვავილის მტვერი
- 30 % ლუდის საფუარი
- 45 % სოიას ცხიმგაცლილი ფქვილი, მცირე რაოდენობის შაქრის სიროფათან შერეული ისე, რომ მივიღოთ სქელი პასტა.


უფრო ნაკლები ცილების შემცველი კანდი შეიძლება დავამზადოთ შემდეგი რეცეპტით:

- 5 % ლუდის საფუარი
- თაფლი
- სახამებლისაგან განმენდილი სარკალა შაქარი (თაფლზე ორჯერ მეტი).

კანადაში, გაზაფხულის ამანათნაყრების მასტიმულირებელ კანდს ასე ამზადებენ:

- 1 კგ ყვავილის მტვერი
- 5 კგ ლუდის საფუარი ( 45 % ცილები ) ან ცხიმგაცლილი სოიას ფქვილი ( 42 % ცილები )
- 4 კგ გრანულირებული შაქარი
- დაახლოებით 2 ლიტრი ნიჟალი.

შევურიოთ ყვავილის მტვერი თბილ ნიჟალში. შემდეგ შევურიოთ შაქარი და ავრიოთ მანამ სანამ ის, მთლიანად არ გაიხსნება. ბოლოს მიუშატოთ საფუარი და ურიოთ მანამ სანამ არ მივიღებთ სქელ პასტას, ისე, რომ არ იღვრებოდეს. შეიძლება აგრეთვე დაუმატოთ სიდამპლის სამუურნალო საშუალება. შემდეგ მოვამზადოთ 500 დან 1000 გრამამ-



ფიგ. 3: ყვავილის  
მტვერის კოკორი  
თავსდება ჩარჩოზე.

დე წონის მქონე დისკის მაგვარი კოკორი და მოვათავსოთ რაც შეიძლება ახლოს ფუტკერის გუნდთან პირდაპირ ჩარჩოზე (ფიგ. 3).

იდეალური იქნებოდა, რომ ჩარჩოები მოგვემარაგებია ჭეოთი, რომელიც შეიძლება ვიპოვოთ ბარტყისანი ჩარჩოს ნაპირზე, თაფლზე მომუშავე სკაში. როგორც ცნობილია ჭეო უფრო უკეთესი საკვებია, ვიდრე ახლად მოტანილი ყვავილის მტვერი, რადგან მან უკვე განიცადა „დასილოსების“ მსგავსი აქტიური პროცესი – რძისებრი ფერმენტაცია.

ჭეოიანი ჩარჩოების შენახვა, ფუტკერის ოჯახის გარეთ, ხშირად ჰქმნის პრობლემებს, მაგრამ შესაძლებელია ჩვენ მას მოვასხუროთ სარკალა შაქარი, იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ჭეოს დაობება, რომელიც გაუფრთხილებლობის შემთხვებაში შეიძლება სწრაფად გაჩნდეს.

ავსტრალიელი მედედეები, ჭეოიან ჩარჩოს 2 ნლამდე ინახავენ, ფარავენ რა მათ შაქრის ფხვნილით. ორ ნანილ ჭეოზე ერთი ნანილი შაქრის ფხვნილი და შემდეგ მთლიანათ ფარავენ 5 სმ სისქის შაქრის ფხვნილით.

ჭეო შეიძლება აგრეთვე შევინახოთ მაცივრის საყინულები ( $-18^{\circ}\text{C}$ ზე).

(ზოგიერთი რუსი მეფუტკერე უარპყოფს გაყინვის მეთოდს. ითვლება, რომ ამ შემთხვევაში იკარგება ჭეოს, სასარგებლო, საკვები ღირებულება. მთ. შენიშვნა).

ფუტკერის მიერ ახლადმოტანილ ყვავილის მტვერს არ გააჩნია ყველა ის საკვები ღირებულებანი რაც აქვს ჭეოს. ცილების საშუალო შემცველობა იცვლება 7% დან 37 % მდე (J. HARDEN KLEINSMIDT). კანადაში ფუტკერებმა რეკორდი დაამყარეს ფეხუნდას მოზიდვაში. მათ ნახერხი მოიტანეს ყვავილის მტვერის მაგივრად. ადრე გაზაფხულზე, როცა, ჯერ კიდევ ყვავილის მტვერი არ არის, ფუტკერები ემორჩილებიან ინსტიქტს, და შეიძლება, სკაში მოზიდონ მტვერის მსგავსი ნივ-

თიერება, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საკვები ღირებულება. მაგასადამე აუცილებლად უნდა ვიცოდეთ თუ საიდან არის ჭერ შეგროვილი, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მოვამზადოთ საკვები. ბალახები, თხილი, ციტრუსების ზოგიერთი ტიპები და ევკალიპტი არიან მცენარეები, რომელთა ყვავილის მტვერი ცილებით ლარიბია. ცილებით მდიდარ ყვავილის მტვერს იძლევა: ტირიფი, ტკბილი წაბლი, ხეხილის ხეები, ყაყაჩო და სამყურა (R. CHAUVIN, 1968).

J. L. NATION (1974) ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა ყვავილებიდან მიღებული ყვავილის მტვერის წარევი უკეთესადაა დაბალანსებული, ვიდრე ერთიდამავე ტიპის ყვავილისაგან მიღებული. დაბოლოს სასარგებლოა მოგაგონოთ, რომ თაფლისაგან განსხვავებით, ფუტკრები არ უცვლიან ადგილს მოგროვილ ყვავილის მტვერს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია გვქონდეს მხედველობაში. ამის გამო, ჭეოიანი ჩარჩოები უნდა მოვათავსოთ უშუალოდ, მომავალი სადედებების მქონე თამასებიან ჩარჩოებთან.

# გამოხავალ ბარტყიანი ჩარჩოების დამატება

თუ, რაიმე მიზეზის გამო, შერჩეულ აღმზრდელ ოჯახში ფუტკრის მცირე რაოდენობაა, მაშინ ის შეიძლება გავაძლიეროთ მასში, სხვა სკოდან გადაბეჭდილ ბარტყიანი ჩარჩოების გადატანით. ამ ოპერაციის მიზანია მკვებავი ფუტკრების მაქსიმუმამდე გაზრდა, მაგრამ უნდა შევეცადოთ რომ ახლად გადატანილი ბარტყი არ გაგვიცივდეს. გადატანილი ბატყიანი ჩარჩოს გათბობა უნდა შეძლოს სკაში არსებულმა ფუტკარმა. ამ მიზნით გადაბეჭდილ ბარტყიანი გამაძლიერებელი ჩარჩოები სკაში უნდა ჩადგვათ თანდათანობით და ბუდესთან ახლოს. გარდა ამისა ოჯახს უნდა მივცეთ, დამატებითი მასტიმული ინებელი საკვები, ეს მეთოდი იძლევა საუკეთესო შედეგს. როგორც კი შევასრულებთ ხსენებულ ოპერაციებს მაშინვე უნდა ვიზრუნოთ ნაყრობის საწინააღმდეგო ოპერაციების ჩასატარებლად. სასურველია ჩავეკეტოთ სკა, რომ ნაყრის გამოსვლას ხელი შეუშალოთ.

გავრცელებული აზრის საპირისპიროდ ჩვენ მიგვაჩინია, რომ შესაძლებელია შეურიოთ სხვადასხვა ფუტკრის ოჯახიდან აღებული ფუტკრიანი ჩარჩოები ყოველგვარი პრობლემების გარეშე თუ ეს ოჯახები არ არიან დაავადებულნი.

## სადედე უჯრედების დამზადება

არსებობს რამდენიმე მეთოდი:

### – უდედო ფუტკრის ოჯახი – ადვილი გადაწყვეტა

ჯერ კიდევ 1568 წელს, ფუტკრების კომერციული ექსპლოატაციის დასაწყისადმე 300 წლით ადრე, სილესიელმა (პოლონეთი) მეფუტკრები NICOL JACOB-მა გამოაქვეყნა თავისი დაკვირვების შედეგები, რომლის თანახმადაც, კვერცხების ან ახალგაზრდა ჭუპრების შემცველ, ობოლ ოჯახს შეუძლია გამოიყვანოს დედა.

ანტიკურ საბერძნეთში, ფუტკრის ოჯახების რაოდენობას მეფუტკრეები ზრდიდნენ მცირე ფუტკრიანი ფიქების გადატანით ახალ სკაში (J. WORTHINGTON, 1871). უდედოთ დარჩენილ მუშა ფუტკრებს შეეძლოთ სადედების აშენება სამუშა ჭუპრიან უჯრაზე. ობოლი ოჯახების გამოყენებაზეა დაფუძნებული, დედების გამოყვანის თანამედროვე მეთოდები.

ნაყრიანობის პირობებში ან დიდი ღალიანობის დასაწყისში, ოჯახიდან ფუტკრის დედის ამოყვანის შემდეგ ფუტკრები იწყებენ სამუშეულებელებზე სადედების ჩამოშენებას. მათი რიცხვი, ზოგჯერ 20-ს აღემატება. დედის ნართმევიდან 10 დღით შემდეგ გულმოდგინეთ ამოვევეთოდ ყველა სადედე, ისე, რომ არ დავაზიანოთ ისინი. მაგრამ ერთი სადედე დავტოვოთ ხელუხლებლად, ხოლო დანარჩენი სადედები დავანანილოთ ახლად დაობლებულ ოჯახებში. მეორენაირად, შევცვალოთ სადედებიანი ჩარჩოები უდედო ოჯახების ჩარჩოებთან.

ამ მეთოდის ნარმატება დამოკიდებულია ფუტკრების ბუნებრივ ყოფაქცევაზე. სელექციის შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია.


## ბუნებრივი უჯრედების გამოყენება, დედის მოძებნის გარეშე

ხშირად დედის მოძებნა ძნელია, განსაკუთრებით უხვფუტკრიან სკაში, სადაც ჭუპრი საკუჭნაოშიც კი არის. ან ცუდი კლიმატური პირობების დროს. ამ შემთხვევაში სკაში ბევრი დარაჯი ფუტკარია და ოჯახი მეტად აგრესიულია.

ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ე. ნ. BENTLEY-ს მეთოდი (ფიგ. 4).

სხვადასხვა ასაკის მქონე ბარტყიანი, სულ მცირე 6 ჩარჩო გადააქვთ უძლიერესი ოჯახიდან ცარიელ (A) სკაში ერთი ჩარჩო ჭეოიანი და ერთიც თაფლიანი უნდა მოვათავსოთ ბარტყიანი ჩარჩოების ორივე მხარეს და სკა უნდა შევავსოთ ფიჭიანი ჩარჩოებით. ეს სკა თავსდება უხვფუტკრიანი (B) სკის ქვემოთ. ამ სკის კორპუსებს შორის თავსდება ტიხარი, რომელიც არ ატარებს ფუტკრებს. სკების შუა ტიხარსა და ზედა კორპუსს შორის შევარჭოთ მცირე ზომის ხის სოლი, იმისათვის რომ ზედა კორპუსს ჰქონდეს ცალკე საფრენი. თორმეტი დღის შემდეგ, ქვედა ფუტკრის ოჯახში, გვექნება რამდენიმე სადედე. ქვედა ფუტკრის ოჯახი დავდგათ განცალკევებულ ადგილას, ხოლო დედიანი ოჯახი დავდგათ თავის საწყის ადგილას. შემდეგ დავანანილოთ სადედები ნინასნარ დაობლებულ ოჯახებში (R. BENTLEY, 1960).

ამ მეთოდის სახესხვაობას მივიღებთ თუ ხის გამყოფ ფირფიტას შევცვლით ერთი ან ორი განემანის ბადით (ბადე, რომელიც აკავებს დედებს და ატარებს მუშა ფუტკრებს, მთ. შენიშვნა). მეორენაირად, F. G. RAUCHFUSS (1921) გვირჩევს: განემანის ფილტრის ნაჭრები ჩავამაგროთ საკვებურის ხვრელების ზემოთ.



ზ: ფუტკერის დედის  
აღმნიშვნელი სიმბოლო

ფიგ. 4. ბენტლეის მეთოდი იძლევა შესაძლებლობას მიუღოთ სადედები დედის დაჭრის გარეშე.

## სადედების დიდი რაოდენობით მიღების მეთოდი

1960 წლამდე, დიდი რაოდენობით სადედების მიღების ერთადერთი საშუალება იყო ფუტკერის ოჯახის მიყვანა სანაყრე მდგომარეობამდე. ამ მეთოდით მიღებული დედების ხარისხი შესაძლოა იყო სრულიად დამაკმაყოფილებელი (T. S. K. და M. P. JOHANSON, 1978), მაგრამ ეს სადედები ყოველთვის კარგად არ არიან განლაგებულნი და ამიტომ ძნელია მათი ამოკეთა სადების და ფიჭების დაზიანების გარეშე. ამიტომ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ქვემოთჩამოთვლილი მეთოდები-დან ერთერთი.


### 1) მიღერის მეთოდი

ამ მეთოდის მიხედვით, ახლადგამოჩეული ბარტყიანი, სპეციალურად მომზადებული ჩარჩო მივცეთ დაობლებულ ოჯახს. ეს ჩარჩო დამზადებულია ფიჭის რამდენიმე ზოლისაგან, რომელთა სიგანე 5-6 სმ-ია. სიგრძეც დაახლოებით იგივეა. ეს ზოლები ზედა ბოლოებით მიმაგრებულია ცარიელი ჩარჩოს ზედა თამასაზე, ხოლო ქვედა ბოლო ნან-

ვეტილი აქვს (ფიგ. 5). ასე მომზადებული ჩარჩო უნდა ჩავდგათ, ნინას-ნარ მომზადებულ და შერჩეულ საჯიშე ოჯახის ბუდეში. დაახლოებით ერთ კვირაში ფუტკრები ააშენებენ ფიჭას. გვექნება ფიჭა კვერცხიანი და ახალგაზრდა ჭუპრიანი.

ახლა ჩარჩო მზადა სადედე უჯრების მკეთებელი ფუტკრის ოჯახისათვის ანუ აღმზრდებილი ოჯახისათვის. საფუტკრეში, ორი ან სამი საათის ნინ უნდა შეირჩეს უძლიერესი აღმზრდებილი ოჯახები. ამ ოჯახებიდან დედა და ახალგაზრდა ჭუპრიანი ორი ჩარჩო, თავისი ფუტკრით, გადაგვაქვს სხვა სეაში. დარჩენილი სივრცე, ამ ძლიერ და ახლადაობლებული ოჯახის ბუდეში უნდა შევავსოთ საჯიშე ოჯახიდან გადმოტანილი სპეციალურად მომზადებული ჩარჩოებით, ოჯახის დაობლებიდან ორი-სამი საათის შემდეგ. ამ ჩარჩოების გადმოტანა აღმზრდელ ოჯახში მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, რადგან ფიჭის ზოლები ცუდათაა მიმაგრებული ჩარჩოზე. ფუტკარი ძალიან ფრთხილად უნდა ჩამოვნინდოთ, რბილი ჯავრისით. ამ ჩარჩოებთან ახლოს უნდა მივადგათ დანარჩენი ჩარჩოებიც.

ვათავსებთ სპეციალურ ჩარჩოს სწორ ზედაპირზე – მაგალითად სკის სახურავზე, გამთბარი და კარგად მოლესილი დანით ვწმინდაბთ მას ფიჭის ზედმეტი ნანილებისაგან და ვტოვებთ დაუზიანებელ ნანილებს ახალგაზრდა ჭუპრებით და ფიჭის ზოლებით. ეს ჩარჩო უკვე მზადა აღმზრდელ ოჯახში ჩასადგმელად, ნინასნარ მომზადებულ ცენტრალურ ადგილას. მასთან ახლოს უნდა მივადგათ ამ სკის დანარჩენი ჩარჩოები. ათი დღის შემდეგ სადედები უკვე მომწიფებული იქნება და-შეიძლება უკვე დავანანილოთ ნინასნარ დაობლებულ ნუკლეუსებში. სადედები ფრთხილად უნდა ამოვეკეთოდ ხელის ფაქიზი მოძრაობით ისე, რომ ისინი და ფიჭა არ დაზიანდეს. სადედები უნდა ჩავაწყოთ რბილი მატერიოლით დაფარულ კოლოფში, ან, უმჯობესია, ფართო პოლის-



ფიგ. 5: მილერის მეთოდის გამოსაყენებლად საჭირო, ფიჭის ზოლებიანი, ჩარჩო.

ტირენის ყუთში, სადაც ისინი შეიძლება დავამაგროთ, ქინძისთავით, ან სხვა სამაგრით.

სადედები უნდა დავიცვათ გაციებისაგან ან მზის სხივებისაგან. გავანანილოთ ისინი ზუკლეუსებში ან უდედო ოჯახებში. ისინი ფრთხილად უნდა მივამაგროთ ბატყიან ფიჭაზე. არ უნდა დავაფიქსიროთ სადედე თაფლიან ჩარჩოზე, რადგან ამ შემთხვევაში ის შეიძლება გაცივდეს. უკეთესი ადგილია ბარტყიანი ჩარჩოს ზედა განაპირა ნანილი, სადაც ბევრია საკვები მარაგი. ჩამაგრება შეიძლება მოვახდინოთ კბილის საწმენდით ან ნაწვეტილი ასანთის ღეროთი (H. H. LAIDLAW, 1950).

## 2) ალეის მეთოდი

ავილოთ ახლადგამოჩეკილ ჭუპრიანი ჩარჩო, მოვათალოდ მას მეორე მხარე (ხელოვნური ფიჭის ზედაპირამდე), დავჭრათ ეს ფიჭაზოლებად და თითოეული ზოლი მივამაგროთ ან მივანებოთ ცარიელი ჩარჩოს თამასებზე. შესაძლებელია აგრეთვე გამოვიყენოთ სპეციალური საჭრისი, რომლითაც შეიძლება ამოვკვეთოდ ახლადგამოჩეკილ ჭუპრიანი სამუშე უჯრები, და შემდეგ ისინი მივანებოთ ჩარჩოს თამასებზე.

შმიდტი, ამრავლებდა რა ფუტკრებს დიდი ხნის განმავლობაში, იყენებდა დულიტლის მეთოდს. მან კიდეც შეიტანა თავისი წვლილი ამ მეთოდის გაუმჯობესებაში და შეიმუშავა მისი მოდიფიკაციები. მაგრამ თავისი კარიერის ბოლო ხანებში ის მივიდა დასკვნამდე, რომ ალეის მეთოდით გამოყვანილი დედები უმჯობესია ვიდრე „მყნობით“ მიღებული და 1949 წელს გამოაქვეყნა ალეის მეთოდის საკუთარი ვარიანტი (H. H. LAIDLAW).

## 3) დულიტლის მეთოდი ( ჭუპრების გადანერგვა ანუ „მყნობა“)

E.D.L. LARCH იყო პირველი, რომელმაც შემოილო ტერმინი „მყნობა“ რაც ნიშნავს ახლადგამოჩეკილი ჭუპრის გადაყვანას (გადანერგვას) სადედე უჯრაში. ტერმინოლოგიის წესების მიხედვით უფრო ზუსტი იქნებოდა გვეხმარა „გადანერგვა“, რაც ორი წლით ადრე შემოღებული იყო J.L. DAVIS-ის მიერ. „მყნობა“ ჩვეულებრივად იხმარება ცხოველების ან მცენარეების გამრავლებასთან დაკავშირებით (M. P. JOHANSSON, 1978).

პრაქტიკული და ეკონომიკური თვალსაზრისით, დულიტლის მეთოდი, ზოგჯერ, კითხვის ნიშნის ქვეშ იყო დაყენებული. პრეტენზია იმაში

მდგომარეობდა, რომ ამ მეთოდით მიღებული დედები უფრო დაბალი ხარისხის იყო ვიდრე კვერცხებიდან მიღებული. თუმცა დიდი განსხვავება არ არის კვერცხმდები მიღების რაოდენობის მიხედვით ამ და სხვა მეთოდით გამოყვანილ დედებს შორის და დედების დაბალი ხარისხის შესახებ ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის.

ჩვენ ახლა განვიხილავთ დედების გამოყვანის თანამედროვე მეთოდებს. „მყნობის“ გარჩევამდე, რომელიც მოგვიანებითაა განხილული, ჩვენ შევეხებით მოწყობილობათა მომზადების საკითხებს.

## სადედე ჯამებიანი თამასების მომზადება

სადედე უჯრედების ხელოვნური საწყისები ცნობილია როგორც „სადედე ჯამები“ და „სადედე ჯამებიანი თამასები“, რომელიც წარმოადგენს ჯამებიან, ხის თამასას. ის წინასწარ უნდა ჩავამატროთ ერთი, ან ორი, ან სამი ცალი, ცარიელ ჩარჩოში, დავაფიქსიროთ მასზე სადედე ჯამები, გადავნერგოთ ამ ჯამებში ახლადგამოჩეკილი ჭუპრები და შემდეგ ჩავდგათ ეს ჩარჩო აღმზრდელ ოჯახში.

მეცუტკრების შემოქმედებითი ფანტაზიები გვამდიდრებს ჩვენ მრავალგვარი ჯამებისა და თამასების ახალ – ახალი სახეებით. შევნიშნოთ, რომ NICOT-ის მიერ გამოგონებულმა პლასტმასის ჯამებმა, ადგილი დაიმკვიდრა დედების გამოყვანის საქმეში. სადედების მიღების ან გამოყვანილი დედების ხარისხის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს, ჯამები პლასტმასის იქნება თუ ბუნებრივი სანთლისაგან დამზადებული. უფრო მეტიც, პლასტმასის ჯამები შეიძლება რამდენიმეჯერ გამოვიყენოთ, მათი განმენდის შემდეგ. ამის მიუხედავად, ზოგიერთი მეცუტკრე, ჯერ კიდევ, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს სანთლისაგან დამზადებულ ჯამებს.

## სანთლის სადედე ჯამების დამზადება

როგორც ცნობილია ფუტკრის სანთლის ხარისხი არ იმსახურებს დიდ ყურადღებას, ფუტკრებისაგან ჯამების მიღების თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სანთელი მიღებული ან ანათლებისაგან ან ძველი ფიჭებისაგან.

შეიძლება დავამზადოთ, დაახლოებით 8 მმ სიღრმის მქონე ჯამი, 9 მმ დიამეტრის მქონე ხის ცილინდრული ფორმისაგან, რომლის ზედაპირი კარგადაა დამუშავებული და მისი ბოლო ნახევარსფეროს ფორმისაა. პირველად ეს ფორმა ჩაუშვათ, მცირე საპნიან, თბილ ნყალში. შემდეგ ის დავბერტყოთ ზედმეტი ნულის მოსაცილებლად. შემდეგ ის ჩავყოთ

დნობის ტემპერატურის მქონე (დაახლოებით  $65^{\circ}\text{C}$ ) გამდნარ სანთელში. ჯამის მიღება ხდება ამ ფორმის, სანთელში რამდენიმეჯერ ჩაძირვით: პირველი ჩაძირვა ხდება 8-10 მმ სიღრმემდე. შემდგომი ჩაძირვა ხდება უფრო მცირე სიღრმემდე. ამის შედეგად მიღება ჯამი რომლის კედელი იქნება თხელი ხოლო ფსკერი ექნება უფრო სქელი, რომლითაც ის უფრო უკეთესად შეიძლება მივამაგროთ თამასაზე. ბოლოს, სხმულიანი ფორმა ჩავყოთ ცივ წყალში ეს გამაგრებს სანთელს და ამის შემდეგ, სხმულის ოდნავი მობრუნებით შეიძლება მოვაშოროთ ფორმისაგან (ფიგ. 6 და 7). შეიძლება 10, ან მეტი ჯამი დავამზადოთ ერთდროულად თუ გამოვიყენებთ KEMP-ის გამოგონებულ მოწყობილობას, რომელსაც აქვს 10 ერთნაირი ზეზინის ფორმა. რეზინის ელასტიკურობის გამო მათგან უფრო ადვილია ჯამების მოშორება (სურ 8).


ზოგჯერ საჭიროა დიდი რაოდენობით სადედე ჯამების დამზადება და 15 ან 16 ჯამის მიმაგრება ერთ მნკრივში ყოველ თამასაზე. ამ შემთხვევაში, სადედე ჯამები შეიძლება დავამაგროთ თამასაზე მათი, ფორმებიდან, ნინასნარი მოშორების გარეშე. პირდაპირ მივაჭიროთ ის თამასას და მივანებოთ მცირე რაოდენობის გამდნარი სანთლიანი კოვზის გამოყენებით. რა თქმა უნდა, სანთლის გამაგრებას უნდა დავაცადოთ და შემდეგ ფორმა მოვაშოროთ.

მაშასადამე 15 ან 16 სადედე ჯამი მაგრდება თითოეულ თამასაზე სანთლის თხელ გარსზე მინებებით ან იგივე სახის ჯამების მიმაგრებით საკანცელარიო ჭიკარტებით, ან მცირე ხის ნაჭრებით. ეს აადვილებს მათ ჩამოშორებას თამასიდან სადედეს დაზიანების გარეშე, რაც საჭირო ხდება როცა უკვე სადედე მომწიფებება (ფიგ. 9 და 10).

## თამასებიანი და საკვებულიანი ჩარჩოები

საკვებული შეიძლება დავამზადოთ სტანდარტული ჩარჩოს გამოყენებით. ამისათვის ავილოთ ხის ან ფანერის ფირფიტები და შევკრათ კოლოფი – საკვებული. დავასველოთ ის ცხელი პარაფინის სანთლით, იმისათვის რომ გავხადოთ ის წყალგაუმტარი. საკვებულისა და ზედა თამასას შორის ავილოთ მანძილი ერთი სმ იმისათვის, რომ ფუტკერები ადვილად გავიღნენ მასში.


ორი თამასა ერთმანეთისაგან უნდა დავაშოროთ 7 სმ – ით და ისე უნდა დავამაგროთ, რომ ადვილად იხსნებოდეს და ასევე მყარად მაგრდებოდეს და სწორდებოდეს თამასაზე. ასეთი სახის საკვებულში ვასხამთ მცირე რაოდენობით სიროფს, როცა აღმზრდელ ოჯახში შეგვაქვს ახლადდამყნობილი სადედე ჯამები. ის გააქტიურებს ფუტკარს და სადედეების მიღების პროცენტი მკვეთრად გაიზრდება (ფიგ. 11 და 12).




ფიგ. 7: სადედების მოცილება ფორმირან მისი მოძრუნებით.



ფიგ. 8: სანთლის სადედე ჯამების დამზადება.



ფიგ. 8: 'კემპის' სადედე ჯამების ფორმა მათი დიდი რაოდენობით დასამზადებლად.



ფიგ. 9: 16 სადედე ჯამი თამასაზე



ა

ბ

გ


დ

ე

ვ

ზ


ზ



ფიგ. 10: ხხვადასხვაგვარი სადედე ჯამები და მათი სამაკრები:


- ა: სანთლის სადედე ჯამი დამაგრებული საკანცელარიო ჭიკარტზე.
- ბ: სანთლის სადედე ჯამი დამაგრებული ხის ფირფიტაზე.
- გ: პლასტმასის სადედე ჯამი მიწეპებული სანთლის ფენით (2-3 მმ), რომელიც მოითხოვს მოთლას.
- დ: ჩვეულებრივი, სანთლის სადედე ჯამი.
- ე: სამართებლით მოკვეთილი და სანთლით მიწეპებული სამამლე უჯრა.
- ვ: ხის ფუძეზე მიწეპებული სანთლის ჯამი, რომელიც ადვილად მოსახსნელია.
- ზ: ნიკოტის სისტემის პლასტმასის სადედე ჯამი.

სადედე უჯრების მიღება არის ერთი საკითხი და კარგი ხარისხის დედების გამოყვანა არის მეორე. იმისათვის, რომ არ მივიღოთ უხარისხო დედები ჩვენ უნდა შევზღუდოთ სადედების რაოდენობა თამასაზე 15 ან 16-მდე და თითოეული ფუტკრის ოჯახს აღსაზრდელად მივცეთ არაუმეტეს ორი თამასისა. როგორც კი სადედეიანი თამასები მზადაა მაშინვე ის უნდა ჩავამაგროთ საკვებურიან ჩარჩოში და შევასრულოთ შემდეგი ოპერაცია: შეგუება.



ფიგ. 11: თამასებიანი და საკვებურიანი ჩარჩოს დიაგრამა.

ფიგ. 12: თამასებიანი და  
საკუებურიანი ჩარჩო  
გზადაა შემდეგი ოპერა-  
ციისათვის.




## შეგუება

ზოგიერთი მეფუტყვრე სადედების შეგუების ოპერაციას ახდენს მყნობის ჩატარებამდე. თამასები, შაქრის სიროფით შესხურების შემდეგ, იდგმება (დაობლებულ ან არდაობლებულ) ფუტყრის ოჯახში, 2 ან 3 საათით. ფუტყრები სადედებიან თამასებს დაფარავენ ე. ნ. „ასათვისებელი“ („შესაგუებელი“) ნივთიერებით, რომელიც აადგილებს სადედების მიღებას სასტარტო ოჯახის მიერ (ფიგ. 13). ეს ოპერაცია უფრო მეტად რეკომენდირებულია შემდეგი ჯიშის ფუტყრებისათვის: A. mellifera adansonii (შავი აფრიკული ფუტყარი), A. mellifera intermissa (ჩრდილო აფრიკული ანუ ტელური ფუტყარი). „შეგუება“ არის აგრეთვე აუცილებელი თუ თქვენი იყენებთ ახალ პლასტმასის ჯამებს, რომელიც ფუტყართან არასდროს არ ყოფილა კონტაქტში.

ყველა მოწყობილობა ახლა უკვე მზადაა, აღმზრდელი ოჯახები შერ-

ფიგ. 13: შევასხურეთ რა  
ძარჩრის სიროფით სადედე  
ჯამებიანი თამასები, მოვა-  
თავსოთ სკაში 2 ან 3 საათით.



ჩეულია და სტიმულირებული. მყნობის შესრულებამდე, ჩვენ წინასწარ აუცილებლად უნდა მოვამზადოთ „სასტარტო“ ოჯახი ან ოჯახები.

## სასტარტო ფუტკრის ოჯახების მომზადება

სასტარტო ფუტკრის ოჯახში უნდა მოვათავსოთ ახლადდამყნობილ სადედე ჯამებიანი ჩარჩოები 24-დან 36-მდე საათის განმავლობაში.

ამ მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი:

ა) სტარტერი სადაც ოჯახი დამწყვრეულია კარგად განიავებად ყუთში;

ბ) სტარტერი სადაც ფუტკრებს თავისუფლად შეუძლიათ შესვლა და გამოსვლა. ეს არის სტარტერი რომელსაც პროფესიონალური მე-ფუტკრეები დიდ უპირატესობას ანიჭებენ მისი სიმარტივის და ეფექტურობის გამო.

გ) დაბოლოს, მეფუტკრეები ცოტა რაოდენობით დედების მისაღებად აობლებენ მხოლოდ ერთ ძლიერ ოჯახს. ერთი კვირის შემდეგ ყველა ბუნებრივად ჩამოშენებული სადედეები უნდა ჩამოვშალოთ, ისე, რომ არ დარჩეს არცერთი. ამის შემდეგ მასში ვათავსებთ თამასებიან ჩარჩოს ახლადდამყნობილი სადედეებით. თუ ეს ოჯახი შეიცავს დიდი რადენობით მკებავ ფუტკარს და დიდი რაოდენობით ჭეოს მაშინ ის გამოდგება არა მხოლოდ სტარტერად არამედ ფინიშიორადაც და მასში შეიძლება დავტოვოთ სადედეებიანი თამასები დაახლოებით ათი დღის განმავლობაში (იხილე კალენდარი 92 გვ.). ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მაღალი ღალიანობის პირობებში, როცა ფუტკარი ეზიდება დიდი რაოდენობით ყვავილის მტვერს, მეორენაირად, ბუნებრივი ნაყრიანობის პერიოდში და მაშინ როცა გვსურს მხოლოდ ერთხელ მივიღოთ მწიფე სადედეები, მცირე რაოდენობით.

## დახურული სტარტერი

ავიღოთ 5-ჩარჩოიანი სკა რომლის ფსკერი მთლიანად დაფარულია მეტალის ბადით ისე, რომ ფუტკრებს არ შეუძლიათ მისგან გამოსვლა. ორი საყრდენი მიმაგრებული კუთხეებში არის სასურველი იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ დამწყვრეული ფუტკრების კარგი ვენტილიაცია.

სკაში ჩავანყოთ ერთი ჩარჩო ჭეოიანი ერთი ჩარჩო თაფლიანი და ჭეოიანი და ერთი მშრალი ჩარჩო ნყლისათვის. სინამდვილეში, როცა ფუტკრებს აქვთ წყალი თავის განკარგულებაში, მაშინ დიდია სადედეების მიღების ხარისხი და დიდი რაოდენობით სადედე რძით მარაგ-

დება ყოველი სადედე. მოვიგონოთ, რომ სადედე რძე შეიცავს 60-70 % ნყალს (ფიგ. 14).

განსაკუთრებით ცხელი ამინდის დროს, დახურული სასტარტო ოჯახის ფსკერზე ვათავსებთ ცივი ნყლით გაუდენთილ „გუბკას“ სკაში ტენიანობის გასაზრდელად. სმიტმა (Smith, 1933) უჩვენა რომ ახალგაზრდა ბარტყი კარგად ვითარდება მხოლოდ მაშინ თუ ტენიანობა აღემატება 95%-ს.

სტარტერი დასახლებულ უნდა იქნას 2-დან 2,5 კგ-მდე ფუტკრით, რისთვისაც მასში ფუტკარი უნდა ჩავბერტყოთ ლია ბარტყიანი ჩარჩოდან, რომელზედაც გვაქვს უფრო მეტად ახალგაზრდა, მომვლელი ფუტკრები. ეს გადაყვანა უმჯობესია მოვახდინოთ მაშინ როცა მუშა ფუტკრის უმეტესი რაოდენობა ნექტარის მოსაზიდადაა გამოსული. ჩარჩოები უნდა ჩავბერტყოთ, რა თქმა უნდა, დედა ფუტკრის იზოლაციის შემდეგ. თუ შევცდებით, ამ ოპერაციის შესრულების დროს, დედა სტარტერშია, ეს შეიძლება შევამოწმოთ იმით, რომ ისინი აღარ გამოსცემენ ისეთ ზუზუნს რომელიც სკაში დედის არყოფნას გამოხატავს.

ახლად დასახლებული სტარტერის დახურვამდე, შუა ადგილზე, ვთოვებთ სივრცეს, სადაც საბოლოოთ ვათავსებთ, ახლადდამყნობილ სადედე ჯამებიან ჩარჩოს. ზოგიერთი მედედე ათავსებს თამასებიან ჩარჩოს, პიდაპირ, მყნობის გარეშე, და საკვებურ განყოფილებაში ას-ხამს დაბალი კონცეტრაციის მქონე სიროფს (30-40% თაფლი/შაქარი) ფუტკრების სტიმულირების მიზნით.

ჩაკეტვის გამო ფუტკრების გაღიზიანების შესასუსტებლად, სტარტერი სკა უნდა მოვათავსოთ გრილ ადგილას, ჩრდილში, ან, უმჯობე-

ფიგ. 14: დახურული სტარტერის სქემა:  
c: ნყლის შემცველი  
მშრალი ჩარჩო,  
m-p: თაფლი/ჭეო  
b: ჯამებიანი ჩარჩო



სიი, სარდაფში, სანამ მასში ჩავდგამდეთ დამყნობილ თამასებს. ამ თავში აღნერილი ხუთჩარჩოიანი სკისათვის, შესაძლებელია მასში ჩავდგათ 2 დამყნობილი თამასა ანუ დაახლოებით 30 სადედე ჯამი.

ეს სისტემა იძლევა ეარგი შედეგების მიღების შესაძლებლობას „ჭირვეული“ ფუტკრებისათვის (იხ. ნინა გვ: შეგუება), მაგრამ მომზადება არის უფრო რთული ვიდრე, მომდევნო პარაგრაფში აღნერილი მეთოდის შემთხვევაში.

## ღია სტარტერი


განსხვავება დახურული სტარტერისაგან არის ის, რომ ამ შემთხვევაში ფუტკრებს შეუძლიათ გარეთ გამოსვლა და ნექტარის, ყვავილის მტვერის და ნკლის მოზიდვა. ღია სტარტერის უპირატესობა არის ის, რომ ის იძლევა დიდი რაოდენობით სადედე უჯრედების მოვლის შესაძლებლობას მოცემულ სეზონში, ყოველგვარი პრობლემების და საჭირო სპეციალური მოწყობილობების გარეშე. (ფიგ. 15).

ღია სტარტერი შედეგება ორი სტანდარტული, ერთმანეთზე დადგმული A და B კორპუსისაგან, რომელთა შორის მოთავსებულია დედის გაუმტარი ანუ განემანის ბადე (ფიგ. 16).


ზედა B ნანილში არის დედა და ნარმოადგენს უხვფუტკრიან, ჩვეულებრივ სკას. იგი საშუალებას იძლევა სტარტერი მოამარავოს ახალგაზრდა ფუტკრებით, რომელიც საჭიროა ახალგაზრდა ჭუპრების გასაზრდელად და გამოსაკვებად. A სექციას აქვს 5 ან 6 თაფლიანი |ჭეოიანი და ერთმანეთთან მიდგმული ჩარჩოები ისე რომ არსებობდეს სივრცე საჭირო ხშირი გადანაცვლებისათვის და ისეთი, რომ ფუტკრებს თავისუფლად და უფრო სწრაფად შეეძლოთ ვარდნა თავიანთ ადგილებში მისასვლელად. ორი ჩარჩო ჭეოიანი და ორიც თაფლიანი მოთავსებულია ჯამებიან ჩარჩოს ორივე მხარეს აგრეთვე აქ მოთავსებულია მშრალი ჩარჩო სადაც ფუტკრებს შეუძლიათ შეინახონ სიროფიდან და ასევე ბუნებიდან მოზიდული მოსავალი.

ეს სტარტერი საჭიროებს ფსკერს, საკვებულს და სახურავს ასევე ბადეს საფრენის ჩასაკეტად. ამის შემდეგ შეგვიძლია მოვახდინოთ მისი დასახლება. ფუტკრები უნდა ჩაიძერეთყოს მასში დამყნობამდე მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე. ამის გასაკეთებლად უხვად დაუბოლოთ B კორპუსის ფუტკრებს ისე, რომ მათმა ნანილმა ნახონ თავიანთი თავშესაფარი A კორპუსში დედის გაუმტარი ბადის გავლის შემდეგ (ფიგ. 19).

დავრწმუნდეთ, რომ B კორპუსში ფუტკრები დარჩა საკმარისი რაოდენობით დედა ფუტკართან ერთად რაც აუცილებელია მასში ბარტყყიანი ჩარჩოების ტემპერატურის შესანარჩუნებლად. როცა ქვედა კორპუსში იქნება დაახლოებით 2.5-3 კვ ფუტკარი მოვათავსოთ BB სტარ-




ფიგ. 15: აღმზრდელი ოჯახი, ლია სტარტერით.



ფიგ. 16: სეიის ორი  
კორპუსი,  
გამოყოფილი  
დედის გაუმტარი  
ბადით.


ტერის უკან და დავაკვირდეთ, რომ დედა ხომ არ დარჩა დედის გაუმტარ ბადეზე. შემდეგ სასწრაფოდ დავხუროთ ეს სკა და საფრენი ჩავკეტოთ ბადით (ფიგ. 20).

იმ დროს როცა ხდება დასამყნობი მოწყობილობების მომზადება, ჭუპრიანი ჩარჩოს შერჩევა საჯიშე ფუტკრის ოჯახიდან და ვახდენთ მყნობას ამ დროს სტარტერი იწყებს დაობლების შეგრძნებას. ინტენსიური ზუზუნი იქნება უკვე იმის მომასწავებელი, რომ ფუტკრებმა უკვე შეიგრძნეს დაობლება. ერთი შენიშვნა: ეს სტარტერი არ უნდა იყოს ძალიან ახლოს, სხვა დედის შემცველ სკასთან, რადგან გარკვეული რა-




ფიგ. 17: დამყნობილ ჯამებიანი სტარტერის სახურავი არის უძრავი ფსეული B-კორპუსისათვის.


ფიგ. 18: დაობლებული სექცია A მზადაა დამყნობილ ჯამებიანი ჩარჩოების მისაღებად, დაობლებიდან 2 ან 3 საათის შემდეგ.



ოდენობით შეიძლება მოხდეს ფუტკრის გადასვლა და სტარტერი შეიძლება გაღარიბდეს. არსებითად შეიძლება მოხდეს ისე რომ ის სულ დაიცალოს. დაცლისადმი მიღრეკილება მეტნაკლებად დამოკიდებულია ჯიშზე. იტალიური ჯიში ყველაზე მგრძნობიარეა ამ მოვლენის მიმართ. სამაგიეროდ, კარნოლის ფუტკარი (*m carnica*) საკმაოდ სტაბი-



ფიგ. 19: ფუტკერების  
ჩაღენა A კორპუსში  
დაბოლებით.



ფიგ. 20 შევამონმებო დედა  
ხომ არ დარჩის გამყოფ  
ბაღეზე დაბოლების  
შემდეგ.


ლურად რჩება ასეთ ღია სტარტერში. Tibor Szabo-ს (1986) თანახმად კა-  
ლიფორნიის მედედების 62% იყენებს ღია სტარტერს.

სტარტერის მომზადებიდან ორი ან სამი საათის შემდეგ ახლად დამ-  
ყობილი ორი ან ოთხი ჯამიანი თამასა იდგმება თითოეულ სტარტერ-  
ში ცარიელ ჩარჩოზე. მიცემული თამასების რაოდენობა დამოკიდებუ-  
ლია სეზონზე და ფუტკერების რაოდენობაზე. ჯამების მიცემის მომენ-  
ტში საკვებული ვასხამთ, დაბალი კონცენტრაციის მქონე შაქრის სი-  
როფს (30-40%), იმისდა მიხედვით თუ როგორია ღალიანობა ბუნებაში  
სიროფს ვასხამთ საკვებულ სექციაში (ფიგ. 21). საკვების შემცირების

დროს სიროფის მიღებამ შეიძლება შეზღუდოს თავდასხმების ინტენსივობა მცირე დალიანობის პირობებში.

განვითარების პროცეში მყოფი სადედე ჯამები გადაიტანება აღმზდელ ოჯახში (ფინიშიორი) მისი სტარტერში 24 საათის ყოფნის შემდეგ. ეს ჩარჩო შეიძლება გადავიტანოთ თავისი ფუტკრებით და საკვებულით ფინიშიორში, რადგან ის შეიცავს უფრო მეტად ახალგაზრდა ფუტკარს და საკვებს.


როცა განვითარების პროცეში მყოფი სადედე ჯამები ამოღებულია



ფიგ. 21: მცირე სიროფი ყოველი ოპერაციის დროს ზრდის დამყნობილი ჯამების მიღების პროცენტი.

სტარტერი უნდა დავაბრუნოთ, ეგრეთ წოდებულ, ბუნებრივ მდგომარეობაში (ფიგ. 22). A კორპუსის თავზე არის მოთავსებული განემანის ბადე და შემდეგ B კორპუსი მის თავზე. მცირე რაოდენობით სიროფი სტიმულს მისცემს ასეთ შედგენილ ოჯახს.

ორი დღის შესვენების შემდეგ ამ სტარტერს შეიძლება მივცეთ ახალი სერია სადედე ჯამებისა. ასეთი თანმიმდევრობა შეიძლება განმეორდეს მთელი სეზონის განმაბლობაში. დაბურულ ბარტყიანი ჩარჩოებით ის პერიოდულად უნდა შევავსოთ, იმისათვის რომ არ შემცირდეს ფუტკრების რაოდენობა. სტარტერის მოწყობის ეს მეთოდი გამორიცხავს დედის მოძებნის საჭიროებას და იძლევა შესაძლებლობას A სეის ფუტკრებმა მოზიდონ ყვავილის მტკვერი, რაც მნიშვნელოვანია გამოზრდისათვის, და მიიყვანოს სადედე ჯამები ისეთ კარგ მდგომარეობაში, რომ იქნებან მივიღოთ საუკეთესო ხარისხის დედები.



ფიგ. 22: სადედე უჯრედების ამოღების შემდეგ, სტარტერს აბრუნებენ,  
სანყის, ეპრეთ ნოღებულ, ძუნებრივ მდგომარეობაში.


## სანაყრე ყუთი

სანაყრე ყუთით მუშაობა მოითხოვს უფრო მეტ შრომას ვიდრე ზე-მოალნიშნული მეთოდები, მაგრამ იძლევა შესაძლებლებლობას გამოვ-ზარდოთ, კარგ მდგომარეობაში მყოფი, სადედე უჯრედები დიდი რა-ოდენობით. ყოველი ჭუპრი უკეთესად მარაგდება სადედე რძით ვიდ-რე სხვა მეთოდების გამოყენების დროს. ეს მოწყობილობა შედგება ქვე-და სექციისაგან, რომელიც აღჭურვილია განემანის ბადით რომლის ზე-მოთ მოთავსებულია 5-6 კგ ახალგაზრდა ფუტკრიიანი სეა და თაფლია-ნი-ჭეოიანი ჩარჩოები. მშრალი ფიჭა იდგმება ონკანის ქვეშ და მასში ისხმება წყალი რაც აუცილებელია, რადგან ფუტკრებისათვის მოით-ხოვება მაღალი ტენიანობა (ფიგ. 23).

ფუტკრებიანი ყუთი, როგორც სტარტერი გამოიყენება მხოლოდ სა-მი დღის განმავლობაში. ის უნდა დაიღვას საფუტკრეში გრილ ადგი-ლას, ჩრდილში ან სარდაფში.

სტარტერისათვის საჭირო ფუტკრები უნდა შევაგროვოთ შუადღისას იმისათვის რომ მასში მოხვდეს მაქსიმალური რაოდენობის ახალგაზრდა ფუტკარი. ეს მეთოდი აღნერილია თავში „ამანათნაყრების დამზადება“ გვ. 96. პირველ დღეს, ფუტკრების დასახლებიდან 2 საათის შემდეგ, სანაყრე ყუთს შეიძლება მივცეთ 120 სადედე უჯრა ანუ 15 უჯრიანი 8 თამასა. 24 საათის შემდეგ ეს თამასები გადაგვაქვს აღმზრდელ ოჯახში (ფინიშიორში) და ამავე ყუთში შეგვიძლია ჩავდგათ, ახლადდამყნობილი 6 თამასა. ხოლო ბოლო დღეს მასში შეიძლება ჩავდგათ სადედე ჯამებიანი 4 თამასა.

ამ ოპერაციების შემდეგ სანაყრე ყუთში არსებული ფუტკრები უკვე ხდებიან ძალიან ხნიერი და ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ნუკლეუსების გასაძლიერებლად. (მეთოდი აღნერილია თავში „ამანათნაყრების მომზადება“ გვ. 96).



ფიგ. 23: სანაყრე ყუთის ხედი.

ჩვენ ოდნავ დავარღვიეთ ოპერაციების აღნერის თანმიმდევრობა, მაგრამ ეს აადვილებს სტარტერის გამოყენების გაგებას. მყნობის შესახებ მსჯელობის განხილვამდე ჩვენ შევეხებით ძირითად საჯიშე ფუტკრის ოჯახის საკითხებს.


## სანამყენე ჭუპრიანი ჩარჩოების შერჩევა

მყნობისათვის საჭირო ახალგაზრდა ჭუპრიანი ჩარჩო უნდა ამოვიღოთ წინასწარ შერჩეულ „სადედე ოჯახიდან“ ანუ საჯიშე ოჯახიდან (იხ. გვ. 18 საჯიშე ოჯახის შერჩევა ანუ სელექცია). ეს საჯიშე ფუტკრები ინახებიან მცირე მოცულობაში, სპერმათეკის რეზერვის დაზოგვის მიზნით.

მყნობის ოპერაციის გასაადვილებლად 1 მშრალ მოძველებულ, მუქ ფიჭიან ჩარჩოს (იმისათვის, რომ ახლადგამოჩეკილი ბარტყი ადვილად გამოჩნდეს ჩარჩოს ფსკერზე) დგამენ „სადედე სეის“ შუაში, მყნობის დაწყებამდე 5 დღით ადრე. ახლადგამოჩეკილი ჭუპრის მოპოვების მეორე მეთოდი არის ის, რომ დედას ვამწყვრევთ სამჩარჩოიან განყოფილებაში ვერტიკალური განემანის ბაზის საშუალებით (ფიგ. 24). ამ განყოფილებაში უნდა იყოს ერთი მშრალი ჩარჩო ჩასაკვერცხად და აგრეთვე თოთო-თითო, თაფლიანი და ჭეოიანი ორი ჩარჩო.

განემანის ბადეზე მიუთითებს მეფუტკრე. ყუთის გვერდითი მინამატი საკვებურია.

მეოთხე დღეს გამოჩეკვის პერიოდია რაც იძლევა შესაძლებლობას მოვიპოვოთ ახალგაზრდა ჭუპრი რომელიც აუცილებელია ნარმატებული მყნობისათვის (ფიგ. 25). განყოფილების გამოყოფის მეთოდის



ფიგ. 24: „საჯიშე“  
განყოფილება.

გარკვეული უპირატესობა ისაა, რომ ის ზღუდავს კვერცხდების სიუხვეს 'საჯიშე სკაში' ამის გამო დედა ხარჯავს უფრო ცოტა სპერმას თავისი სპერმათეკიდან.

როცა სკაში ვათავსებთ ცარიელ ჩარჩოს, რათქმა უნდა, საკვებიც უნდა მივცეთ კვერცხდების სტიმულირების მიზნით. ეს აღაგზნებს



ფიგ. 25: „მყნობის“ დროს  
ჭუპრების მერჩევა (სელექცია) არის მთავარი.


მკვებავ ფუტკრებს რათა მათ გამოჰყონ დიდი რაოდენობით სადედურძე, უფრო მეტად თხევადი სახით. ასეთი კვების შემდეგ ახლადგამოჩეკილი ჭუპრი ცურავს უხვი რაოდენობის სადედე, მბრნებინავი რძეს სანოლში რაც აადვილებს მის გამოცნობას და უჯრის ფსკერიდან მის ამოვებას.

ამ ჭუპრიან ჩარჩოს ფუტკრები მოვაშოროთ ფრინველის ფრთით ან ფუტკრის ჯაგრისით და არა ჩარჩოს ჩაბერტყვით, იმისათვის, რომ კვერცხი არ ჩამოცვივდეს და ახლადგამოჩეკილი ჭუპრი არ დაზიანდეს ან არ ჩაიძიროს ისინი უფრო ღრმად, რაც გააძნელებდა მათ ამოვერფას.

## ჭუპრის გადაყვანა ანუ „მყნობა“

ეს არის ახალგაზრდა, სამუშა ჭუპრის სადედე ჯამებში გადაყვანის პროცესი. ჭუპრის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, იდეალური იქნებოდა თუ ეს ასაკი 12 საათზე ნაკლები იქნება. ასეთი ახალგაზრდა ჭუპრი არის ჯერ კიდევ გამჭვირვალე და თითქმის სწორი, ისინი არ ჰგვანან უფრო ხნიერ ჭუპრებს (ფოგ. 26).

ანგლო- საქსელი მედედები ერთპიროვნულად აღნიშნავენ, რომ გადაყვანილი ჭუპრის ასაკი დიდ გავლენას ახდენს გამოყვანილი დედის ხარისხზე. ჩვენ დროში მოითხოვება რაც შეიძლება ახალგაზრდა ჭუპრის გადაყვანა სადედე ჯამში, რამდენადაც ეს შესაძლებელია კარგი მხედველობის და ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით. თუ მხედველობა და ფიზიკური შესაძლებლობა ხელს არ გვიწყობს მაშინ უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნერილი ცილინდრული საჭრისი ან ნათუ-




ფოგ. 26: სამუშა ემპრიონის და ჭუპრის განვითარება.

რა - ლინზისაგან დამზადებული მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ ახალ ზელანდიაში (ფიგ. 27 და 28).

მყნობა უნდა შესრულდეს შესაფერის ადგილას, სადაც ტემპერატურა არის დაახლოებით  $25^{\circ}\text{C}$ , ხოლო ტენიანობა დაახლოებით 75 % და უნდა იყოს კარგად განათებული (მაგალითად ჰალოგენური ნათურით, ღლის სინათლის ნათურით).



ფიგ. 27:  
მყნობა




ფიგ. 28: ნათურა-ლინზის  
სისტემა, გვაძლევას  
შესაძლებლობას  
აღვილად შევარჩიოთ  
უძირესი ჭუპრები.

ნათურა-ლინზის სისტემა იძლევა შესაძლებლობას შევარჩიოთ ძალინ ახალგაზრდა ჭუპრები (აქედან მიიღება გამოთქმა 'ზუსტი მყნობა'), ყოველგვარი ზედმეტი პრობლემების გარეშე. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ნათურამ არ გაახუროს ის ჩარჩო რომლიდანაც ამოგვყავს ჭუპრები. ეს განათება შეერთებული უნდა იყოს მუდმივი დენის წყაროსთან იმისათვის რომ თვალები არ დაგველალოს. თუ ეს მოთხოვნები შესრულდება მაშინ ჭუპრები გადაყვანილ იქნება კარგად.

ჭუპრების გადასატანი მოწყობილობის ტიპს, როგორც ჩანს არ აქვთ დიდი მნიშვნელობა, მისი დახმარებით მეფუტკრე ამოკრიბავს და გადაიტანს ჭუპრებს სადედე ჯამებში დაზიანების გარეშე. სანამყენე ხელსაწყოს, რომელიც ცნობილია როგორც „ამომკრები“ ხელსაწყო აქვთ თავისი უპირატესობა თუ მას ჭუპრთან ერთად ამოაქვს სადედე რძეც. ასეთი ამომკრები ხელსაწყო შეიძლება დავამზადოთ საკმაოდ მარტივად, ველოსიპედის სპიცის ნაჭრისაგან თუ მას სათანადო მოვლუნავთ, ბოლოს მოუმრგვალებთ და გავაპრტყელებთ. ცნობილია, რომ ზოგიერთი მეფუტკრე, რომელსაც მობეზრებული აქვს ჭუპრების ამოკრეფა, აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი კბილის ექიმის მიერ ნაჩუქარი ზონდი (შეიძლება ის ვიშოვოთ სამედიცინო მაღაზიაში – იხილე მეფუტკრეობის ხელსაწყოების რომელიმე კატალოგი). ეს არის იდეალური ხელსაწყო ამ სახის ოპერაციებისათვის. მღებავის მცირე ჯაგრისი (№00) არის აგრეთვე საკმად დამაკმაყოფილებელი ხელსაწყო ჭუპრის ამოსაყვანად. ძალიან კარგია სიასაამურის ჯაგრისი, რომლის ბენვზეც კარგად ეკრობა ჭუპრი და რომლისთვისაც არ არსებობს ჭუპრის დაზიანების რისკი მყნობის დროს. ის ნამდვილი პროფესიონალის ხელსაწყოა. გამოდგება აგრეთვე ფრინველის ფრთა. მას იყენებდნენ პირველი მედედები, მაგრამ ახლაც იყენებენ ზოგიერთ ქვეყანაში. (ფიგ. 29). დღესაც კი, მეფუტკრეობის მოწყობილობების მომმარავებლები, ჰყიდიან ე. ნ. „ჩინურ“ სანამყენე ხელსაწყოს, რომელიც დამზადებულია ბატის ფრთისაგან. გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აშორების მიზნით ყოველი სანამყენე მოწყობილობის რეგულარული სტერილიზაცია უნდა მოვახდინოთ სპირტის საშუალებით.

ჭუპრიანი ჩარჩო უნდა დავამაგროთ მოხერხებულ შტატივზე ისე,



ფიგ. 29: თამასა მარცხენა ხელში, მაჩვენებელი თითო გვიჩვენებს თუ საღუნდა ჩავსვათ ჭუპრი.


რომ შეიძლებოდეს მისი მობრუნება სინათლისაკენ. ამის შედეგად ორი-  
ვე ხელი თავისუფალია. ეს ძალინ მნიშვნელოვანია, რადგან თქვენ მა-  
შინ შეგეძლებათ ერთ ხელში დაიჭიროთ თამასა, საჩვენებელი თითოთ  
უჩვენოთ დასამყნობი სადედე ჯამი (ფიგ. 29 და 31), ჩარჩოს ხელში და-  
ჭერის გარეშე. ზოგჯერ წყლის წვეთი ან წვეთის ნარევი სადედე რძეს-  
თან,  $35^{\circ}\text{C}$  -ის ტემპერატურისა, შეიძლება მოვათავსოთ სადედე ჯამში,  
გასში ახლადგამოჩეკილი ჭუპრის გადაყვანამდე. ეს ოპერაცია რეკო-  
მენდირებულია ჭუპრების გამოშრობის თავიდან ასაცილებლად, კერ-  
ძოდ როცა დროის შუალედი მყნობის დაწყებიდან სადედე ჯამების  
სტარტერში ჩადგმამდე, რამდენიმე ნუთზე მეტია. ეს შეიძლება მოხ-  
დეს სადედე რძის მოსაპოვებელი თამასებისათვის. მაგრამ, დედის გა-  
მოსაყვანად საჭირო მყნობის დროს, აუცილებელია დამყნობილი სა-  
დედე ჯამები რაც შეიძლება სწრაფად მოვათავსოთ სტარტერში. მკვე-  
ბავი ფუტკრები მაშინვე მიაკითხავენ ახალგაზრდა ჭუპრებს და ამი-  
ტომ წყლის წვეთი არაა აუცილებელი.

ბევრი სახელმწიფო მეფუტკრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მყნო-  
ბისათვის საჭირო დროის შუალედს. თამასის რაც შეიძლება მცირე და-  
ყოვნება სტარტერში ჩადგმამდე უმჯობესია დედისათვის რადგან  
ჭუპრს არ ექნება პაუზა კვებაში. გარკვეული პრაქტიკის შემდეგ შეიძ-  
ლება მივაღწიოთ, ფუტკრებისაგან სადედე ჯამების მიღების 95% ზე  
მეტს.

## ორმაგი მყნობა

სამუშე ჭუპრს ათავსებენ სადედე უჯრაში და 36-48 საათის შემდეგ  
მას შეცვლიან, სხვა, ახალგაზრდა ჭუპრით. ეს უკანასკნელი ცურავს  
მისი ასაკისათვის მნიშვნელოვანი, უხვი, სადედე რძის აუზში. ამ ოპე-  
რაციის მიზანი არის ის, რომ გაუმჯობესდეს სადედე ჯამების მიღების 95% ზე  
მეტს.

ფიგ. 30: სადედე უჯრის  
ნექცია 24 საათით, მისი  
ღია სტარტერში  
ყოფნის შემდეგ. ორმაგი  
მყნობისას პირველი  
ჭუპრი უნდა შევცვალოთ  
ძალიან ახალგაზრდა  
ჭუპრით, რომელიც  
ეცლავ უნდა ჩავსვათ  
სტარტერში 24 საათით.




მაშასადამე, დედის ხარისხიც, სადედე რძის შემადგენლობა იცვლება ჭუა-  
 რის ასაკთან ერთად და მის სიახლეს აქვს დიდი მნიშვნელობა. (ფიგ. 30).

რამდენიმე მკვლევარმა შეისწავლა ორმაგი მყნობის სარგებლიანო-  
 ბა და მოგვაწოდა თავიანთი მოსაზრებანი. VOLSEVICH-ი თვლის, რომ  
 ორმაგი მყნობით მიღებული დედები თითქმის იგივე ხარისხისაა რო-  
 გორიც სანაყრე უჯრებიდან მიღებული. G. D. BILASH და H. MONTAGNER  
 ამტკიცებენ, რომ ამ ტექნოლოგიით გამოყვანილი დედები უფრო მძი-  
 მეა ვიდრე ერთმაგი მყნობის შედეგად მიღებული. მიუხედავად ამისა,  
 ამერიკულ კატალოგებში შემოთავაზებული ორმაგი მყნობით მიღებუ-  
 ლი დედები რამდენიმე დოლარით უფრო ძვირია ვიდრე ჩვეულებრივი.

## ჭუპრის გადანერგვა ცილინდრული მკვეთით

1952 წელს OROSI-PAL-მა განავითარა ორდლიანი კვერცხის შემც-  
 ველი ფსკერის ამოკვეთის ტექნოლოგია სამუშე უჯრიდან. R. JORDAN-  
 ის მიხედვით (1953) ამ გზით მიიღება უკეთესი ხარისხის დედები, მაგ-  
 რამ ფუტკრებისაგან სადედების მიღების პროცენტი იშვიათად აღე-  
 მატება 50%-ს და ოპერაციის შესრულების პროცესი დიდხანს ჭიანურ-  
 დება.

დღევანდელ პირობებში ეს მეთოდი თითქმის უარყოფილია, მაგრამ  
 აღმოსავლეთის ქვეყნებში ჭუპრის გადანერგვის მეთოდი ცილინდრუ-  
 ლი მკვეთით ჯერ კიდევ შემორჩა, თავისი შემცირებული სადედების  
 მიღების პროცენტით. ეს მეთოდი მკაცრად რეკომენდირებულია იმ მე-  
 დედებისათვის რომელთა მხედველობა დაბალია, მათთვის სანამყენე  
 ხელსაწყოს წარმოადგენს ცილინდრული მკვეთი, რომელიც შეიძლება  
 შევიძინოთ მეფუტკრეობის მაღაზიაში. ის თქვენ შეიძლება გააკეთოთ  
 ბურთულიანი კალმის ლეროსაგან თუ მის 3 მმ ბოლოს მოვხერხავთ.  
 მაშინ ლერო იქნება „პისტონი“ რომელიც დააწვება რა უჯრის ფსკერს




ფიგ. 31: ჭუპრის შემცველი  
 უჯრის ფუძის ამოკვეთა  
 ცილინდრული მკვეთით.

იქედან ამოკვეთავს სანთლის იმ ნაწილს, რომელზედაც ჭუპრია მოთავ-  
 სებული (ფიგ. 31). იმისათვის, რომ ადვილი იქნეს უჯრის ფსკერის ნა-  
 ნილის ამოკვეთა ჭუპრიანი ფიჭა უნდა იყოს ახლადაშენებული, მისი  
 ფსკერი რბილი და სუფთაა.


ახალგაზრდა ჭუპრების შემცველ ჩარჩოს ძალიან ფრთხილად უნ-  
 და მოვეპყრათ, იმისათვის, რომ ჭუპრებმა არ გადაინაცვლოს უჯრის  
 ცენტრიდან.

ჯამები, რომელიც მიიღება უჯრედის ფსკერის ამოკვეთით იღებს  
 შევინროებად ფორმას რომელსაც ფსკერთან აქვს მცირე სილრუე ყო-  
 ველი უჯრის ფერთან. ეს შევინროებადი სექცია უნდა იყოს იმავე დი-  
 ამეტრის როგორც „კალმის“ ბოლო და უნდა ჰქონდეს 1-1,5 მმ-მდე სილ-  
 რმე. უჯრედის ჯამები კეთდება ისევე როგორც ჩვეულებრივი ჯამები  
 (იხ. ნინა თავი).

სამართებლით ან გამთბარი დანით მოვკვეთავთ ფიჭის ერთ მხარეს  
 იმისათვის რომ ჭუპრიანი ფუძე მთლიანად ამოვილოთ თავისი ფუძით  
 (ფიგ. 32). ამის შემდეგ შეუდგებით ჭუპრიანი უჯრის ფუძის ამოკვე-  
 თას და მის გადატანას სადედე ჯამში. მკვეთის ბოლო ხშირად უნდა  
 ჩავყოთ ნყალში იმისათვის რომ მას არ მიეკრას სანთელი. ამის შემდეგ  
 ამოვკვეთოთ ახალგაზრდა ჭუპრი და ვიყოთ ფრთხილად არ შევეხოთ  
 მას.



ფიგ. 32: სანთლის დისკის  
 ამოკვეთა. ფრთხილად,  
 რომ არ და ჩიანდეს  
 ახალგაზრდა ჭუპრი.



ფიგ. 33: „კალმის“ ნეერის  
 უბრალო დაჭერით ჭუპრი  
 თავსდება ჯამში.



როგორც კი ჭუპრიანი ფიჭის დისკი იქნება ამოკვეთილი, ჩავსვათ ის სადედე ჯამის ფუძეში „პალმის“ ბოლოს, უბრალო, დანოლით (ფიგ. 33). სანთლის დისკი თავისი ჭუპრით შეიძლება უბრალოდ გამოვაგდოთ ნემსის წვერით და ჩავსვათ სადედე ჯამის ფსევრის ცენტრში. როგორც კი მთელი თამასა იქნება შევსებული, ის მაშინვე, უნდა მოვათავსოთ სტარტერში და დავტოვოთ მასში 24 საათით.

დაბოლოს, თუ მხედველობა ხელს არ გვინყობს მყნობის ჩასატარებლად, და თუ გამოსაყვანი დედების რაოდენობა შეზღუდულია, JENTER-ის მიერ შექმნილი (გერმანია) ან CUPULARVE-ს მიერ გამოგონებული სისტემები, თავიანთი ინსტრუქციებით არიან მისანვდომი სპეციალური მეფუტერეობის მაღაზიებში. ამ მოწყობილებების გამოყენების დროს თქვენ წინასწარ უნდა დაიჭიროთ დედა და ვაიძულოთ ის კვერცხი ჩადოს ჩვენთვის საჭირო სადედე ჯამებში.

ჩვენი პროგრამის პირველი ფაზა დამთავრებულია. სტარტერში სადედე ჯამებს ვტოვებთ 24-36 საათის განმავლობაში, მათში, ამის შედეგად გროვდება დიდი რაოდენობით სადედე რძე (ფიგ. 34 და 35).

სადედე ჯამები, ახლა უკვე, უნდა გადავიტანოთ სკაში, რომელსაც ეწოდება „ფინიშერი“ (ანუ ჩვენში მიღებულია ალმზრდელი ოჯახი მთარგ). ვიდრე დეტალებში გავერკვეოდეთ, ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ძირითად მოთხოვნებზე, რომელიც აუცილებელია და ვიცვათ მაღალი ხარისხის დედების გამოსაყვანად:

- საჯიშე და ალმზრდელი ოჯახების მკაცრი სელექცია,
- კარგად დასახლებული სკები,
- უხვი რაოდენობის ჭეოს არსებობა მკვებავი ფუტკრებისათვის,
- სიროფით კვება, თუნდაც ცოტა რაოდენობით, ყოველი ოპერატორის შემდეგ,



ფიგ. 34 და 35: სადედე უჯრედები, ღია სტარტერში, 24 საათის ყოფნის შემდეგ.

- რაც შეიძლება ახალგაზრდა ჭუპრების გამოყენება მყნობისათვის,

- ჭუპრის, რაც შეიძლება, მცირე დროით დაყოვნება მყნობის ოპერაციის დამთავრების შემდეგ სტარტერში ჩადგმამდე.



დედების გამოყვანა კუნძულ რეუნიონზე.

## აღმზრდელი ოჯახი (ფინიშიორი)


როგორც კი სადედე ჯამები 24 საათს გაატარებს სტარტერში ისინი უნდა გადავიტანოთ აღმზრდელი ოჯახის უდედო განყოფილებაში. ისინი იქ უნდა ვამყოფოთ სრულ მომწიფებამდე (მათთვის მოითხოვება იზოლიაცია გამოჩეკის ნინ) ან, როგორც ჩვენ დავინახავთ მომდევნო თავში, ისინი შეიძლება გადავიტანოთ გადაბეჭდვისთანავე ინკუბატორში ზუსტად გაუნაყოფიერებელი დედების გამოსვლის ნინა დღემდე.

ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ვერტიკალური ან ჰორიზონტალური, ერთმაგი ან ორმაგი აღმზრდელი ოჯახი. პრინციპი ისეთივეა, როგორც სხვა შემთხვევაში. ახალგაზრდა ფუტკარი ყოველ კვირაში მოითხოვს შევსებას.

სპეციალური ზომები უნდა იქნას მიღებული, იმისათვის, რომ ფუტკარი დავიცვათ ვაროატოზისაგან. ვაროები შეიძლება გამრავლდეს სადედე უჯრებში, დააზიანოს დედა ან გახდეს მისი სიკვდილის მიზეზი.


## პორიზონტალური სკა ალმზრდელი ოჯახისათვის

ალმზრდელი ოჯახისათვის პორიზონტალური სკის (ფიგ. 36-დან 40-მდე) დანიშნულებაა ჭუპრის გადაყვანის გამარტივება. ესაა სისტემა, რომელიც გამოიყენება უმრავლესობა პროფესიონალური მეფუტკერების მიერ. ის შედგება ძალიან ძლიერი (A) ფუტკრის ოჯახისაგან და დაობლებული (B) სექციისაგან, რომელშიდაც ჩავდგამთ საჭედე ჯამებს, სტარტერში ყოფნის შემდეგ.



ფიგ. 36: პორიზონტალური სკა ალმზრდელი ოჯახისათვის.

შენიშვნა: B დაობლებული სექცია, რომელშიდაც იდგმება ორი თამასა თითოეული 15 სადედე ჯამით. ეს რაოდენობა არ შეიძლება გაიზარდოს რადგან სასურველია სადედე რძის მაქსიმალური რაოდენობის არსებობა თითოეულ უჯრაში, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის დედების მისაღებად.




ფიგ. 37: მჭიდროდ დასახლებულ A სექციაში არის დედა.




ფიგ. 38: უდედო B სექცია გამოყოფილია A საგანგანებანის ბადით.

ახალგაზრდა ფუტკრების A-დან B-ში გადაყვანის მიზანია მომვლელი ფუტკრების მოზიდვა ამ სექციაში, რათა უხვი საკვებით და სადუდე რძით მომარაგდეს მომავალი დედები.


ფაქტიურად, ჩარჩოები ისეა განლაგებული, რომ გარდაქმნილ ოჯახში ფუტკრები განანილებულია დედის გამყოფი ბადის ორივე მხარეს. სადედე ჯამები აღმზრდელ ოჯახში რჩება 9 დღის განმავლობაში, ვიდრე დედის გამოსვლამდე ერთი დღე დარჩება. მასში ჯამების სტარ-



ფიგ. 39: საკუებურიანი ჩარჩო, სადედე ჯამებიანი თამასებით, მოთავსებულია მეორე პოზიციაში, კერტიკალური, დედის გამყოფი ბადის შემდეგ, რომელიც A-ს შეიოთხება. B-სავან.




ფიგ. 40: პორიზონტალური სკის დიაგრამა აღმზრდელი ოჯახისათვის.  
 c: ღია ბარტყი (ახალგაზრდა ჭუპრი)  
 b: თამასებიანი ჩარჩო  
 o: ჭეო, გამომავალი ბარტყი  
 p: თაფლი და ჭეო  
 e: შესაძლებელი მარაგი, სივრცე რომელიც იძლევა მანიპულირების შესაძლებლობას.



ფიგ. 41: მცირე კონცენტრაციის სიროფის ჩასხმა საკვებულში იზიდავს ფუტკარს დედის გამოძყან ჩარჩოზე.

ტერიდან გადმოტანისთანავე ჩავდგათ ღია ბარტყიანი ჩარჩოები, ე. ი. ყოველ 9 დღეში ერთხელ. აგრეთვე, თუ ამინდი არ არის შესაფერისი, საკვების მიცემა აუცილებელია, სანამ უჯრედები არ გადაიპეჭდება, ე. ი. პირველი 4 დღის განმავლობაში. იმის შემდეგ როცა დამყნობილ ჩარჩოებს მოვათავსებთ აღმზრდელ ოჯახში ( ფიგ. 41). ასეთმა რეგულარულმა კვებამ შეიძლება გამოიწვიოს ფიჭების აშენება, რომელიც



ფიგ. 42: ორმაგი აღმზრდელი ოჯახის ხედმა.

ც: ღია ბარტყიანი ჩარჩო, ბ: თამასებიანი ჩარჩო, ი: ჭეო და გადაბეჭდილბარტყიანი, ღ: თაფლიანი და ჭეოიანი ან სადედე ჯამებიანი ჩარჩოების მონაცვლეობა.

ერთმანეთთან აერთებს სადედე ჯამებს და აძნელებს მოსავლის მიღებას. თავიდან რომ ავიცილოთ ეს „პარაზიტული კონსტრუქციები“, სადედე ჯამებს იცავენ პლასტმასის დამცავებით გადაბეჭდვისთანავე, რომელსაც „ბიგული“ ეწოდება.

ორმაგი აღმზრდელი ოჯახი (ფიგ. 42) ხელს უწყობს ახალგაზრდა ბარტყის გადანანილებას. ის შედგება ორი ძალიან ძლიერი ოჯახისა-გან ორივე ბოლოში და ერთი უდედო სექციისაგან ცენტრში, რომელიც ორივე ბოლოდან გამოყოფილია დედიანი ოჯახებისაგან, დედის გამყოფი ბადით.

ასეთი სახის ორმაგი ჰორიზონტალური აღმზრდელი ოჯახიდან ყოველ კვირაში შეიძლება ამოვილოთ ორ ორი, ღია ბარტყიანი ჩარჩო, ხან ერთი და ხან მეორე დედიანი განყოფილებიდან, მონაცემებით. ამ გზით შუა განყოფილება ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება უხვი საკვებით, მაშინაც კი ორცა რომელიმე დედას რაიმე ავარია მოუხდება. გარდა ამისა დიდი რაოდენობის ფუტკრების წყალობით, უმაღლესი ხარისხის სადედები მიიღება, ძალიან ადრე, სეზონის დასაწყისში. უმჯობესია გვყავდეს ერთნაირი ასაკის დედები იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ ფუტკრების გადანანილებას ერთი განყოფილებიდან მეორეში (ძველი დედიდან ახალგაზრდა დედისაკენ). ცენტრალური განყოფილება ფუტკრისაგან იცლება დაზამთრების პერიოდში. უნდა დავრჩნებულეთ იმაში, რომ არის თუ არა საიმედოდ ჩაკეტილი დედის დამჭერი ბადე, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან ამ განყოფილებებს.

## ვერტიკალური სკა აღმზრდელი ოჯახისათვის

ბევრად უფრო ნაკლებად ჰორიზონტიულია ვიდრე ჰორიზონტალური სკა აღმზრდელი ოჯახისათვის. მიუხედავად ამისა, ის სასარგებლოა რადგან იძლევა სტანდარტული მონყობილობების გამოყენების შესაძლებლობას. ის შედგება ჩვეულებრივი სკის კორპუსისაგან და მასზედ მოთავსებული მეორე კორპუსისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია დედის გამყოფი ბადით (განემანის ბადით). (ფიგ. 43). პრაქტიკულად ეს სკა აღმზრდელი ოჯახისათვის ისევე მოქმედებს, როგორც ჰორიზონტალური.

ახალი პარტია სადედე უჯრედების შეყვანამდე აღმზრდელ ოჯახში წინასწარ უნდა მოვათავსოთ ბარტყიანი ფიჭა, უდედო, ზედა, კორპუსში ზუტად ისევე როგორც ჰორიზონტალურ აღმზრდელ ოჯახში, იმ განსხვავებით, რომ აქ, ზედა კორპუსი და დედის გამყოფი ბადე აუცილებლად უნდა გადავდგათ, იმისათვის, რომ ამოვილოთ ბარტყიანი ფიჭა ქვედა კორპუსიდან. დავაკვირდეთ დედას, რომელიც ზოგჯერ შეიძლება იყოს გამყოფ ბადეზე და შეიძლება შემთხვევით დავსრისოთ ან დავ-


- c: ღია ბარტყებიანი ჩარჩო  
 b: სადედე ჯამებიანი თამასები  
 o: ჭეო და გამომავალი ბარტყი განემა-  
 ნის ბადე

r: მარაგი (ჭეო, თაფლი)

p: ჭეო

შენიშვნა: ორი ან სამი ჩარჩოსათვის ცა-  
 რიელი ადგილის დატოვება, გონიერუ-  
 ლია, რომ არ დავაზიანოთ სადედე უჯ-  
 რები მათი გადანაცვლების დროს.


დედის  
გამყოფი  
ბადე



ფიგ. 43: ვერტიკალური ალმზრდელი ოჯახის სქემა.



ფიგ. 44: ალმზრდელი  
ოჯახის გაძლიერება  
უხბარტყიანი  
ფიწვებით.




ფიგ. 45: ვერტიკალურსეიანი ალმზრდელი ოჯახი იხმარება ავრეთვე  
სადედე რძის სანარმოებლად.

კარგოთ ბალახებში. ამოვილოთ ახალგაზრდა უხვბარტყიანი ჩარჩო, ფუტკარი ჩავბერტყიანი ქვედა სექციაში სანამ მას მოვათავსებდეთ ზედა კორპუსში (ფიგ. 44). აქ აუცილებელი არ არის შევამოწმოთ არის თუ არა დედა გადასატან ჩარჩოზე. სიფრთხილე უნდა დავიცოთ დედის გამომყოფ ბადესთან მიმართებაში, ამ ოპერაციის დროს რადგან ოდნავ დეფორმაციას დედა შეუძლია დაზიანოს. ამ ოპერაციის ჩატარებისას უნდა მოვერიდოთ სადედე უჯრედების დაზიანებას. ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ თამასებზე განლაგებული განაპირო უჯრედები მიტოვებულია. ეს ნიშანია იმისა, რომ ისინი, ნინა ღამით, გაცივდა, რომელიც მიზეზია ფუტკერების არასაკმარისი რაოდენობისა უდედო სექციაში. ამ შემთხვევაში, აღმზრდელი ოჯახი შეიძლება გავაძლიეროთ მასში სხვა სკიდან მომწიფებულ ბარტყიანი ჩარჩოების გადატანით.

## ინკუბატორები

როგორც კი სადედე უჯრედები გადაიბეჭდება (ფიგ. 46), შევინახოთ ისინი, რამდენიც შეიძლება, ერთ აღმზრდელ ოჯახში, იმისათვის, რომ გავანთავისუფლოდ დანარჩენები, ან მოვათავსოთ ისინი კარადა ინკუბატორში.




ფიგ. 46: 11 დღიანი ახაკის  
გადაბეჭდილი უჯრედები  
ე. ნ. „მომწიფებული  
უჯრედები“.

## ხელოვნური ინკუბატორი ანუ სადედე უჯრედების გამომჩეკი

დამყნობიდან მეხუთე დღეს და ზუსტად დედების გამოსვლამდე, ე. ი. მეთერთმეტე დღემდე, სადედე უჯრედები ასრულებენ თავიანთი განვითარების ციკლს ინკუბატორში ანუ როგორც მას უნოდებენ განცალკევებულ კარადაში. ამ შემთხვევაში გამოგვადგება პატარა, მარტივი, კონდიცირებადი კარადა. შიგა ტემპერატურა უნდა იყოს მუდ-

მიცი და დაახლოებით  $35^{\circ}\text{C}$ . ფარდობითი ტენიანობა კი უნდა იყოს სტაბილური და 75% ( $75\text{g}/\text{dm}^3$ ). უმრავლესობა ფრანგი მედებისა ამოკრეფენ სადედებს დამყნობიდან 6 დღის შემდეგ და ახდენენ მათ გამოჩეკვას ინკუბატორში. ეს მეთოდი ხელსაყრელია, განსაკუთრებით, არასტაბილური კლიმატის დროს და გვაძლევს შესაძლებლობას მოვახდინოთ გაუნაყოფიერებელი დედების მარკირება მათი ნუკლეუსში შეყვანამდე. ეს შეყვანა უნდა მოხდეს მათი დაბადებიდან პირველი ოთხი დღის განმავლობაში. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ფუტკრები გაუნაყოფიერებელ დედებს უფრო ძნელად იღებენ ვიდრე იმ სადედებს, რომლებიც მზადაა გამოსაჩეკად.

როცა ჩვენ უკვე ვიცით, რომ დედის გამოჩეკვა მოცემულ მომენტში უნდა მოხდეს, ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე ნვეთი თაფლის ჩანვეთება ყოველ ინდივიდუალურ გაღიაში. სანამ დედები ინკუბატორში არიან მასში დაცული უნდა იყოს  $27^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა. ასეთი იზოლირებული კარადა ადვილად შეიძლება დავამზადოთ ძველი მაცივრისაგან (ფიგ. 47). 40 ვატიანი ელექტრონათურა უნდა დავამონტაჟოთ ქვედა განყოფილებაში. წყლიან ფინჯანს ვათავსებთ ამ ნათურის ზემოდან, რაც აუცილებელია კამერაში გარკვეული ტენიანობის შესაქმნელად, წყლის აორთქლებით. მგრძნობიარე თერმოსტატი გვაძლევს საშუალებას დავიცოთ საჭირო ტემპერატურა კამერაში.



ფიგ. 47: ძველი მაცივარი გადაკეთებული სადედების ინკუბატორად.

## ბუნებრივი ინკუბატორი


ანგლო-საქსელი კოლეგების უმრავლესობა და ძმები ადამები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სადედე უჯრედების დატოვებას, კონტაქტში მუშა ფუტკრებთან მათ საბოლოო განვითარებამდე. ამის გამო, ხელოვნურ ინკუბატორში სადედები გადაგვაქვს მხოლოდ ერთი დღით ადრე სანამ მათ გადავიტანდეთ ნუკლეუსებში, ე. ი. დამყნობიდად მეცხრე დღეს. რორორც კი სადედე უჯრა გადაიბეჭდება ისინი შეიძლება

გადავიტანოთ ერთ აღმზრდელ ოჯახში, რომელშიდაც, ერთდროულად შეიძლება მოვლილ იქნას 9 თამასა. ეს ფუტკრის ოჯახი შედგენილია ისევე როგორც ჩვეულებრივი აღმზრდელი ოჯახი. ყველაფერი ეს მოითხოვს შემონმებას, არის თუ არა უდედო განყოფილება უხვფუტკრიანი, საკმარისი იმისათვის, რომ შექმნას კორექტოლი კლიმატი მოცემულ სექციაში (ფოგ. 48).


ოპერაციები, დედების გამოყვანისათვის უნდა სრულდებოდეს მკაცრად გარევეული გეგმის მიხედვით. თარიღში დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს მიღებული სადედების ჩამოშლა (ფოგ. 49).

მთელი ამ ოპერაციების განმავლობაში ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ სადედე უჯრები არ დაზიანდეს ან არ გაცივდეს და, რამდენადაც შესაძლებელია, არ შევეხოთ, არ მივაკითხოდ, მყნობიდან მეშვიდე-შეცხრე დღის შუალედში. ამ სტადიაში ჭუპრები არიან განსაკუთრებით ფაქიზი: ახალგაზრდა ბარტყს აქვს ჭიის ფორმა რომელიც ჰქიდია უჯრის თავზე. მას თუ ცუდად მოვეპყრობით ის დაზიანდება ან გაცივდება და მისგან მიღებული დედა იქნება დეფორმირებული ფეხებით ან ატროფირებული ფრთებით.

ფოგ. 48: აღმზრდელი  
ოჯახი, როგორც  
ძუნებრივი ინკუბატორი.



ფოგ. 49: ერთი დედის დაბადება ნიშნავს, რომ დანარჩენი სადედებები ჩამოშლილი იქნება.



მარცხნივ სადედე უჯრა ღიაა და მისი ბოლოდან გამოჩნდა ადრეული ახალი დედა. დანარჩენი უჯრედები მაშინვე იქნება გამოლრღნილი გვერდებიდან, მუშა ფუტკრების მიერ და მათში მცხოვრები განადგურებული.

იმისათვი, რომ გამოვავლინოთ დალუპული ბარტყები დახურულ უჯრაში, გავასხივოთ მთლიანად მნიშვე სადედები (10 ან 11 დღის) სანამ მივცემდეთ მათ ფუტკრებს. ამ მიზნით შემოვაბრუნოთ უჯრებიანი თამასა ზემოთ და გავანათოთ ის სინათლის წყაროთი, ჩრდილის საშუალებით შევამოწმოთ მომავალი დედა, რომელიც ამოძრავდება თუ თამასის ერთ ბოლოს ოდნავ შევარხევთ (ფიგ. 50).


ფიგ. 50: მომნიშვებული  
სადედების შემოწმება  
გასხივებით.



# ფუტკრის დედეგის განაყოფილება

## გამანაყოფიერებელი სკების შერჩევა

როცა შექმნილია გამანაყოფიერებელი სკები, აუცილებელია შევაფასოთ ახლოს არსებული მამალი ფუტკრების რაოდენობა. თუ გვსურს შევადგინოთ სელექციის პროგრამა და „ველური“ მამალი ფუტკრები მოცემულ გარემოში არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ გენეტიკურ მახასიათებლებს, მაშინ საჭიროა მოიძებნოს ადგილი, რომელიც მთლიანად იზოლირებულია (გრუნტიანი ტერიტორიით, ტყით და ა. შ.) იმისათვის, რომ, მაქსიმალურად შევზიდულოთ სხვა მამალი ფუტკრების შეჭრა იმ ადგილებში სადაც შეწყვილება შეიძლება მოხდეს. იდეალური იზოლიაცია მოხდებოდა თუ გასანაყოფიერებელ სკებს მოვათავსებთ კუნძულზე, მაგრამ ეს პრაქტიკულად ძნელი განვახორციელია. არსებობს სხვა გამოსავალიც: შევცვალოთ ყველა დედები იმ ფუტკრის ოჯახებისა რომლებიც დაშორებულია მოცემულ ადგილიდან 8-10 კმ-ის რადიუსზე (თუმცა, სრული უსაფრთხოება შეუძლებელია იყოს გარანტირებული მანძილის ასეთი დაცვითაც კი, რადგან სრული კონტროლი ყველა ფუტკრის ოჯახებისა, მოცემულ რეგიონში, თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, ზოგიერთი მეფეტკრე უარს ამბობს თანამშრომლობაზე, და აგრეთვე „ველური“ ოჯახებიც შესაძლოა გამოგვრჩეს.) ზოგიერთი მედედე იყენებს მოვაკებულ ადგილებს მთაგორიან რეგიონებში, ბუნებრივი სიმაღლის ბარიერებით, სულ მცირე 1000 მეტრი სიმაღლით. ეს ჰქმნის „გამანაყოფიერებელ სადგურებს“, სადაც



ფოგ. 51: სადგური დედების განაყოფიერებისათვის.

შეიძლება დაწყვილების მეტნაკლებად კონტროლირება, მაგრამ ხელოვნური განაყოფიერება, სინამდვილეში, იძლევა მედედებისათვის სრულ გარანტიას, ამ საქმეში, რა თქმა უნდა, როგორც ჩვენ დავინახავთ, ასეთი დედის გამოსაყვანი ხაზი მომარაგებული უნდა იყოს სელექციური მამალი ფუტკრებით (ფიგ. 51).

ფუტკრების ბიომეტრულმა ანალიზმა ანუ ელექტროფორეზმა (წყალში შეტივნარებული კოლოიდური ნანილაკების მიმართული მოძრაობა ელექტრული ველის მოქმედებით მთ.) გვიჩვენა, რომ ყვავილები, რეგულარულად უნდა იყოს შერჩეულ რეგიონში. ეს იძლევა გენოფონდის მაქსიმალურად განვითარების მკაცრი კონტროლის შესაძლებლობას. როცა დედის გამოსაყვანი ხაზი მდებარეობს კუნძულზე, რომელიც, სულ მცირე 10 კილომეტრითაა დაშორებული მატერიკისაგან, ხელსაყრელია, მაგრამ ხშირად აქაც არსებობს ბევრი პრობლემა. მაგალითად, ქარი, ფლორა და კავშირის პრობლემები. ეს სიძნელეები მკვეთრად ზრდის ნარმოების ხარჯებს.

ყველა სასარგებლო მოთხოვნებს შორის, რომელსაც უნდა აქმაყოფილებდეს საფუტკრე დედების გასანაყოფიერებლად არის ის, რომ მასთან მისვლა ადვილად უნდა შეგვეძლოს სატრანსპორტო საშუალებით, დაცული უნდა იყოს ხშირი ქარებისაგან, მდიდარი უნდა იყოს ნექტარის და ყვავილის მტვერის მომცემი მცენარეებით მუშა ფუტკრებისათვის.

შენყვილება ხდება წყნარ ამინდში, როცა ტემპერატურა დაახლოებით  $20^{\circ}\text{C}$ -ია და მონაბეჭდილი ამინდია. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პარტია დედებისა არის დაბალი ხარისხის, შეიძლება აიხსნას ცუდი ამინდის არსებობით, რაც ხელს უშლის ახალგაზრდას დედას, თავის დროზე მოახდინოს, ნორმალური, საქორნინო გამოფრენა. შევნიშნოთ, რომ ფუტკრის დედები რამდენიმეჯერ გამოფრინდებიან მამლებთან შესანკვილებლად.

BOTTCHER-მა (1967) დაადგინა, რომ დედა ფუტკრების მამლებთან შენყვილება ხდება სკიდან 2-დან 7- კმ-ის მანძილზე და 30 მეტრ სიმაღლეზე, კლიმატური პირობების მიხედვით.

## მამალი ფუტკრების მნიშვნელობა და მათი გამოყვანა

ერთეულთი ყველაზე მთავარი მნიშვნელობა, დედების გამოყვანის დროს აქვს მამალი ფუტკრების რაოდენობას მოცემულ რეგიონში, ზუსტად ისევე როგორც თაფლოვანი მცენარეების სიუხვეს თაფლის მომცემი ფუტკრებისათვის. ამჟამად უკვე ყველა მეფუტკრე აღიარებს

'მამლების სიუხვის საჭიროებას, საბოლოოდ უარყოფს ძველ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ხდებოდა სამამლე უჯრედების ამოკვეთა ან მამლების განადგურება სპეციალური საჭერით. შევნიშნოთ, რომ ვაროასთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა სამამლე უჯრედების სისტემატიური ამოკვეთა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქმნიდა სერიოზულ პრობლემებს, თუ ის შესრულდებოდა დიდი ფართობის მქონე რეგიონზე. სინამდვილეში, მამალი ფუტკრები არ ასრულებენ უარყოფით გავლენას თაფლის პროცესზე ტიულობის თვალსაზრისით, რადგან ისინი ეხმარებიან მუშა ფუტკრებს, ჭუპრებისათვის სტაბილური ტემპერატურის დაცვაში, ძალიან ცივ საათებში, ეს ათავისუფლებს მუშა ფუტკრებს ამ მოვალეობის შესრულებაში. დედების გამოყვანა უნდა დავიწყოთ მაშინ როცა დავრწმუნდებით, რომ სამამლე უჯრედები, სულ მცირე, 5 დღის ნინაა გადაბეჭდილი. (იხ. კალენდარი 92 გვ.-ზე). JEAN-PROST-ი 1987 წელს, თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მამალი ფუტკრები, დიდი რაოდენობით გროვდებიან ერთ, სპეციალურ, გარკვეულ ადგილას. თუმცა, აქამდე გაუგებარია, აქვს თუ არა ამ დაგროვების წერტილს რაიმე კავშირი და ფუტკრების საქორნინო გამოფრენასთან.

ვიცით რა, რომ ერთი დედა ფუტკრის გასანაყოფიერებლად საჭიროა 15-დან 20-მდე მამალი ფუტკარი (G. ARNOLD, 1996) ან მეტი, ჩვენ უნდა შევარჩიოთ მამალი ფუტკრების გასამრავლებლი სკება. რამდენიმე მამლის მიერ განაყოფიერების დროს, ახალგაზრდა დედები იღებენ და ითვისებენ მამლების მიერ გამოყოფილი სპერმის მხოლოდ მეათედს.

მაშასადამე, გენეტიკოსებისათვის უმნიშვნელოვანები არის ის, რომ დედა ინარჩუნებს სხვადასხვა სპერმის ნანილს. თუმცა, ამას შეუძლია ნარმოშვას 'გენეტიკური დაბინძურების' პრობლემა იმ მედედებების ნინაშე, რომლებიც შთამომავლობის უნიკალური ხაზის შესანარჩუნებ-



ფიგ. 52: რეზინის შტამპი  
 სამამლე ფიჭის  
 დასამზადებლად.

ლად ზრუნავს. სამამლე სკას მიეწოდება ხელოვნურ ფიჭიანი ჩარჩო დი-  
 დი უჯრებით (640 უჯრა ყოველ კვადრატულ დეციმეტრზე), რომელიც  
 შეიძლება მივიღოთ სანთლის მომწოდებლებიდან (იხ. კატალოგი). თუ  
 ეს თქვენთვის მიუწვდომელია, მაშინ ჩვეულებრივი ფიჭის 3-დან 4-სმ-  
 მდე სიგანის ზოლი უნდა ჩავაკრათ ჩვენთვის საჭირო ორ ან სამ ჩარ-  
 ჩოში. თუ ასეთ ჩარჩოებს ჩავდგამთ შერჩეულ სკებში 10 დღეში, მათ  
 აქვთ შანსი დასახლდეს მამალი ფუტკრებით. იქ სადაც არ იშოვება სა-  
 მამლე ფიჭები, ჩვენ შეიძლება დავამზადოთ ის ჩვეულებრივი სამუშე  
 ფიჭის ჩაძირვით თბილ წყალში და შემდეგ „გადავშტამპოთ“ ის, მასზე  
 რეზინის ყალიბის დანოლვის გზით (ფიგ. 52). ეს ჩარჩოები კარგად ინა-  
 ხება ზამთარში, რადგან ფუტკრები ძალიან ცოტა ჭეოს დებენ სამამ-  
 ლე უჯრედენში. ასე, რომ ჩარჩოების ჭუპრები, რომელთაც სჭირდებათ  
 ჭეო თავიანთი განვითარებისათვის, ნაკლებად პარაზიტები იქნებიან  
 უკვე აშენებული ფიჭებისათვის.

უხვირაოდენობით მამალი ფუტკრების გამოსაყვანად, ნინასწარ უნ-  
 და შევარჩიოთ უძლიერესი ოჯახი, რომელშიდაც არის, სულ ცოტა 5  
 ბარტყიანი ჩარჩო და სელექციური 1 ნლის დედა. სამამლე ჩარჩოები  
 უნდა მოვათავსოთ ბარტყიანის გვერდით და ჭეოს მარაგთან ახლოს.

## სამამლე ბანკები

ერთმა ჩარჩომ, საშუალოდ, შეიძლება მოგვცეს დაახლოებით 3000  
 მამალი ფუტკარი, რომელსაც შეუძლია გაანაყოფიეროს, თეორიულად,  
 200-მდე დედა. სინამდვილეში ეს არის მხოლოდ თეორიული მნიშვნე-  
 ლობა, რადგან დედიანი ოჯახი ხშირად შეიცავს 1000-დან 1500-მდე მა-  
 მალ ფუტკარს. გარდა ამისა, ზოგიერთ რაიონებში არის, ბევრი რაო-  
 დენობით, ისეთი ფრინველი რომელიც იჭრეს ბევრ მამალ ფუტკარს.  
 მაშასადამე, აუცილებელია მოვამარავოთ, სამამლე სკების ბევრი რა-  
 ოდენობა, განსაკუთრებით, მაშინ როცა მოცემული რეგიონი არ არის  
 იზოლირებული. დაახლოებით 5 სამამლე სკა არის საჭირო 100 ნუკლე-  
 უსისათვის. როგორც ჩვენ ვნახეთ, მაშინ როცა ნორმალურ ფუტკრის  
 ოჯახს შეიძლება ჰყავდეს 1000-1500 მამალი ფუტკარი, დაობლებული  
 ოჯახი, შეიძლება შეიცავდეს ბევრად უფრო მეტ მამლებს. მაშასადა-  
 მე, სეზონის ბოლოს, ან საკვები ბაზის შეკვეცის დროს, როცა მუშა  
 ფუტკრები შეუბრალებლად აგდებენ გარეთ მამლებს და შლიან სამამ-  
 ლე უჯრებს, შესაძლებელია, სკის დაობლების შემდეგ, შევქმნათ სკა-  
 ში უხვმამლიანობა თუ მასში ჩავდებთ ახლადშექმნილ სამამლე ჩარ-  
 ჩოს და მომწიფებულ სამუშე ბარტყიანებს იმისათვის, რომ ახალგაზ-  
 რდა ფუტკრებმა მოუარონ, ამ, დიდი რაოდენობის მამლებს. ყოველ კვი-  
 რას საჭიროა ჩამოვჭალოთ სადედე უჯრები, ასეთ 'სამამლე ბანკში',

რომელიც უნდა მოვამარავოთ გამაღიზიანებელი ცილოვანისაკვებით (კანდი და ჭეოს პასტა) (ფიგ. 53).

ასეთი დაობლებული ოჯახის მამლები იქნებიან უფრო ძლიერნი, რადგან ისინი იკვებებიან უხვი საკვებით მომვლელი ფუტკრებისაგან.

მამლების გამოყვანის ეს პრაქტიკა სეზონის დასაწყისში მედედი-სათვის ამარტივებს 'მართულ' განაყოფიერებას, შენყვილების ზონის გამდიდრებით სხვადასხვა ჯიშის, შერჩეული მამალი ფუტკრებით (მა-გალითად, კავკასიური მამლების მელლიფერა ფუტკრების გარემოში), მაშინ როცა ადგილობრივი მამლები ჯერ კიდევ არ არსებობენ ან არ არიან მომნიფებული. ტეხასში, ვალეთსა და ჰელმიჩში მიღწეულ იქნა შენყვილების 83 – 93 % შემთხვევა, გამოიყენეს რა გადარჩეული მამ-ლების გაჯერების ტექნიკა.

გაუნაყოფიერებელ დედას შეიძლება ვაიძულოთ და დავადებით სამამლე კვერცხით მას ფრთხებს მოვაჭრით ან თუ დავამწყვრევთ გა-ნებანის ბადის საშუალებით, იმისათვის, რომ მან ვერ შეასრულოს სა-ქორნინო გაფრენა.

MACKENSN-მა (1947) აღნერა გაუნაყოფიერებელი დედების სტიმუ-ლირების მეთოდი, მამალი ფუტკრების გამოყვანისათვის. ისინი უნდა გადავარჩიოთ მათი ზომისა და სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით.

უნდა მოვახდინოთ მათი ანესთეზირება  $\text{CO}_2$ -ით 15-20 წუთის გან-მავლობაში მათი უჯრედიდან გამოსვლის 5 ან 6 დღის შემდეგ და კი-დევ გავიმეოროთ იგივე 24 საათის შემდეგ. უფრო ხშირად სამამლე კვერცხების დება იწყება მე-12-ე მე-14-ე დღეს. ეს 'სამამლე' დედები უნდა დავამწყვრიოთ დედის გამყოფი ბადით, დიდი (სამამლე) უჯრე-დების მქონე მშრალ ჩარჩოსთან ერთად.

მამლების მომრავლება უნდა დავიწყოთ ადრე, სეზონის დასაწყის-ში. დაახლოებით 7 კვირაა საჭირო, კვერცხის დადების შემდეგ, იმი-სათვის, რომ მამალმა ფუტკარმა მიაღწიოს სქესობრივ მომნიფებას.



ფიგ. 53: ახლადგამომავა-ლი მამლები ძევრი გამლის არსებობა აუცილებელია დედების, ნარჩმატებით, გამოყვანისათვის.

გაგრამ ერთი თვის ასაკის მამალი ფუტკრები უკვე უვარგისია, განა-  
ყოფიერებისათვის (იხ. კალენდარი 92 გვ.).

მამლების გამრავლება უნდა ვაწარმოოთ სისტემატიურად გამაღი-  
ზიანებელი კვების გამოყენებით (იხ. გამაღიზიანებელი კვება, 23 გვ-  
ზე და შემდეგ).

სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთში, წლების განმავლობაში, ჩვენ ვაკ-  
ვირდებოდით სხვადასხვა ჯიშის მამალი ფუტკრების ყოფაქცევას, გა-  
ნაყოფიერების პროცესში. ლიგუსტიკური ჯიშის მამალი ფუტკრები  
დაფრინავდნენ გვიან დილით, ხოლო კავკასიური ფუტკრები დაფრი-  
ნავდნენ ნაშუდლევს, გასანაყოფიერებლად. ასე, რომ გაუნაყოფიერე-  
ბელი დედების განაყოფიერება შეიძლება განხორციელდეს მათი გა-  
ნაყოფიერების მოთხოვნილების შესაბამისად. მაგრამ, ისევე როგორც  
ყველა ბუნებრივი განაყოფიერების მეთოდი, ეს მეთოდი არის მიახლო-  
ებითი, ის არ იძლევა ზუსტი კონტროლის შესაძლებლობას, ისევე რო-  
გორც ამას გვაძლევს ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი.

## ნუკლეუსები

თუ სუსტი ოჯახი გამოიყენება ახალგაზრდა დედების გამოსაზრ-  
დელად დაცული უნდა იყოს გარკვეული, ძირითადი პირობები. პირვე-  
ლი არის ის, რომ გვყავდეს საკმარისი რაოდენობის, სხვადასხვა ასა-  
კის ფუტკრები იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას სადედების მუდ-  
მივი ტემპერატურა და მოგვიანებით, მომარაგებულ იქნას მომავალი  
დედები საკმარისი საკვებით. მეორე, არა ნაკლებად მნიშვნელოვანი,  
არის ის, რომ დაცული უნდა იქნას საკმარისი, საკვების მარაგის არსე-  
ბობა რათა მომვლელმა ფუტკრებმა გამოკვებონ დედა და მაშასადამე  
უზრუნველყონ მისი ნორმალური განვითარება.

1976 წელს LIU-PENG-ი ამტკიცებდა, რომ 200 ახალგაზრდა ფუტკა-  
რი ანუ მომვლელი ფუტკარი საკმარისია იმისათვის, რომ სრულყოფი-  
ლად განვითარდეს ფუტკრის დედა.


J. KEMP-მა დაპროექტა ორგანყოფილებინანი ნუკლეუსის მოდელი,  
რომელიც დამზადებული იყო მაღალი სიმკვრივის მქონე პოლისტირო-  
ლისაგან, რომელშიც თავსდებოდა 6 მცირე ჩარჩო. ის შეიძლებოდა აგ-  
რეთვე გაგვეყო ორ ნაწილად 2X3 მცირე ჩარჩოსათვის.

'პატაულტის' ტიპის კალენდარი უნდა მივამაგროთ კორპუსზე ისე,  
რომ სხვადასხვა ფერის ფლომასტერით, შეგვეძლოს გავაკეთოთ შე-  
საბამისი აღნიშვნები თარიღებისა, სპეციალური კოდების გამოყენე-  
ბით, სხვადასხვა ოპერაციების ჩატარების დროს: სადედების შევა-  
ნის თარიღი, გამოსვლის თარიღი, დაწყვილების თარიღი, კვერცხდე-  
ბის თარიღი .... (ფიგ. 54). ასეთ, მოსახსნელ ფსკერიან ნუკლეუსებს აქვთ

ის უპირატესობა, რომ ის სეზონის ბოლოს შეიძლება დავკეცოთ. სამი ან ოთხი ნუკლეუსი ან მეტი, შეიძლება ერთად დავაჯგუფოთ, ერთი ან რამდენიმე დედით, თუ დაცულია სიფრთხილე და გამოყოფილია ისინი განერმანის ბადით (ზოგირთი მედედე თვლის, რომ პოლისტიროლის ნუკლეუსი ნაკლებად სასარგებლოა ხის ნუკლეუსთან შედარებით).

სანუკლეუსე სკის ტიპი უნდა შევარჩიოთ ადგილობრივი კლიმატური პირობების მიხედვით და აგრეთვე, მხედველობაში უნდა მივიღოთ გამოსაყვანი დედების რაოდენობა. შცირე ოჯახი უფრო ეკონომიურია მაგრამ, მოითხოვს მეტ ყურადღებას და გამოცდილებას ვიდრე უხვფუტკრიანი ოჯახი. მცირე ოჯახი აგრეთვე მგრძნობიარეა ცუდი ამინდის პირობებში, აქვს ქურდობისა და დეზერტირობის ტენდენციები.

ამერიკელი მედედეები აღნიშნავენ, რომ მცირეფუტკრიან ნუკლეუსებში დედა ნაყოფიერდება უფრო გვიან ვიდრე უხვფუტკრიანში და, მხოლოდ 60 ან 70 % ნარმატებით. მათ უჩვენეს, რომ მცირე ნუკლეუსების გასამმაგება ზრდის ნარმატების საზღვარს 92%-მდე.




**ფიგ. 54:** კემპის ტიპის  
ნუკლეუსი, რომელ-  
საც, სახურავზე, აქვს  
მიმაგრებული პატა-  
ულტის კალენდარი.


ნუკლეუსები შეიძლება ისეთი იყოს, რომ ის გამოდგეს საკუჭნაოს ჩარჩოს ნახევრისათვის ანუ ჩვეულებრივი ჩარჩოს მეოთხედისათვის. ეს აადვილებს მის გამოყენებას, რადგან იგივე ჩარჩოები შეიძლება დიდ სკაშიც ჩავდგათ. იმის გამო, რომ ფუტკრის რაოდენობა მცირეა, მასში დედის მოძებნაც ადვილია და სიროფის ხარჯიც ცოტაა. ისინი ადვილია მოსაცლელად, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალიან მგრძნობიარე და ფაქიზია. ამის გამო რეკომენდირებულია 5 ჩარჩოიანი სკა. დიდი რაოდენობით დედების გამოსაყვანად იყენებენ სკის კორპუსს ან საკუჭნაოს რომელსაც ტიხრებით ყოფენ რამდენიმე განყოფილებად (ხშირად ოთხ განყოფილებად, საფრენით ოთხივე მხარეს, თოთოეულისათვის ცალ-ცალკე). ამას აქვს ის უპირატესობა, რომ მასში,

გამოიყენება ჩვეულებრივი ჩარჩოები. ტიხრების ამოლებით შეგვიძლია, მცირე ოჯახები გავაერთიანოთ დაზამთრებისათვის (ფიგ. 55).

ამ სისტემისათვის ნორმალური ჩარჩოები უნდა გავყოთ ორ ნანი-ლად (ფიგ. 56). ამის უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია დიდი ოჯა-ხების ფორმირება დაზამთრებისათვის, თუ დედების გამოყვანის შემ-დეგ ამ ნახევარ ჩარჩოებს ისევ შევაერთებთ სრულ ჩარჩოებად.



ფიგ. 55:  
ცალკეულ  
განყოფილებებად  
დაყოფილი ხეა.



ფიგ. 56: მცირე ჩარჩოები სპეციალურად გადაკეთებული, ისინი ისევ  
შეიძლება შევაერთოდ დიდ ჩარჩოებად.

## ნუკლეუსების შედგენა და მოვლა

მეთოდი რომელიც გამოიყენება დედის გასანაყოფიერებელი სკის-ნუკლეუსის შესადგენად მსგავსია ხელოვნური ნაყარის მომზადებისა. 1-1,5 კგ ფუტერი უნდა დავასახლოთ 5 ჩარჩოიან სკაში. ვაგროვებთ ფუტერებს 'ამანათნაყარის' შედგენის მსგავსად. შეგვაქვს თაფლის და

ჭეოს შემცველი სამი ან ოთხი ჩარჩო თითოეულ სკაში. მარაგის განანილებისას შეგვიძლია ასტამით ჩამოვშალოთ არსებული სადედები, მივცეთ შესაბამისი საკვები ფუტკრებს (მაგრამ დავაკვირდეთ არ მოხდეს თავდასხმა). დედის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე ერთი სადედე უჯრა უნდა დავამაგროთ თაფლიან უჯრებთან, ნუკლეუსის შეუადგილში. დავკეტოთ ნუკლეუსი 24 საათის განმავლობაში და დავდგათ გრილ ადგილას, რომელიც კარგად ნიავდება, შეიძლება ის მოვათავსოთ სარდაფშიც.

ნუკლეუსი გამნაყოფიერებელ საფუტკრეში უნდა დავდგათ მეორე დღეს. დეზერტირობის თავიდან ასაცილებლად, საფრენი გავალოთ რამდენიმე საათის შემდეგ. ცხელ ამინდში უმჯობესია გამოვიყენოთ ნუკლეუსი მეტალის ბადიანი ფსკერით. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მინი სკა უნდა გავაძლიეროთ მასში მომწიფებულ ბარტყიანი ჩარჩოს გადატანით სხვა სკიდან. ასეთ შემთხვევაში ერთ ნუკლეუსს, შეუძლია მოგვცეს რამდენიმე დედა მთელი სეზონის განმავლობაში. საბოლოოდ უკანასკნელი დედა ნუკლეუსში უნდა დარჩეს, ოჯახი საკმარისად შეიძლება განვითარდეს დაზამთრებამდე.

საკვების ხარისხის თვალსაზრისით საუკეთესო მარაგი მიიღება თაფლისა და ჭეოს სახით ბუნებრივი გზით, დიდ ან მცირე ჩარჩოებში. ეს მარაგი არასდროს არ უნდა მოვაკლოთ, საუკეთესო ხარისხის დედების მისაღებად.


ხშირად საკვების მიცემაშ შეიძლება გამოიწვიოს ქურდობა, როცა მისი რისკი მაღალია. თუ ღალიანობა ნაკლებია და არც ჩარჩოებზეც არ არის საკმარისი მარაგი, მაშინ, მაღალი კონცენტრაციის სიროფი უნდა ჩაუსხათ შიგა საკვებულები, იმის შემდეგ როცა საფრენს დავავიწროებთ ან სულ ჩავკეტავთ (ამ შემთხვევაში არ დაგვავიწყდეს საფრენის გაღება დილით) (ფოგ. 57).

სეზონის განმავლობაში თქვენ, რამდენჯერმე შეიძლება მოგვიხდეს ფუტკრების დამატება სუსტ ნუკლეუსებში. ეს ფუტკრები თქვენ უნდა ამოიყვანოთ პროდუქტიული სკებიდან, რაც აღნერილია თავში ფუტკრის ამანათნაყრების ნარმოება (გვ. 96).


ახალგაზრდა ფუტკრების ‘გადასხმის’ დროს უნდა დავიცვათ სიფრთხის, დავკეტოთ საფრენი, მაგალითად, სამკურნალო ტუხტის მეშვეობით. მას შემდეგ ფუტკრები გამოლრღნიან და განთავისუფლდებიან ტყვეობიდან.

სამკურნალო ტუხტის შაქრიანი ცომი გამოდგება არა მხოლოდ იმის სათვის, რომ ხელი შეუშალოს ქურდობას, არამედ აგრეთვე ის ხელს უმღის ფუტკრების გაფანტგას მინი სკაშირათა ისინი დაგროვდნენ დედასთან ახლოს, მათი სკაში ჩასმის შემდეგ. უნდა გვახსოვდეს, რომ შა-

ფიგ. 57: დადანის 12  
ჩარჩოიანი სკა, თუხ  
ნუკლეუსად დაყოფილი.



ფიგ. 58: ფუტკერის  
გადასძა ადვილია თუ  
მათ დავასკელებთ.



ვი ფუტკერები *A m melifera* დეზერტირობენ უფრო ხშირად ვიდრე, მაგალითად, ყვითელი ფუტკერები *A m ligustica*.


ნუკლეუსები, მნიშვნელოვანია განვალაგოთ „საბრძოლო ფორმირებაში“, საფუტკერები, სადაც არის დიდი ვეგეტაციური არეალი, იმისათვის, რომ ახალგაზრდა დედებს ხელი შეუწყოთ ადვილად მიაგნონ თავიანთ სკებს, როცა ისინი ბრუნდებიან საქორნინო გაფრენიდან. ზოგჯერ გეომეტრიული ფორმები სხვადასხვა ფერებით არის დახატული სკის საფრენი ხვრელის თავზე. ერთერთი ეფეკტური ფიგურა არის ნრე, რომელიც უნდა დაიხატოს დაახლოებით ათ ნუკლეუსზე, რომელთა საფრენი ემთხვევა ნრის ცენტრს (საჭიროა დავიცვათ უსაფრთხოება ზოგიერთი ჯიშის დედების გამოყვანის დროს, მაგალითად, *andansonii*-ს ჯიშის ფუტკერებისათვის). საქორნინო გაფრენიდან უშეცდომო დაბრუნება უფრო ადვილია თუ ნუკლეუსებს დავდგამთ პირდაპირ მინაზე. მაგრამ, ამ შემთხვევაში ფუტკერების რაოდენობა ბევრი უნდა იყოს ნუკლეუსში იმისათვის, რომ თავი დაიცვან ჭიანჭველებისაგან.

## სადედების ამოკრეფა და ნუკლეუსებში შეყვანა


აღმზრდელი ოჯახებიდან ან ინკუბატორებიდან მწიფე სადედების (მყნობის ოპერაციის მომენტიდან 10-11 დღის შემდეგ) ამოკრეფის და მათი ნუკლეუსებიან საფუტკრეში ტრანსპორტირების დროს უნდა დაცივათ დიდი სითონთხილე. ისინი უნდა ჩავანიყოთ სპეციალურ ყუთში, სადაც თითოეული სადედეს ჩასადებად გაკეთებულია ვერტიკალური ნახვრეტი და თუ გარემოს ტენიანობა დაბალია, ნახვრეტებში ჩანყობილ სადედებს ზემოდან უნდა დავაფაროთ ნყალში დასველებული ტილო. ამ სადედების ტრანსპორტირება შეიძლება მოვახდინოთ ახალგაზრდა, მუშა ფუტკრების შემცველ გადასატან ყუთში, რომლებიც უზრუნველყოფენ სადედებისათვის ტემპერატურის დაცვას (ფიგ. 59).

ფუტკრის დედების მასიური ნარმოებისათვის შემდეგი მეთოდია რეკომენდირებული: როგორც კი ფუტკრები იგრძნობენ დაობლებას, ამოვკრებთ 10-11 დღის ასაკის სადედე უჯრებს (ვიყენებთ პლასტიმასის დამცველებს – მაგალითად, ე. ნ. 'თმის დამგრეხ გალიებს'). ვამაგრებთ, სადედეს, ჩარჩოს ზედა, თაფლიან, ნანილში, თითის დაჭრით. შეიძლება გამოვიყენოთ კბილის სწმენდი ან წვერნათლილი ასანთის ლერო, რომელსაც გაუყრით სადედე უჯრის ფუძეში. ვიყოთ ფრთხილად, არ გავხვრიტოთ სადედე უჯრა, რომ თავიდან ავიცდინოთ დედის დაზიანება. ყველა შემთხვევაში, ეს უჯრა უნდა მივამაგროთ მომნიფებული ბარტყის ახლოს, ზედა მხარეს (ფიგ. 60). დავრწმუნდეთ, რომ სადედეს გადაბეჭდილ ბოლოს ხელს არაფერი უშლის ისე რომ მომავალ დედას თავისუფლად შეეძლოს იქედან გამოსვლა. სადედე უჯრა არსად არ უნდა იყოს დეფორმირებული. ისინი ყოველთვის ხელით უნდა ამოვილოთ და მაგარი ბოლოთი ჩავამაგროთ ფიჭაში (ხშირად 'ქუსლად' წოდებული).

ავსტრალიური მეთოდის მიხედვით ხდება არა სადედების შეყვანა




ფიგ. 59: სადედების გადასატანი ყუთი.



ფიგ. 60: სადედები ყოველთვის უნდა მივამაგროთ ზუსტათ ბარტყის ზემოთ.

ნუკლეუსში არამედ, გაუნაყოფიერებელი დედებისა. მაშინ, როცა ისი-  
 ნი გარკვეული დროის განმავლობაში იქნება დამწყვრეული გალიაში  
 (ფიგ. 61). სადედე უჯრა ამ შემთხვევაში იდგმება პლასტიმასის პატარა  
 ცილინდრში (თმის დასახვევი) ან სტანიოლის ფოლგისაგან დამზადე-  
 ბულ ცილინდრში. ეს ხელს შეუძლის ფუტკრებს სადედეს ჩამოშლაში.

სადედების კარგი მიღება ფუტკრებისაგან გვაქვს, მაშინ, როცა მა-  
 თი ჩადგმისთანავე საკვებად მივცემთ დაბალი კონცენტრაციის მქონე  
 სიროფს (მოვერიდოთ ქურდობას მცირე ღალიანობის დროს). ახალზე-  
 ლანდიელი მედედე სადედე ჯამებს ცოტახნით ჩაძირავს სიროფში მა-  
 თი ნუკლეუსში ჩადგმის ნინ, ეს ინვევს ფუტკრების მიზიდვას და რო-  
 გორც ისინი თვლიან აუმჯობესებს სადედების მიღების პროცენტს.  
 ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ტემპერატურის შესაბამი-  
 სობას (ფიგ. 62).



ფიგ. 61: პლასტმასის დამცავი ე. ნ.  
 'თმის სახვევი'.



ფიგ. 62: სადედე ჯამები ფუტკრე-  
 ბისაგან აღვილად მიღება თუ მათ  
 დავახველებთ სიროფში.

მეფუტკრესაგან მოითხოვება, რომ მან დაიცვას ნინასნარ შედგე-  
 ნილი კალენდარი ყოველი ოპერაციის დროს. ექნება მას ათასობით, თუ  
 ცოტა რაოდენობით ნუკლეუსი. სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება ნუკ-  
 ლეუსების აღრიცხვის მიზნით. უბრალო ჭიკარტით შეიძლება მივამაგ-  
 როთ შემდეგი თარიღების სია: ნუკლეუსში სადედების ან გაუნაყო-  
 ფიერებელი დედების შეყვანის თარიღი, დაწყვილების თარიღი, ფუტ-  
 კრის მოთხოვნილების თარიღი, საკვები და სხვა. შევნიშნოთ, რომ პა-  
 ტარა ქვა დადებული ნუკლეუსის სახურავზე შეიძლება იყოს სასარ-  
 გებლო ინფორმაციის მომცემი, იმისდა მიხედვით თუ სად იქნება ის  
 მოთავსებული.

## ‘ორდედიანი’ სისტემა

კანადელმა მედედებმა დანერგეს ე. ნ. ‘ორდედიანი’ სისტემა, რომელმაც გაუძლო ხანგრძლივ გამოცდას და წარმატებას მიაღწია. როცა კარგი ამინდია მაშინ ახალგაზრდა დედა სკაში რჩება, მისი დაბადებიდან მე-6 დღემდე, ამას აიძულებს მას მუშა ფუტკრების აგრესიულობა. დროის ამ შუალედისათვის, შესაძლებელია გაუნაყოფიერებელი დედა მოვათავსოთ გალიაში და ჩავსვათ ის ნუკლეუსში, ხოლო მეორე, მასზე 8 დღით უფროსი, ამასობაში მოახდენს საქორნინო გაფრენას და შეიძლება დაინტერესონ კვერცხება.

თუ ამ მეთოდს არ გამოვიყენებთ განაყოფიერებული დედების ამოკრეფის ნორმალური ციკლის ხანგრძლივობა იქნება ორი კვირა. ეს მეთოდი კი გვაძლევს შესაძლებლობას დედების ამოკრეფის ეს ციკლი ერთ კვირამდე შევამციროთ. ხელოვნურ ინკუბატორში გამოჩეკილი ახალგაზრდა დედას ამწყვრევენ  $12 \times 12 \times 1$  სმ ზომის გალიაში, რომელიც ბადითაა დამზადებული. ეს გალია უნდა ჩავდგათ ნუკლეუსში ორ ჩარჩოს შორის და მაქსიმალურად დავაშოროთ საფრენისაგან.

ამ მიზნისათვის მოხერხებულია ‘ნიკოტის’ ტიპის გალია. ექვსი დღის განმავლობაში, გაუნაყოფიერებელი დედა იძენს მოცემული ოჯახის ‘სუნს’, ვითარდება სქესობრივად და ემზადება შენკვილებისათვის. ეს გაუნაყოფიერებელი დედა უნდა გავანთავისუფლოდ მაშინვე როგორც კი ამოვიყვანთ კვერცხისმდებელ, განაყოფიერებულ დედას და ამავე დროს უნდა ჩავსვათ ინკუბატორიდან ამოყვანილი, გალიაში ჩასმული ახლადგამოჩეკილი, გაუნაყოფიერებელი დედა. 93% განაყოფიერებული დედებისა იქნა მიღებული ამ მეთოდით 30 ნუკლეუსიდან 10 კვირის განმავლობაში (MILNE and SMITH).

ბუნებრივია, რომ გალია რომელშიდაც დამწყვრეულია დედა მას უნდა იცავდეს მუშა ფუტკრების თავდასხმისაგან, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გალიის კედლები ნარმოადგენს ბადეს, მუშა ფუტკრები დედის ფეხებს ექაჩებიან და არსებობს მისი დასახიჩრების რისკი. ‘ბენტონის’ გალიის გამოყენების დროს, სამი განყოფილებიდან ერთერთი დაფარული უნდა იყოს პლასტმასის ფირფიტით. უნგრული გალია უზრუნველყოფილია დედის სრული უსაფრთხოებით, მისთვის მისაწვდომია მიიღოს საკვები ბადის მხრიდან, მაშინვე როგორც კი ის შეგუებულ და მიღებული იქნება მუშა ფუტკრებისაგან. ამ მეთოდების რამდენიმე გამოცდა იყო ჩატარებული საფრანგეთში. ძირითადი ნარუმატებლობა დაკავშირებული იყო ადგილობრივი ფუტკრების ქცევის სირთულესთან. იტალიური ფუტკარი კი იძლევა, ამ სისტემისათვის სრულიად დამკმაყოფილებელ შედეგებს.

## დედების გამოყენება

როგორც კი ახალგაზრდა დედა დაიწყებს კვერცხის დებას მაშინვე შეიძლება ის ამოვილოთ. მაგრამ, უმჯობესია, დასაწყისში, მივცეთ მას საშუალება რამდენიმე დღით გააგრძელოს კვერცხდება. ამიტომ ახალ-გაზრდა დედების ამოკრეფა არ ხდება, სანამ არ შესრულდება 15 დღე სადედების ნუკლეუსში ჩასმის მომენტიდან. დედების დაწყვილებამ-დე დაბადების მომენტიდან 6-8 დღე გადის და კვერცხდება იწყება 3-4 დღის შემდეგ, მას კიდევ დარჩება დრო ბარტყის მოსამარაგებლად რაც აუცილებელია ნუკლეუსის სიცოცხლისუნარიანობისათვის.

ეს დაყოვნება, მრავალმხრივ კარგია, ის გრძელდება დაახლოებით 10 დღე, ახლადგანაყოფიერებული დედის კვერცხდების ორგანოების განვითარებისათვის. გარდა ამისა, იზრდება ჰორმონული სეკრეციები, რომელიც მოეხმარება იმ განსხვავებულ ოჯახთან შეგუებაში, რო-მელმიზაცი ის იქნება ჩასმული.

### დედების მოძებნა

დედის მოძებნა შეიძლება გაგვიჭირდეს მჭიდროდ დასახლებულ ნუკლეუსში. შემდეგი რჩევა შესაძლოა იყოს სასარგებლო:

- დედა ეძებე ნექტარი/თაფლის მკვეთრი მოდენის დროს. ამ დროს, მუშა ფუტკერები დაკავებულია მოსავლის მოზიდვით და უფრო ადვილია დედის გამორჩევა, სანამ, მუშა ფუტკერის დიდი რაოდენობა, გარეთაა.

- დაუბოლე რაც შეიძლება ცოტა, რადგან, ბოლოთ, ფუტკერები ღი-ზიანდება და დედა შეიძლება დაიმალოს ნუკლეუსის კედელზე.

- დედა ეძებე ბარტყის ან ახლადდადებული კვერცხის ახლოს, რადგან მოსალოდნელია, რომ დედა იქ იყო ცოტა ხნის წინ.

- დაიმახსოვრე რომელ ადგილას იქნა დედა მოძებნილი პირველ ნუკლეუსში. ეს სასარგებლოა, რადგან უფრო ხშირად, დედა არის იქ სადაც მზე, უფრო მეტად ათბობს ნუკლეუსს. მაშასადამე, თუ პირვე-ლი დედა მოძებნე მეორე ჩარჩოზე მაშინ, მოსალოდნელია, რომ მეო-რეც ისევ მეორეზე იქნება შემდეგ ნუკლეუსში.

შესაძლებელია ეს რჩევა პრაქტიკულად არ შესრულდეს, ამიტომ გა-მოცდილი მეფუტკერები ამ მოსაზრებებს გონიერად, როცა ისინი დედების ამოკრებაზე მუშაობენ. გამოცდილმა მეფუტკერებმა კარგად იცის, რომ ხშირად დედა არის იქ სადაც ბევრი ფუტკარია. სი-ნამდვილეში, არახელსაყრელია დაუინებით ვისარგებლოდ ერთი რო-მელიმე მეთოდით.

ძალიან მნიშვნელოვანია თავიდან ავიშოროთ თავდასხმა, ამისათვის ჩარჩო რაც შეიძლება ცოტახნით უნდა ვამყოფოთ ნუკლეუსის გარეთ. დავიჭიროთ ის გადმობრუნებული სახურავის ზემოთ იმისათვის, რომ დედა ბალახებში არ დავკარგოდ. თუ ამის შემდეგ დედა მაინც ვერ ვიპოვეთ, მაშინ უკანასკნელი გამოსავალი არის, გავატაროთ ყველა ფუტკრი განემანის ფილტრში.

დედები უნდა იქნას დაწუნებული და განადგურებული თუ ისინი კვერცხს დებენ მოუწესრიგებლად, ე. ი. უჯრების გამოტოვებით. რადგან, აქედან იბადება ფუტკარი დეფორმირებული ფეხებით ან ფრთებით და აქვთ არანორმალურად მცირე მუცელი და ა. შ. თითოეულ სეზონზე, საშუალოდ, 10-15% გამოყვანილი დედის დაწუნება შეიძლება მოგვიხდეს. თუ კვერცხდება არ არის დაწყებული, უვარებისი გაუნაყოფიერებელი დედის მოსპობის შემდეგ ან როცა აღმოჩნდება დამატებითი სათადარიგო უჯრებების საჭიროება, უნდა მივცეთ ბარტყიანი ჩარჩო ძლიერი ოჯახიდან მოცემულ ოჯახს, იმისათვის, რომ აღვადგინოთ ფუტკრების ბალანსი და მოვამარავოთ ახალი, გაუნაყოფიერებელი დედა ახალგაზრდა ფუტკრით. ეს ბალანსი ზრდის სადედების ან გაუნაყოფიერებელი დედების მიღების შანსებს.

T. SZABO-ს (1986) თანახმად, კალიფორნიელი მედედებისაგან, რომლებიც, დაახლოებით 510 000 დედა ფუტკარს ანარმოებენ ნელინადში, მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები: 85 მნიუჟ სადედე 100 დამყნობილი სადედე უჯრიდან, და აქედან, 51 კვერცხისმდებელი განაყოფიერებული დედა, ე. ი. 60% წატმატება.

## დედების მარკირება


თუ ახალგაზრდა დედა მოწესრიგებული კვეცხდების დამაკმაყოფილებელ პირობას ამჟღავნებს, მაშინ შეიძლება მოვახდინოთ მისი მარკირება. მარკირების ტექნიკა შედარებით მარტივია: დავიჭიროთ დედა ხელში ფრთების საშუალებით (არასდროს მუცლის საშუალებით). შემდეგ, უდიდესი სიფრთხილით, ხელით დავიკავოთ ის მისი გულმკერდით, ცერა თითსა და საჩვენებელ თითს შორის, და დავიტანოთ საღბავის მცირე რაოდენობა გულმკერდზე. (ე. ი. ზურგზე, ფუტკარს გული ზურში აქვს, მთარგმნელის შენიშვნა). უფრო მეტად, სწრაფად აორთქლებადი, (ცელულოზის ტიპის) საღებავი შეიძლება გამოვიყენოთ ამ შემთხვევაში, თუ ის არ აღიზიანებს დედას. თუ გვაქვს რაიმე ეჭვი მაშინ ის შეიძლება გამოვცადოთ მუშა ფუტკარზე. შევნიშნოთ, რომ შესაფერისი ტიპის საღებავები იყიდება მეფუტკრეობის მაღაზიებში. ზოგიერთი მეფუტკრე აკეთებს თავის საკუთარ საღებავს მარკირებისათვის, უფერო, ფრჩხილების ლაკის გამოყენებით მასში კონცენტრირე-

ბული ფერის შერევით (ტუბიკებით). ზუსტი მარკირებისათვის, როგორც ეს მოითხოვება გენეტიკური სელექციისათვის. მცირე ციფრულ ნიშნებს ამაგრებენ გულმკერდზე სპეციალური წებოს წვეთით (იხ. მეფუტკრეობის მაღაზიის კატალოგი) (ფიგ. 63).

ფუტკრის დედები მარკირებულ უნდა იქნას, შემდეგი, საერთაშორისო კოდის შესაბამისად:

- ცისფერი, ნლებში რომელიც ბოლოვდება 5-ით ან 0-ით
- თეთრი, 1-ით ან 6-ით დაბოლოებულ ნლებში
- ყვითელი, 2-ით ან 7-ით დაბოლოებულ ნლებში
- ნითელი, 3-ით ან 8-ით დაბოლოვებულ ნლებში
- მწვანე, 4-ით ან 9-ით დაბოლოვებულ ნლებში.

ირკვევა, რომ მარკირებული დედები ნაკლებად არიან შენუხებული ფუტკრის ტილით Braula caeca (PERRET-MAISONNEUVE, 1933).




ფიგ. 63: დედა უნდა დავიჭიროთ გულმკედით, ცერა და მაჩვენებელი თითოს საშუალებით.

ინკუბატორის გამოყენებლებს აქვთ ტენდენცია მოახდინონ გაუნაყოფირებელი დედების მარკირება დაბადების შემდეგ. ეს არ არის სასურველი, რადგან სალებავი შეიძლება ჩამოშორდეს, როცა ისინი ბრუნდებიან საქორნინო გაფრენიდან. დაწყვილებამდე, ახალგაზრდა დედას ცვივა ბევრი გულმკერდის თმა, რომელზედაც მიკრულია სამარკირო სალებავი.

### გაკრეჭა

ძველად, ბევრი მეფუტკრე ერთ ფრთას აჭრიდა დედა ფუტკარს. ამოპერაციას „გაკრეჭა“ („clipping“) ეწოდება. მისი მიზანი იყო, ხელი შე-

ეშალა ნაყარის შორს გაფრენას. რომაელებიც კი იცნობდნენ ამ ხერხს, რასაც მონმობს PLLINE-ის (XI-XVII) ჩანაწერები: „მოჭერი ფრთები მე-ფეს და ნაყარი შორს ვერ წავა.“ მოგვიანებით, 1909 წელს ROOT-ი წერდა: „უმრავლესობა მეფუტკერებისა ახდენს ფრთების მოკრეჭას... ამ დამახინჯების მიზანია, ხელი შეუშალოს ნაყრების შორს გაფრენას, რადგან, გამორიცხულია, რომ მათ დედა გაჰყვეს. მაშასადამე, ის ვინც არ კრიჭავს ფრთებს, თითქმის დარწმუნებულია, რომ მას ექნება ყოველგვარი პრობლემა ნაყრების მიმართ, რომელიც დაეხვევა მიუწვდომელ ადგილას... !დედის გაკრეჭისათვის, დავიჭიროთ ის გულმკერდით და მოვაჭრათ ფრთა, როგორც ეს ნაჩვენებია ფიგ. 64-ზე. მოვაჭრათ მარჯვენა ფრთა ლუნ და მარცხენა – კენტი ნლებში. დღესაც ბევრი მეფუტკერე მიმართავს გაკრეჭას.




ფიგ. 64: გაკრეჭა (რუტი, 1947) ერთი ფრთა უნდა მოიკეთოს გაღესილი მაკრატელით.

## თავდასხმები

სეზონის ბოლოს, ან მოუსავლიან წელიწადს, თავდასხმებმა შეიძლება შექმნას პრობლემები, სანამ დედა დამწყვრეულია, და ამან შეიძლება გამოიწვიოს ნუელებსის დაღუპვაც კი. ამ ამოცანის ერთერთი გადაწყვეტა არის ის, რომ ჩავკეტოთ საფრენი და მხოლოდ მეორე დღეს გავაღოთ ის. თუ გამოვიყენებთ სამკურნალო ტუხტს, როგორც ეს წინა თავში იყო განხილული, მაშინ მუშა ფუტკერები თვითონ განთავისუფლდებიან.

1962 წლიდან, H. H. LAIDLAW-მ აღწერა და პოპულარული გახადა, საკმაოდ ეფექტური საფრენი „თავდასხმისაგან დამცავი“. ეს მოწყობილობა არის თითქმის აუცილებელი იმ რეგიონებში, სადაც ღალია-

ნობის შეწყვეტის პერიოდები ხშირადაა. ეს ბადე შეიძლება დავტოვოთ ნუკლეუსზე მუდმივად, ის არ გამოიწვევს ფუტკრების ან დედის გაღიზიანებას. ნუკლეუსის საფრენი არის 2.5 სმ სიგანის. ბადის ზომა არის 13X13X 1 სმ. ბადის მესამედი (№ 7) ამოკვეთილია ფუტკრების შესასვლელის მხრიდან მეტალის ფირფიტით 11X5 სმ (ფიგ. 65).



ფიგ. 65: „თავდასხმის სანინაალმდეგო“ მოწყობილობა მავრდება ნუკლეუსის საფრენთან.

ნუკლეუსებიდან, ფუტკრის დედების ამოკრეფის დროს ზოგიერთი მეფუტკრე იყენებს გალიას, რომელშიდაც ცეტივა თვით მეფუტკრე ნუკლეუსთან ერთად. ეს გალია დამზადებულია ნის ჩარჩოსაგან, რომელიც დაფარულია რკინის, ან კოლოების სანინაალმდეგო ნეილონის ბადით. მისი ზომები დაახლოებით ასეთია:

$1 \times 1,5 \text{ m}^2$  ფუტებში და აქვს 2 მ სიმაღლე.

ყოველთვის, როცა ნუკლეუსი არის, განსაკუთრებით სარისკო, მაშინ თავდასხმის შესამცირებლად, სკის საფრენთან დავაწვეთოთ განმენდილი სკიპიდარის (ფრანგული სკიპიდარი) რამდენიმე წვეთი.

## სატრანსპორტო გალიები

მარკირების შემდეგ დედებს სვამენ, მცირე ზომის, ნის ან პლასტმასის გალიებში ('ბენტონის გალია'), ან მათი საფუტკრეში უშუალოდ გამოსაყენებლად, ან მათ შესანახად 'დედების ბანკში' (იხ. შემდეგი გვერდი), ან, მათი ტრანსპორტირების მიზნით.

ასეთი ახალგაზრდა დედების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველ-  
 საყოფად, მათი ტრანსპორტირების დროს, მცირე გალიაში ვათავსებთ  
 8 ან 9 გამცილებელ ფუტკარს, ხოლო დიდ გალიაში 12-15 ფუტკარს.  
 გამცილებელი ფუტკრები უნდა ავილოთ სკიდან, რომელსაც აქვს ფუტ-  
 კრის მაკორექტირებელი საფრენი. ეს მოწყობილობა გამორიცხავს ხნი-  
 ერი ფუტკრების ამოკრეფას. დიდი გალიას გამოყენების დროს, პირ-  
 დაპირ შეიძლება დავპერტყოთ ბარტყიანი ჩარჩო ბრტყელ ზედაპირ-  
 ზე (მაგალითად სკის სახურავზე), რადგან, მასზე არიან მხოლოდ მკვე-  
 ბავი, ახალგაზრდა ფუტკრები. მოვასხუროთ ისინი წყლით და გამოვი-  
 ყენოთ პლექსიგლასი მათ შესადენად გალიებში, რომლებიც სწრაფად  
 უნდა ჩავკეტოთ გამჭვირვალე ფირფიტით. ეს აადვილებს მათ შემოწ-  
 მებას და დათვლას გარედან. შემდეგ ბადე შეიძლება შევაცუროთ პლექ-  
 სიგლასის მაგივრათ და ეს უკანასკნელი ავილოთ, ბადე დავაფიქსიროთ.

როცა ბადე დაფიქსირებულია ფუტკრების შესვლამდე, მაშინ შევ-  
 დენოთ ისინი ცალცალკე, მათი წყლით დასველების შემდეგ, რომელიც  
 შეიძლება მოვახდინოთ ხელის მცირე საფრქვევით (პულვერიზატო-  
 რით). ასეთი მეთოდის გამოყენებით, შეიძლება თავიდან ავიშოროთ  
 ბევრი დანესტრვა, განსაკუთრებით მაშინ როცა ვმუშაობთ გარეთ,  $30^{\circ}\text{C}$   
 ტემპერატურაზე, ან ყვითელ ნათურასთან (ფოტოლაპორატორიაში) (ფიგ. 66).

როდესაც დედები მოკლე დროის შემდეგ იგზავნება გალიებით, მა-  
 შინ, გალიის სამი განყოფილებიდან ერთერთი უნდა გავავსოთ კანდით,  
 რომელიც საქმარისი უნდა იყოს მათი ტრანსპორტირების დროს.


J. FRESNAYE-მ ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ დედების სი-  
 ცოცხლისუნარიანობა ორჯერ მეტია დიდ გალიაში 14-15 გამცილებე-  
 ლი ფუტკრის თანაარსებობით, ვიდრე მცირე გალიაში, რომელშიდაც  
 ეტევა მხოლოდ 7 ან 8 ფუტკარი. ბიოლოგიური თვალსაზრისით, იდეა-  
 ლური იქნებოდა გამოგვეყნებია გალია რომელშიდაც ჩატეოდა სულ



ფიგ. 66: გამცილებელი  
 ფუტკრების ჩასმა 'გენ-  
 ტონის' ტიპის გალიაში.

მცირეოცი გამცილებელი ფუტკარი, რადგან ისინი შეძლებდნენ ეკონ-ტროლებიათ გარემო ასეთ მცირე სივრცეში. ამჟამად, ზოგიერთი მე-დედე იყენებს, სპეციალურ, პლასტმასის კოლოფებს რომელიც შეიცავს ოც გალიას, თითოეულში ერთი დედაა მოთავსებული (ის იყიდება სა-ხელნოდებით ('JZ-BZ System'-ით). გამცილებელი ფუტკრები შეიძლება მოვათავსოდ გალიაში დედასთან ერთად, ზემოაღნერილი, ტრადიცი-ული მეთოდით, ან, თუ ისინი იქნებიან 'გაშვებულნი' გალიებს შორის ამ კოლოფში. ეს სისტემა საგრძნობლად ამარტივებს, როგორც ტრან-სპორტირების ასევე, შემდეგში, დედების მიცემის ოპერაციებს, გან-საკუთრებით მაშინ თუ გალიაში არაა გამცილებელი ფუტკრები (ფიგ. 67). როგორც განაყოფიერებული, ასევე გაუნაყოფიერებელი დედები საკმაოდ კარგად იტანენ მოგზაურობას.

ფიგ. 67: 'JZ-BZ' სამგ ზავ-რო ყუთი და გალიები.



## დედების შესანახი სკები

შესაძლებელია, რომ განაყოფიერებული დედები შევინახოთ, დაობ-ლებულ ოჯახში, მათი დაგროვების მიზნით, რამდენიმე კვირის განმავ-ლობაში. ეს სკა უნდა იყოს უხვფუტკრიანი, დასახლებული, ჯამრთე-ლი და ახალგაზრდა ფუტკრებით. მასში უნდა იყოს სულ მცირე ორი ჩარჩო თაფლიანი, ორი – ჭეოიანი და ასევე მომნიფებულ ბარტყიანი ჩარჩოები, რომლებიც მასში რეგულარულად უნდა იდგმებოდეს, ამ სკის, ახალგაზრდა ფუტკრით მომარაგების მიზნით. ასევე, ეს სკა მო-ითხოვს საკვებით რეგულარულ მომარაგებას. იმისათვის, რომ მკვე-ბავებმა იტვირთონ დედებზე ზრუნვა, განაყოფიერებული დედები უნ-და შეუშვათ გალიებში გამცილებელი ფუტკრების გარეშე. ამით, აგ-რეთვე, თავიდან ავიცილებთ ბადესთან აგრესიას.

ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებში მცხოვრები მედედეები ძალი-


ან დაინტერესებულნი არიან გამოიმუშაონ სკეპში, ზამთრობით, დედების შენახვის მეთოდიეკა. ეს მიცემდა მათ შესაძლებლობას შეექმნათ დიდი მოთხოვნილება ფუტკრის დედებზე, თაფლის მნარმოებელთა მხრიდან, უშუალოდ გაზაფხულის დასაწყისში. A. DIETZ-ის ნაშრომი, რომელიც აღნერილია აპიმონდის კონგრესის მასალებში (ბუდაპეშტი 1982), მიღებულ იქნა დიდი ინტერესით. მან უჩვენა, რომ ჩვენ ვდგვართ სწორ გზაზე რათა დედების ცოცხლად შენახვის პრობლემა გადავწყვიტოთ, თუმცა ბევრია გასაკეთებელი, რაც მათი ხანგრძლივი შენახვის საკითხებს ეხება(იხილე ცხრილი).

#### შენახული დედების სიცოცხლისუნარიანობა A. DIETZ-ის მიხედვით (1982)


თარიღი	შენახული დედების რაო-ბა	დაღუბული დედების რაო-ბა	სიკვდი-ლიანობა % -ში
13-11-82	3	680*	0
05-02-83	1 110	381	10,4
15- 03-83	515	595	53,6

\* ეს რიცხვი შეიცავს 2 189 დედას, რომელიც გაიყიდა 13/11/82-5/2/83

ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა კანადაში დედების შესანახ სკაში, რომელიც შეიცავდა ორ სკის კორპუსს და თითოეულში იყო 360 დედა, და შემდეგ, ზემოაღნერილის მიხედვით. შაქრის სიროფის საკვები (ფუ-მიდილ B-თი, ნოზემატოზის საწინააღმდეგოდ), ეძლეოდა ყოველ 4-5



ფიგ. 68: ჩარჩო ვალიებისათვის.  
ის თავსდება მომნიშვებულ  
ბარტყიან და ქეოიან ჩარჩოებს  
შორის.



ფიგ. 69: ვალია დედით ვამცი-  
ლუბლის გარეშე. ასეთი სახით  
იზოლირებული დედები მზადაა  
დედის შესანახ სკაში ჩასადებად.

დღეში. საფუტკერე განლაგებული იყო დახურულ ადგილას, დაზამთრებისათვის უკეთეს პირობებში (ფიგ. 68 და 69). ზამთრის პერიოდის გავლის შემდეგ ე. ი. 4 თვეში იყო 54% დანაკარგი. N. RICE (1995) ინახავს დედებს 6-7 კვირის განმავლობაში, დანაკარგების გარეშე. ამას ახერხებს ბადიან გალიაში ცოტა კანდის მოთავსებით, რაც იზიდავს მკვებავ ფუტკრებს.

გაუნაყოფიერებელი დედების შენახვა 'ბანეში' არ უნდა მოხდეს. უმჯობესია შევინახოთ ისინი ინკუბატორში, მაქსიმუმი 5 ან 6 დღით, ერთ წევეთ თაფლთან ერთად (იხ. ინკუბატორი, 62 გვ.). მუშა ფუტკერები ანუხებენ და ზიანს აყენებენ გაუნაყოფიერებელ დედებს (გალის ბადის მეორე მხრიდან), უფრო მეტად ვიდრე განაყოფიერებულ დედებს (JASENKI 1987). მიკროსკოპში შემონაბის შემდეგ მათ ფეხებზე ნანაზარდები თეთრად გამოიყურება და ფერომონის გამოყოფა, ამ დაზიანებული დედებისა, ხშირად ირღვევა.

თუ განაყოფიერებული დედები ჩასმულია JZ'BZ ტიპის გალიაში (იხ. ფიგ 67) ისინი შეძლებენ თავის დაცვას, მასზე გარედან თავდასხმის დროს, როცა მის გარშემო მტრული განწყობილებაა. დედების ყიდვის შემთხვევაში, თუ კლიმატური პირობები არახელსაყრელია მათი ახალ დაობლებულ სკაში შეყვანისათვის, შესაძლებელია, რომ ისინი რამდენიმე დღეს იყვნენ სატრანსპორტო გალიებში, რომლებიც უნდა შევინახოთ  $18-27^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, ოთახში, სინათლისაგან მოშორებით, მწერსანინააღმდეგო ფირფიტის გარეშე. გალიების ბადიდან ვერ უნდა შევიდნენ ჩრჩილის პეპლები, უჯრედის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2,5 მმ-ს. დახარჯული კანდი უნდა შეივსოს და თუ შესაძლებელია, გამცილებელი ფუტკრები უნდა შეიცვალოს, ახალგაზრდა ფუტკრებით.

## დედების შეყვანა ახალ ოჯახებში


საერთოდ დაობლებული ფუტკრის ოჯახი მშვიდობიანად იღებს ახლადშეყვანილ დედას კარგი ლალიანობის დროს (იხილე კალენდრის უკანა გვერდი, 92). თუ ოჯახში ნექტარი არ შედის მაშინ ისინი დედას მიიღებენ თუ ამ ოჯახს ხელოვნურად გამოვევებავთ. სხვა უსაფრთხოების ზომებიც უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, კერძოდ:

- უპირველეს ყოვლისა უნდა დავრნმუნდეთ, რომ ოჯახი არის უდედო (რათქმაუნდა მასში არ უნდა იყოს გაუნაყოფიერებელი დედაც);

- მივცეთ ფუტკრებს დრო და შესაძლებლობა, რათა ისინი შეეგუონ ახალ დედას. ის დაცული უნდა იყოს ბადით, რომ მან შეძლოს

დაიჭიროს 'ფიზიკური' კონტაქტი მუშა ფუტკრებთან (სადედე ნივთი-ერების გასაცემად მოცემულ ოჯახში).

ზოგიერთ მეფუტკრეს, ფუტკრის ოჯახში, დედა შეჰყავს პირდაპირ, ყოველგვარი დამცავი მოწყობილობის გარეშე, როცა კვეცხდება არ



ფიგ. 70: დედის  
შესაყვანი გალია,  
დამზადებული  
მეტალის ბადის  
მართვულხა  
ნაჭრისავან.

შენყვეტილა. ასევე შეიძლება გავაკეთოთ აგრეთვე ინკუბატორიდან ახლადგამოჩეული, გაუნაყოფიერებელი დედებისათვის: ისინი პირდა-პირ ეძლევა ხელოვნურ ნაყარს, რომელიც გამოყოფილი იყო სამი საა-თის წინ. მაგრამ, სხვაა როცა დედამ, რამდენიმე დღე გაატარა სატ-რანსპორტო გალიაში. თანამედროვე თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში უკეთესია გავანთავისუფლოთ დედა გალიიდან და დავამწყვრიოთ ის რეინის ბადის ქვეშ, მომწიფებულ ბარტყიან ჩარჩოზე, დავაჭიროთ ბა-დეს თითი. მისი ზომებია: 10 სმ X 8 სმ X 1.5 სმ (ფიგ. 70).

შევარჩიოთ მნიშვნელოვანი ფიჭა. ეს აძლევს დედას საშუალებას, რომ ის სწრაფად იყოს გარსშემორტყმული ახლადდაბადებული 'მომ-ვლელებით' და დედა მალე იწყებს კვერცხდებას. სანამ სატრანსპორტო გალიას გავხსნიდეთ, გირჩევთ, რომ ის ცოტა ხნით ჩავძიროთ წყალ-ში, იმისათვის, რომ, სველი დედა ადვილად ვერ გაფრინდება. რაც უფ-რო დიდხანს იყო კვერცხის დება შენყვეტილი მით უფრო მეტია დედის გაფრენის რისკი. დედის აქტიური კვერცხდების დროს მისი გაფრენა თითქმის შეუძლებელია. გამცილებელი ფუტკრები უნდა გავანადგუ-როთ. დედა უნდა შევიყვანოთ მარტო, რეინის ბადის ქვეშ. ბადის ნაპი-რებიდან ორი ან სამი მავთული წინასწარ უნდა ამოვილოთ. ეს გააად-ვილებს მის ჩაფლობას ფიჭაში. გავანთავისუფლოდ ის სამი დღის შემ-დეგ გალიის ამოღებით, რომლის ქვეშ ის უკვე დაინყებდა კვერცხის დებას (ფიგ. 71).



ფიგ. 71: ახალგაზრდა დედა კვერცხდების დროს.



ფიგ. 72: ნიკოტის შემყვანი გაღია.

შესაყვანი გაღიერდი დამზადებული პლასტმასისაგან (ნიკოტის მარკის) ამჟამათ იყიდება ბაზარზე. ისინი უფრო გამძლეა ვიდრე მავთულის ბაზის გაღია და მრავალჯერ შეიძლება იქნას გამოყენებული (ფიგ. 72).

სხვა მეთოდია თავისივე გაღის გამოყენება. ის იძლევა შესაძლებლობას, რომ დედა თვითონ განთავისუფლდეს ტყვეობიდან, გაივლის რა ის პატარა მეტალის მილში, რომელიც გაღის კუთხეშია მოთავსებული, როცა ფუტკრები მთლიანად შეჭამენ იმ კანდს, რომლითაც ეს მილი იყო სავსე (საერთოდ ორ ან სამ დღეში).

დედების ახალ ოჯახებში შეყვანა, გაზისისაგან დამზადებულ ჩანთაში, იძლევა საუკეთესო შედეგებს. ავილოთ  $20 \times 15$  სმ<sup>2</sup> ზომის გაზეთის ჩანთა. მოვათავსოდ მასში 35-50 ფუტკარი და ვარხით ის სწრაფად 30 წამის განმავლობაში. ამის შედეგად, ეს მიკროვარი დაინტებს ბზუილს, დაობლებული ოჯახის მსგავსად. შემდეგ ვათავსებთ მათთან დედას, ვხურავთ ჩანთას და ვაფიქსირებთ მას ჩარჩოებს შორის. ფუტკრები გამოხრავენ გაზეთს, გაანთავისუფლებენ დატყვევებულ დედას და ფუტკრებს, რამდენიმე საათში.



ფიგ. 73:  
 სატრანსპორტო  
 გალიის გამოყენება  
 დედის მისაცემად.

დედის ახალ ოჯახში შეყვანისათვის შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე სატრანსპორტო გალიაც. ამ შემთხვევაში ამოვიყვანოთ გამცილებელი ფუტკრები და მოვხსნათ საცობი კანდის მხრიდან. გავხერიტოთ 1 ან 2 მმ დიამეტრის ნახვრეტით კანდის მარაგი და დავაფიქსიროთ გალია ორ ბარტყიან ჩარჩოს შორის. ფუტკრები გამოხრავენ კანდს და გაანთავისუფლებენ დედას. შევამოწმებთ რა დედის მიღებას, გალიას ამოვიღებთ (ფოგ. 73).

ზოგიერთი კანადელი მეფუტკრე, დედების გამოცვლისათვის იყენებს ნუკლეუსებს. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა სკაში და ნუკლეუსებში გამოვიყენება ერთნაირი ზომის ჩარჩოები. ძველი დედა უნდა ამოვიყვანოთ სკიდან, ნახვარი საათით ადრე, ახლის შეყვანამდე. ეს, ფაქტიურად არის გაერთიანება, რადგან ის გულისხმობს, ნუკლეუსის სრული შემადგენლობის (ჩარჩოები, ფუტკარი და ახალი დედა) ჩადგმას იმ სკაში, რომლის დედა უნდა გამოვცვალოთ. ფუტკრების ძირითადი პოპულიაცია, ამ ოპერაციის ჩატარების ნინ უნდა შევარჩიოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება, მოვახდინოთ, ოჯახის რეორგანიზაცია და დავარღვიოთ ფერომონის გავრცელება. ამ ოპერაციის ჩატარების დროს უნდა მივცეთ საკვები.

დედის გამოცვლის ეკონომიური, მაგრამ, მოსაბეზრებელი მეთოდი არის შემდეგი: გალიაში ატყვევებუნ გამოსაცვლელ დედას. მეორე დღეს მას ამოიყვანენ და ჩასვამენ ახალ დედას მის ადგილზე, იმისათვის, რომ მან მიიღოს ძველი დედის სუნი. ვიყოთ ფრთხილად, გამცილებელი ფუტკრების ამოყვანის დროს და კანდის გახვრეტის დროს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დედა თავისით განთავისუფლდეს რამდენიმე საათში.

ბევრ ევროპელ მეფუტკრეს, რომლებიც, მხოლოდ ცოტა რაოდენობის დედებს ცვლის, ყოველ წელიწადს, ათვისებული აქვს, შემდეგი მეთოდი: იმის შემდეგ როცა მოვძებნით დედას ძლიერ ოჯახში, შევქმნით მინი – ოჯახს, ხელოვნური ნაყარის მსგავსად, ხუთი ჩარჩოთი. სამი ჩარჩო ბარტყიანი ყველა ასაკის ფუტკრით, შუაში, და თითო ჩარჩო ნაპირებში თაფლიანი და ჭეოიანი. ეს უდედო ნაყარი მოვათავსოთ დონორი ოჯახიდან რამდენიმე მეტრ მანძილზე და ის 24 საათის შემდეგ მთლიანად დაკარგდავს ხნიერ ფუტკრებს. შემდეგ ახალგაზრდა დედა პირდაპირ ეძლევა ასევე ახალგაზრდა პოპულიაციას, რომელიც საკმაოდ ადვილად მიიღებს მას.

SCRIBE-ის მეთოდით, დედა უნდა დავფაროთ სადედე რძით ზუსტად სკაში შეყვანის ნინ. ეს მეთოდი გამოდგება აგრეთვე გაუნაყოფი-ერებელი დედების შეყვანის დროს.

ავსტრალიაში, ზოგიერთი მეფუტკრე სისტემატიურად ცვლის ფუტკრის დედებს, მარტივად, სადედე უჯრების შეტანით, თაფლიანი სა-

კუჭნაოს ზედა ნაწილში, დიდი ღალიანობის დროს, და, განსაკუთრებით 'ადგილი' ფუტკრებისათვის. ეს მეთოდი იძლევა შესაძლებლობას, რომ ფუტკრებმა ძველი დედა თვითონ გამოცვალონ – ახლით.

მეორეს მხრივ, ჩვენი პირადი გამოცდილებით, ახალგაზრდა დედების დაწუნება ხდება ძირითადად იმ საჯიშე ფუტკრებიდან, რომელთაც სანიტარული პრობლემები აქვსთ.

უნდა აღინიშნოს, რომ დედების დაწუნების შემთხვევას ადგილი აქვს, უფრო ხშირად მაშინ, როცა ის შეგვყავს სხვა ჯიშის ფუტკართან. მაშასადამე, თუ ჩვენ მოვიყვანთ დედას შორიდან, ან 'ყვითელ' ფუტკრებს, რომლებიც გსურთ გამოიყენოთ თქვენი ხაზის ფუტკრებისათვის მელლიფერა მელლიფერა, უნდა ვიყოთ ფრთხილად და მივიღოთ ყველა შესაძლო წინასწარი ზომები მიზნის მისაღწევად. ეკრძოდ, გამოვიყენოთ ხელოვნური ნაყარი ანუ ამანათნაყარი ისე, რომ გამოვრიცხოთ ძველი ფუტკრები, რომლებიც ხშირად წარუმატებლობის მიზეზია. (იხ. კალენდარი).

## დედები

დედების მიღების ან დაწუნების ფენომენი, რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ სკაში ყველაფერი იმართება ქიმიური სიგნალებით, რასაც ფერომონები ეწოდება. ესენი არის ბუნებრივი ქიმიური შენაერთები, რომლებსაც ფუტკრები გამოჰყოფენ. დედა ფუტკარი გამოჰყოფს სხვადასხვა ტიპის ფერომონს, სახელდობრ, ყბის, თათების ბოლოს მოთავსებულ წინატერფის ჯირყვლის, მუცელის ღრუში მოთავსებულ ჯირყვლის და სხვა. ამ ფერომონებით დედა აფერხებს მუშა ფუტკრების საკერცხეების განვითარებას და ამით ოჯახში თავის ერთადერთ როლს ასრულებს. მეფუტკრემ მხედველობაში უნდა მიიღოს ეს ბუნებრივი ზემოქმედება და მიიღოს ზომები, რათა ფუტკრების პოპულიაციამ ადვილად მიიღოს სხვა ჯიშის დედა, რომელსაც განსხვავებული სუნი აქვს.


როგორც განაყოფიერებული, ისე გაუნაყოფიერებელი დედა, რომლებმაც იმოგზაურეს ან არ იმოგზაურეს, ფრთხილად უნდა შევიყვანოთ. ხშირია დაწუნების შემთხვევები. ამიტომ მედედეები ცდილობენ, შეძლებისდაგვარად გამოიყენონ სადედე გალიები. დედების შესაყვანად საუკეთესო მეთოდია მათი შეყვანა ამანათნაყრების გამოყენებით, რომლებიც დასახლებულია ახალგაზრდა ფუტკარით.

## კალენდარი დედების გამოყვანისათვის

დღეები	ოპერაციები
-45	სელექცია და გამაღიზიანებელი კვება სამამლე ოჯახებისათვის. მამლების შეყვანა. ვაროატოზის მკურნალობა.
-30	საჯიშე ოჯახის შერჩევა და ნოიერი გამოკვება.
-2	სტარტერის და საჯიშე ოჯახის მომზადება.
-1	შეგუება (მნიშვნელოვანია შავი ფუტკრისათვის). პირველი მყნობა (ორმავი მყნობის დროს). ნულოვანი დღე. მყნობა
1	სადედების გადატანა აღმზრდელ ოჯახში. კვება.
2	აღმზრდელი ოჯახის კვება.
3 (რძე)	აღმზრდელი ოჯახის კვება.
4 (გამოზრდა)	აღმზრდელი ოჯახის კვება.
5	თუ საჭიროა: გადაბეჭდილი სადედების გადატანა ინკუბატორში.
8	გამნაყოფიერებელი ნუკლეუსების დასახლება და მათი მო- თავსება გრილ ადგილას 24 საათით.
9	საღამო: გამნაყოფიერებელი ნუკლეუსების განლაგება.
10	სადედე უჯრედების განაწილება. კვება*.
11	დედის დაბადების შესაძლებლობა.
12	დედის დაბადების შესაძლებლობა.
25	კვეცხდების შემოწმება. განაყოფიერებული დედის მარკი- რება და გადატანა გალიაში. ახალი სადედეს მიცემა დამცა- ვით. კვება, ან...
26	დაუცველი სადედეს შეყვანა. კვება.

\* როცა გამოგვყავს კავკასიური ჯიშის დედა, მაშინ სადედების ამოკრეფის ვადა შეიძლება გაიზარდოს 24 საათით, რადგან, როგორც ჩანს, ისინი ვითარ-  
დებიან უფრო ნელა ვიდრე სხვა ჯიშის დედები, ინკუბატორშიდაც კი. მეორეს მხრივ, აფრიკული ფუტკარი ადანსონი, და შესაძლოა აგრეთვე, ინტერმისა, 24 საათით ადრე შეიძლება ამოვერიფიროთ.

დღეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
--------	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----



კვერცხი

დედოფლისნინა

ჭია

დედოფალა

ჭუპრი

: გაზრდილი მწერი

# ფუტკრის დედების გამოყვანა – დასკვნები

მოკლე აღნერა არასდროს არ შეიძლება იყოს სრულყოფილი. მიუხედავად ამისა, იმედია, რომ ორივე, როგორც მოყვარული, ასევე პროფესიონალი მეფუტკრე იპოვიდა ამ წიგნში გარკვეულ, სასარგებლო რჩევებს ფუტკრის დედების წარმატებით გამოყვანის საქმეში.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეს წარმომი, უბრალო დეტალური, ერთმანეთზე მნიშვნელოვანი, საფეხურების სიმრავლეა, რომლებიც ისევე მნიშვნელოვანია ახლა, როგორიც ისინი იყო წარსულსში. მაშინ როდესაც დედების გამოყვანა არის საკმაოდ მარტივი თუ დავიცავთ ‘რეცეპტს’. წამდვილი, ხარისხიანი დედების მიღება კი არის საკმაოდ ძნელი მისაღწევი. რადგან აქ სელექციის ელემენტებიც ერთვებიან და ისინი დასაცავად უფრო რთულია.

პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ, მთავარ საკითხებზე:

- კარგად შერჩეული საჯიშე ოჯახი
- ჭერს მუდმივი სიუხვე, მომვლელი ფუტკრების განკარგულებაში
- 12 საათზე უფრო ნაკლები ასაკის მქონე ჭუპრის დამყნობა
- რაც შეიძლება მცირე დროის შუალედი დამყნობიდან სტარტერში ჩადგმამდე
- უხვფუტკრიანობა აღმზრდელ ოჯახში
- თხელი შაქრის სიროფის მიცემა საკვებად ყოველი ოპერაციის შემდეგ
- გამნაყოფიერებელი საფუტკრე დიდი რაოდენობის, სელექციური მამალი ფუტკრებით
- უხვფუტკრიანი, გამნაყოფიერებელი ნუკლეუსი ახალგაზრდა ფუტკრებით და საკვების კარგი მარაგით.

ცოტა რაოდენობით დედების მისაღებად, შევარჩიოთ ღალიანობის და ნაყრიანობის პერიოდი. ფაქტიურად, იდეალური იქნება, თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ფუტკრების ბუნებრივ ქცევას. მაგრამ, პროფესიონალ მედედებებს, არ შეუძლიათ შემოისაზღვრონ მხოლოდ საუკეთესო პერიოდით. ამის გამო ისინი მიმართავენ სპეციალური, კვების მიცემის პრინციპს, რაც ჩვენ საკმარისად აღვნერეთ წინა თავებში: გამოკვება ჭეოთი (ან მისი შემცველებით) და შაქრის სიროფით.

ცილოვანი საკვები, უსათუოდ დიდ როლს თამაშობს როგორც თაფლის წარმოების საქმეში ასევე დედების წარმატებით გამოყვანისათვის მიმდინარე წლის განმავლობაში. ფაქტიურად ცილების შემცირება, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ვაროას გაძლიერება ოჯახის

შიგნით, რადგან ვაროა ინვენტარის ჰომოლიმფას მრავალჯერად გარღვევას. ამის გარდა, შეიმჩნევა ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება ვაროატოზის ზემოქმედების შედეგად.

მხოლოდ უხვფუტკრიანობით შეიძლება დაძლეულ იქნას ეს სიძნე-ლე, რომელიც შეიძლება მივიღოთ ახალგაზრდა, სელექციური დედის მეშვეობით. ნათქვამი, გახდება ნათელი თუ განვახორციელებთ სელექციურ პროგრამას და მოვახდენთ მრავალწლიან დაკვირვებას. დედების გამოყვანა არის ძირითადად ნაყრიანობის თავიდან ასაცდენი საშუალება. ნაყრიანობა მეფუტკრის ერთერთი ძირითადი საზრუნავია სხვა საქმეებს შორის, რადგან ის ყოველთვის ამცირებს მოსავალს. ANERCEA-ს (საფრანგეთის მედედეთა ასოციაცია) თანახმად ნაყრიანობის ნორმა უკუპროპორციულია ფუტკრის დედის ასაკისა, შემდეგი თანაფარდობით:

- მიმდინარე წლის დედიანი ოჯახის ნაყრიანობის რისკი არის 2-3%.
- ერთი წლის ასაკის მქონე დედიანი ოჯახისათვის ნაყრიანობის რისკი არის 20%.
- ორი წლის ასაკის მქონე დედიანი ოჯახისათვის ნაყრიანობის რისკი არის 50%.

მაშასადამე, დედების გამოყვანა და მათი დროულად შეცვლა არის უმნიშვნელოვანესი საკითხი მეფუტკრეობაში. მაგრამ ეს ოპერაცია არ შეიძლება დავიყვანოთ მარტივ, მექანიკურ ‘რეცეპტამდე’. ხარისხის გაუმჯობესება და სელექცია არასდროს არ უნდა დამთავრდეს. ეს ხდის მეფუტკრეობას საგანგებოდ საინტერესო დისციპლინად, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს საკუეთესო შედეგები მეცნიერებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე.



სურათზე ავტორის ნუკლეუსები.

## ამანათნაყრების ნარმოება

მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, მრავალი წლის განმავლობაში, ამანათნაყრები იხმარებოდა სკების და ნუკლეუსების დასასახლებლად ან, უბრალოდ, სუსტი ოჯახების გასაძლიერებლად. დედების მნარმოებლები დიდ სიძნელეს განიცდიან ამ პროდუქტის გარეშე, რომელიც საკმაოდ აადვილებს მათ შრომას, ახდენს დროის ეკონომიას, აუმჯობესებს დედების მიღების პროცენტს. ამანათნაყრები აუცილებელი კომპონენტია დედების გამოყვანის საქმეში და ორივე პროდუქტი, ხშირად, ერთად იყიდება ბაზარზე.

ტერმინი 'ამანათნაყარი' ნიშნავს ხელოვნურ ნაყარს, ხშირად ენოდება, აგრეთვე, 'შიშველი ნაყარი'. ამანათნაყარი წარმოადგენს კილონახევარ ფუტკარს, ამოკრეფილს ერთი, ან რამდენიმე ოჯახიდან. გასაყიდად მომზადებული ამანათნაყარი თავსდება მუყაოს ან, მსუბუქ, ხის ყუთში. ეს ყუთი კარგად უნდა ნიავდებოდეს მეტალის ბადის გამოყენებით მისი კედლის ზოგიერთ ნაწილში. ეს აუცილებელია უდანაკარგო ტრანსპორტირებისათვის. თუ ტრანსპორტირება ხდება რამდენიმე საათს, მაშინ ფუტკრები უნდა მოვამარაგოთ მცირე რაოდენობის კანდით ან სიროფით. 1 ან 2 განაყოფიერებული დედა უნდა მოვათავსოთ სპეციალურ მცირე გალიაში ფუტკრებს შორის. აქ არ არის არც ბარტყი არც ჩარჩო, ეს აადვილებს მის დამუშავებას ვაროატოზის სანიანალდებოდ. ამანათნაყრების დიდი უპირატესობა იმაშია, რომ მათი ტრანსპორტირება ბევრად მარტივია ვიდრე ჩარჩოიანი ოჯახების ტრანსპორტირება (რომელსაც ჰყავს ბარტყი და საკვები მარაგი).

## ამანათნაყრების მომზადების მეთოდი

### აუცილებელი მოწყობილბა

ცოტა რაოდენობის ამანათნაყრების მომზადება საკმაოდ ადვილია თუ ცოტა რაოდენობის ფუტკრებს ჩავბერტყავთ ყითში, ძაბრის გამოყენებით (რა თქმა უნდა, დედა წინასწარ უნდა მოიძებნოს და დამწყვრეულ იქნას სკის ერთ მხარეს. სულ სხვაა, სამუშაოს ჩატარება კომერციული მიზნით, როცა საჭიროა მრავალი ამანათნაყრის წარმოება, ათეულობით კე ფუტკრის შეკრებით).


ამ მიზნით მედედებმა განავითარეს რაციონალური მეთოდი, რომელიც იყენებს რკინის ბადისაგან შედგენილ კოლექტორს, რომელსაც

ზემოდან ადგას, ასევე, რკინის ბადისაგან შედგენილი ძაბრი (ფიგ. 76). იგი გამძლეა და კარგად ნიავდება.

თუ საჭიროა მისი ხშირი გადატანა სკებთან ერთად მაშინ, სასურველია, ის იყოს გაერთიანებული (კოლექტორი- ძაბრი) და ზომით იყოს სკის ტოლი, რაც გააძვილებს მის ტრანსპორტირებას.

იმავე მიზნით, კოლექტორი შეიძლებოდა ყოფილიყო კორპუსის ზომის ან ორჯერ მეტი ასევე ძაბრიც სკის ტოლი. კოლექტორის ოთხივე ვერტიკალური ეყდელი შეიძლება იყოს მავთულის ბადე, მაგრამ ბევრად უმჯობესია, თუ გამოვიყენებოთ 5 მხრიდან პერფორირებულ ალუმინის, რომელიც სრულყოფილად უზრუნველყოფს ვენტილაციას და სიმტკიცეს. ფუძე, დაფარული უნდა იყოს არაპერფორირებული ფირფიტით. მავთულის ბადის გამოყენება არახელსაყრელია რადგან მას აკლია მდგრადობა, მისი დაზიანობის შემთხვევაში ფუტკრები შეიძლება გამოფრინდნენ (ფიგ. 74).

გალიას შეიძლება ჰქონდეს ორი კარი. ერთი ზემოდან, ზუსტად ისეთი, რომ ძაბრის ფუძე მასში ჩაჯდეს, ხოლო მეორე, ერთერთი გვერდის კუთხეში, რომელსაც ექნება მცოცავი საკეტი, საიდანაც შეიძლება ფუტკრების ამოყვანა და სატრანსპორტო, პატარა გალიაში მოთავსება. ძაბრი დამზადებულია ფურცლოვანი მეტალისაგან, რათა ფუტკრები ადვილად ჩასრიალდნენ კოლექტორში. ძაბრი მყარად უნდა იდგმებოდეს ყუთის თავზე და იყოს მდგრად მდგომარეობაში, რომ მან გაუძლოს საკუჭნაოს ბიძგებს ფუტკრის ჩაბერტყვის დროს. ძაბრისა და საკუჭნაოს კონტაქტური არე დაცული უნდა იყოს კუთხეებში მო-



ფიგ. 74: ფუტკრის კოლექტორის გარე ხედი.  
 ზემოდან ჩასაბერტყვი ძაბრი.

თავსებული ამაღლებული ნაწილებით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ფუტკრები არ დაილუპონ მათი საკუჭნაოდან ჩაბერტყვის დროს.

საჭირო ხელსაწყოებს შორის აუცილებელია განემანის ფილტრი. მეტალის განემანის ფილტრი უკეთესია ვიდრე სხვა მასალისაგან დამზადებული, რადგან მასში ადვილად და სწრაფად ძრებიან მუშა ფუტკრები ვიდრე პლასტმასის ფილტრში. შევამონმოთ, რომ ეს ფილტრი არ იყოს დაზიანებული, რადგან მცირე დეფორმაციაც კი, საკმარისია, რომ მასში დედა გაძვრეს. მაშინ ის ძაბრის საშუალებით მოხვდება გასაგზავნ ფუტკრებში, ჩაბერტყვის შემდეგ. ერთია ან მეტი საკუჭნაო უნდა მოვამზადოთ იმისდამიხედვით თუ რა რაოდენობის ფუტკარი გვესაჭიროება და რამდენი მეფუტკრე მუშაობს ჩაბერტყვაზე. საკუჭნაოს უნდა ჰქონდეს 6 ან 7 ჩარჩო (ხელოვნურ ფიჭიანი, ან მშრალი უჯრედებით, რადგან თაფლი მათ დაამძიმებდა, გამოიწვევდა დაზიანებას დაბერტყვის დროს და გააღიზიანებდა ფუტკრებს). ჩარჩოების რაოდენობის შემცირებით იზრდება მათ შორის თავისუფალი სივრცე, ეს ნიშნავს, რომ მათ შორის იქნება მეტი რაოდენობა ფუტკრებისა. ჩარჩოები, საკუჭნაოში შეიძლება იყოს, თავისუფალი ან ჩამაგრებული.

ხელოვნური ან მშრალი ფიჭის შემთხვევაში, ჩარჩოებს უბრალოდ დაფარავენ № 7 რეინის ბადით (რომელსაც მეტალობაზებში საერთოდ უნდა და გადასაცემის საცერს', მას აქვს კვადრატული ხერხლები 3.5 მმ შუალედებით). ეს მასალა მიმაგრებულია ჩარჩოს ორივე მხრიდან. ამ გზით ფუტკრები უვნებლად კავდებიან მის ზედაპირზე როცა ისინი მიძვრებიან საკუჭნაოში. ასეთი მტკიცე მონტაჟი შეიძლება ხანგრძლივად გამოვიყენოთ.

## ფუტკრების შეგროვება

### სკეპის მომზადება


ოჯახი, რომლიდანაც უნდა ამოვილოთ ფუტკრები, უნდა იყოს უხვ-ფუტკრიანი, და ნინასნარ უნდა დავამუშაოთ ვაროას სანინაალმდებოდ. ზოგიერთი ჯიშები განსაკუთრებით შესაფერისია ამ პროდუქციის მისალებად. ეს განსაკუთრებით ეხება იტალიურ ფუტკარს და მის ჰიბრიდებს, რადგან ისინი ძალიან ბევრ ბარტყს აჩენენ სეზონის დასაწყისში. თუმცა, ამანათნაყრების მომზადება სრულიად შესაძლებელია ვანარ-მოოთ A. m. mellifera-დან, თუ გამოვიყენებთ გამაღიზიანებელ კვებას, ფუტკრების ამოღებამდე ხუთი ან ექვსი კვირით ადრე. 50% კონცენტრაციის შაქრის სიროფი უნდა გამოვიყენოთ, მცირე დოზებით, განა-

წილებული დროის რეგულარული ინტერვალებით. სეზონის დასაწყისში საკვებს უნდა დაუმატოთ ცილოვანი საკვები კანდის კოკრების სახით, რომელიც უნდა გავამდიდროთ ახალი ყვავილის მტვერით. ეს პროდუქტი უნდა შევინახოთ მაცივარში ან მისი უქონლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ ლუდის საფუარი და სოიას ფქვილი. ეს დააჩქარებს ფუტკრის ოჯახების განვითარებას (იხ. კვება, გვ. 23).

## ამანათნაყრების შეგროვების მეთოდი

ფუტკრების ამოყვანა უმჯობესია მოხდეს დღის ნათელ პერიოდში, როცა მოღალე ფუტკრები დაკავებულია გარე სამუშაოებით, შემდეგი მიზეზის გამო: ამანათნაყრები იქნება შედგენილი უფრო ახალგაზრდა ფუტკრებისაგან, რაც მეტად მნიშვნელოვანია და ფუტკრები არიან ნაკლებად აგრესიული მეფუტკრის და სხვათა მიმართ. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელია შავი ფუტკრებისათვის (*A. m. mellifera*) რადგან სხვა-დასხვა ოპერაციებმა შეიძლება გამოიწვიოს მათი აგრესიულობა.

მოვათავსოთ განემანის ფილტრი სკის კორპუსსა და სპეციალურ საკუჭნაოს შორის. გადმოვაბრუნოთ სახურავი ისე, რომ შეიქმნას 1 ან 2 სმ საკენტილაციო სივრცე, შესასვლელის მხარეს. ასეთი ღია ადგილი მეტად მოხერხებულია ბოლის გამოდევნის მიზნით. რადგან, დაუბერავთ რა საბოლებლით, საფრენიდან, ფუტკრები იძულებული იქნებიან გამოფრინდნენ ამ ღია ხვრელიდან საკუჭნაოს გავლით და არა საფრენიდან (ფიგ. 75).



ფიგ. 75: დაკავუუნება.



ფიგ. 76: ფუტკრები სხვადასწავ  
სექტიდან ერევა ერთიდაიმავა  
კოლექტორში.

უპირველეს ყოვლისა, დაუბოლოთ სკას, ნახევარი ნუთის განმავლობაში, უხვი ბოლით. ბოლი უნდა იყოს რაც შეიძლება გრილი. ამის შემდეგ გავიმეოროთ იგივე 5 ან 6 სკისათვის საიდანაც გვინდა ფუტკრების ამოკრეფა. შემდეგ, ნელ შებოლებასთან ერთად, ვაკაკუნოდ სკის გვერდიდან, ასტამით ან ხის ნაჭერით, ან, უბრალოდ, ხელის გულით, თუ, არ გვინდა, რომ სკა დაზიანდეს ასეთი უხეში ოპერაციების დროს. რამდენიმე ნუთში ფუტკრები ამონუნიან უხვ საკვებს, ისე როგორც ისინი აკეთებენ ნაყრიანობის ნინ (ფიგ. 75).

როგორც კი დავრწმუნდებით, რომ საქმარისი ფუტკრები ავიდნენ ზემოთ, სპეციალურ საკუჭნაოში, მაშინვე ამ უკანასკნელს მოვათავსებთ მეტალის ძაბრზე და ენერგიულად დავარხევთ, ისე, რომ ყველა ფუტკრები ჩაცვივდეს კოლექტორში (ფიგ. 76).



ფიგ. 77: რამდენიმე კვ ფუტკარი შეგროვდება რამდენიმე ნუთში.


გულმოდგინეთ დავაკვირდეთ დედა ფუტკარს! ამ ოპერაციების ჩა-  
 ტარების დროს, ის ხშირად არის განემანის ფილტრის ქვეშ მამლებთან  
 ერთად, რადგან ისინიც ვერ გადიან ამ ფილტრში. განემანის ფილტრის  
 ხელმეორედ გამოყენების წინ ის ფრთხილად უნდა ჩავბერტყოდ, სა-  
 ნამ მას ჩავდგამდეთ სხვა სკაში. ამ მეთოდის გამოყენების დროს ფუტ-  
 კრები გროვდება სხვადასხვა სკიდან, მეტალის გალიაში. არის ჩახუთ-  
 ვის შესაძლებლობა. ამიტომ, გირჩევთ, რომ შეგროვილი ფუტკრები მო-  
 ვათავსოთ ყუთებში ან გალიებში მაშინვე, როცა კოლექტორი ნახევ-  
 რამდე შეივსება. ამ შემთხვევაში მასში 8-10 კგ ფუტკარია.

ჩახუთვა უფრო შესაძლებელია მოხდეს კარგი ღალიანობის დროს,  
 როცა ფუტკრები გამაძლარი არიან დაბალი კონცენტრაციის მქონე  
 ნექტარით. ფუტკრის სეზონის კულტინაციის დროს უხვფუტკრიანი  
 ოჯახიდან, დასაშვებია ამოვილი არსებული ფუტკრების ნახევარი,  
 რადგან, გარეთ გასული ფუტკრები დაბრუნების შემდეგ საემარისი იქ-  
 ნება იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ბარტყის გაციებას (ფიგ. 77).

როგორც კი ეს ოპერაციები შესრულდება, აუცილებელია მივცეთ  
 საკვები იმისათვის, რომ აღვადგინოთ ფუტკრების დანაკლისი და  
 შევამსუბუქოთ სტრესით მიღებული განცდები.

## შეგროვილი ფუტკრების ტრანსპორტირება

როცა შეგროვილი ფუტკრები უნდა გაიგზავნოს გარკვეული მიზ-  
 ნით, არ ჩავანყოთ ისინი სატრანსპორტო ყუთებში. ჩავანყოთ ისინი  
 ერთ ან მეტ სკის კორპუსებში რომლებსაც ექნება ბადის ფსკერი და  
 სახურავი. ამ კორპუსებში უნდა იყოს 5 ცარიელი, მშრალი ჩარჩო, რომ-  
 ლებიც ფუტკრებს მიცემს შესაძლებლობას თავიანთი შემადგენლობის  
 ნაწილი განალაგოს მათზე. ჩარჩოები განცალკევებულია და ფიქსირ-  
 ბული 5 შემზღვეულით (ფიგ. 78), რომლებიც ერთმანეთთანაა შეერ-



ფიგ. 78: სპეციალური  
 მონაბილობა, ჩარჩოებს  
 ძორის დიდი მანძილის  
 დასაცავად ტრანსპორ-  
 ტირების დროს.

თებული. ამის შედეგად ჩარჩოებს შორის რჩება დიდი სიცრცე რაც უზრუნველყოფს ფუტკრების უფრო მყარი გუნდი შეკრას მათი ტრანსპორტირების დროს. ასეთ პირობებში და ღალიანობასთან დაკავშირებით, ერთ კორპუსში შეიძლება მოვათავსოთ 5 დან 7 კგ-მდე ფუტკარი. ისინი დაცული უნდა იქნას მზის სხივებისაგან და უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ვენტილიაციით ტრანსპორტირების დროს. უკვე რამოდენიმე წელია, რაც ამანათნაყარის კომერციალიზაციამ განვითარება დაიწყო. ათასობით ფუტკარი სამხრეთ ნახევარსფეროდან გადაჰყავთ აზიისაკენ, მცირე აზიისაკენ და კანადისაკენ.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ფუტკრების ჩახუთვა შეიძლება მოხდეს ძალიან სწრაფად მათი ტრანსპორტირებისას ქარიშხლის დროს ასევე კარგი ღალიანობის დროს.



## შეგროვილი ფუტკრების გამოყენება

საფრენის გაღებამდე და ფუტკრების გამოშვებამდე, სასურველია, ბადიდან, ცოტა წყალი მოვასხუროთ ფუტკარს (და, არა სიროვი, რომ არ გამოვიწვიოთ თავდასხმა), იმისათვის, რომ ხელი შეუძლოთ მათ გაფრენას (ფიგ. 79).



ფიგ. 79: უუფუნა წყლის  
 ჭავლის მისხურება არის  
 აუცილებელი დამხმარე  
 საშუალება  
 ამანათნაყრების  
 მნარმოებელთათვის.

ეს ფუტკრები შეიძლება გამოვიყენოთ იმ საფუტკრეში რომელიც სულ მცირე 5-6 კმ -ით არის დამორებული დონორი საფუტკრიდან. თუ აუცილებელია ფუტკრების განანილება ნუკლეუსებში, მაშინ, ჯერ ისინი უნდა გადავანაცვლოთ ბადიან ყუთებში, უუფუნა წყლის ჭავლის მოსხურების მიზნით, შემდეგ კი შეგვიძლია ისინი უდანაკარგოდ ჩავბერტყოთ დანიშნულების ადგილას (ფიგ. 80 და 81).


ამ გზით შეგროვილი ფუტკრები სწრაფად გრძნობენ ობლობას და პირდაპირ იღებენ სადედე უჯრას ან ახალგაზრდა, ახლადშეყვანილ დედას, მაშინვე როგორც კი ფუტკრებს 'ჩავყრით' (ფიგ. 82 და 83).

ჩვენ გირჩევთ მოათავსოთ 700-800 გრამამდე, სველი ფუტკარი 5-ჩარჩოიან სკაში (ფიგ. 83). მასში ნინასნარ უნდა იყოს ჩანყობილი ორი მშრალი ჩარჩო რომელსაც აქვს მცირე რაოდენობით თაფლისა და ჭეოს მარაგი და ერთი ხელოვნურ ფიჭიანი ჩარჩო. დამატებით უნდა ჩავუმატოთ 0,5 კგ-იანი კანდის კოკორი, ცილოვანი საკვებით გამდიდ-




ფიგ. 80: უზუნა ჭავლი სახურებლიდან.

რებული. საფრენი უნდა ჩავკეტოთ და ნუკლეუსი გადავიტანოთ გასანაყოფირებელ საფუტერები, ისეთ მანძილზე, რომ ფუტკრებმა ვერ შეძლონ დაბრუნება ძველ სკებში. ფუტკრების უკან დაბრუნების თავიდან აცილების მიზნით შეგვიძლია აგრეთვე ფუტკრები გავანთავი-



ფიგ. 81: სკელი ფუტკრები შორს ვერ ფრენენ.



ფიგ. 82: ამანათნაყრების ამოლება სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთში.

სუფლოთ მათი დასახლებიდან 1 ან 2 დღის შემდეგ. ეს შესაძლებელია თუ საფრენს ჩავკეტავთ კანდით (ან სამეურნალო ტუხტით). ამ შემთხვევაში, ფუტკრები, გამოხრავენ რა საკვებ დაბრკოლებას განთავისუფლდებიან ტყვეობიდან. რაც შეიძლება მოვარიდოთ ნუკლეუსი გასანა-




ფიგ. 83: 5 ჩარჩოიან სკაში საჭიროა 700 – 800 კრ-მდე ფუტკარი

ყოფიერებელი დედით იმ საფუტკრეს სადაც არიან, უკვე, განაყოფიერებულ დედიანი ოჯახები, რადგან, ამ უკანასკნელმა შეიძლება დაატყვეონ ზოგიერთი ფუტკრები ობოლი ნუკლეუსებიდან.

როგორც კი დავასახლებთ ნუკლეუსს, შეიძლება ის მოვათავსოთ გრილ ადგილზე, სარდაფში 1 ან 2 დღით, სანამ დედა დაიბადებოდეს. შემდეგ ფუტკრებს გავანთავისუფლებთ, უმჯობესია საღამოს, როცა გამნაყოფიერებელ საფუტკრეში შემოყვანილია ახალი ფუტკრის ოჯახები. აღმოჩენილია, რომ დედების გამოყვანასთან დაკავშირებული ყოველგვარი ოპერაციები, მაგალითად სადედეს ან დედის შეყვანა, უმჯობესია ვანარმოოთ საღამოობით. კოლექტორში არსებული ფუტკრები შესაძლებელია აგრეთვე გადავიყვანოთ სატრანსპორტო ყუთებში, ძაბრის მეშვეობით, როცა გაყიდვას ვითვალისწინებთ (ფიგ. 84).

უდედო ამანათნაყრებს შეუძლიათ იმოგზაურონ დიდი სიკვდილიანობის გარეშე. საკმარისია დედა შევცვალოთ პლასტმასის სატყუარათი, რომელიც გაუძლენთილია დედის ფერომონებით. ეს უკანასკნელი კი იყიდება „Bee Boost“-ის სახელწოდებით. მის გარშემო შეიკრიბება ფუტკართა გუნდი და ანყნარებს ფუტკარს ტრანსპორტირების დროს. ეს სატყუარა, რომელიც შეიცავს დედის ყბის ფერომონთა სინთეზურ ასლს, გამოიყენება აგრეთვე სათბურში ამანათნაყრებით დამტვერვის დროს. ეს სატყუარა კარგად მოქმედებს სახმელეთო მოგზაურობის დროს ასობით კმ-ზე, სამაგიეროდ, არაეფექტურია, მისი გამოყენება საპარავო ტრანსპორტირებისას, რადგან ფერომონთა გავრცელება არათანაბარია ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის დროს.

ასეთი ტიპის ყუთს შეუძლია დაიტიოს 1 კგ ფუტკარი, ანუ 10 000-მდე



ფიგ. 84: სატრანსპორტო ყუთი ამანათნაყრებისათვის. ასეთი ზომის ყუთით შეიძლება გადავიტანოთ 1,5 კგ ფუტკარი.

მუშა ფუტკარი. კანდით და სიროფით სავსე საკვებული საშუალებას იძლევა ფუტკრებმა იკვებონ რამდენიმე დღე და იმოგზაურონ საპაერო ტრანსპორტით ერთი ნახევარსფეროდან მეორეში. შეიძლება შევინარჩუნოთ საკმაოდ გრილი ტემპერატურა თუ ყუთის კუთხეში მოვათავსებთ მყარ  $\text{CO}_2$ -ს. როცა მეფუტკრე მიიღებს ამანათნაყარს მან უნდა მოასხუროს მას 50% -იანი, თბილი, შაქრის სიროფი, მავთულის ბადიდან დაშემდეგ იზრუნოს მოათავსოს ყუთი ისეთ ადგილას სადაც ტემპერატურა არის  $10^{\circ}\text{C}$ -დან  $16^{\circ}\text{C}$ -მდე, თუ შესაძლებელია, ჩაბნელებულ ოთახში. იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ დეზერტირობას ან გუნდის შეკვრას, გადავიტანოთ ეს ფუტკრები სკებში ან ნუკლეუსებში, დღის ბოლოსათვის.

გამცილებელი ფუტკრების გარეშე, დედა ფუტკრები რჩებიან თავიანთ გალიებში. ისინი ჩაკეტილი არიან კანდის საცობით, საიდანაც თვითონ განთავისუფლდებიან რამდენიმე დღეში, გამოხრავენ რაკანდა.

სკის საფრენები უნდა დავავინოროვოთ 1-დან 2 სმ-მდე, თავდასხმების რისკის შემცირების მიზნით, რომლის საშიშროება ყოველთვის არის, განსაკუთრებით, მაშინ, როცა საკვების მარაგი უკვე მიცემული აქვს.

## გასაგზავნი ყუთების მიღება და ამანათნაყრების ჩანაცემა სკებში

როგორც კი მეფუტკრე მიიღებს ყუთებს, მან უნდა შეამოწმოს ფუტკრების მდგომარეობა და ისინი მოათავსოს ნესტიან, გრილ და ბნელ ადგილას, დაახლოებით  $12^{\circ}\text{C}$ -ზე. ეს ტემპერატურა შეესაბამება გუნდის წარმოქმნის ტემპერატურას. 50%-იანი სიროფი უნდა მივასხუროთ ყუთების ბადეებს. სანიტარული თვალსაზრისით შეიძლება მათი შეყვანა მხოლოდ ფიჭიან სკაში. კვერცხდების დაგვიანება შეიძლება მოხდეს ერთი ან ორი დღით. ასეთ შემთხვევაში იყენებენ ხის გამყოფებს ან ფიჭის საკვებულს, რათა შეკუმშონ ფუტკრის გუნდი 5-6 ჩარჩომდე, როცა ისინი იშლებიან ახალ ჩარჩოებზე.

ოპერაციის დასახელება	ძირითადი განსახორციელებელი ეტაპები
მიღება	სიკედილიანობის კონტროლი, ამანათნაყრების მოთავ- სება გრილ და ბნელ ადგილას, სიროფის მისხმა აუცი- ლებლობის შემთხვევაში.
სკაში ჩასმა	უმჯობესია ეს მოხდეს დალამებისას, როცა სინათლე სუსტია, თითოეულ მეფუტტერეს თავისი ტექნიკა აქვს, მაგრამ მან ყურადღება უნდა მიაქციოს და სიროფით მორწყას ბაზის ზედა და ქვედა მხარე, არ დაგვავინწყ- დეს საკედების მიცემა სკაში ჩასმის შემდეგ;
განვითარები- დან დაწყებუ- ლი 4 ან 5 დღემდე.	საკონტროლო ვიზიტი დედის არსებობის ან კვეცხ- დების შესამონმებლად. ფიჭაზე დაკვირვება და ოჯა- ხების შექმნა; გლუკოზითა და პროტეინებით კვება საჭიროების შემთხვევაში.
განაყოფიერე- ბიდან დაწყე- ბული +7 დან +30 დღემდე	ნაყარზე დაკვირვება მისი გამრავლების მიზნით. მუშა ფუტტერების აქტიურობის შემონმება (ახალგაზრდების მოვლა, თაფლით მომარაგება. შევამონმოთ, რომ ფუტ- ტერების რაოდენობის შემცირებამ არ გამოიწვიოს ნა- ყარის მიერ ტემპერატურის დაცვის უნარი; საჭიროე- ბის შემთხვევაში გავაძლიეროთ იზოლიაცია (პლასტ- მასის სახურავი).
პირველი თვის შემდეგ	პირველი მუშა ფუტტერის დაბადება მოწმობს, რომ ოჯახი კარგადაა შექმნილი. ამის შემდეგ მას ესაჭირო- ება ხშირი მიხედვა, შემონმება (დედის კარგი კვეცხ- დება, განვითარების რეგულაცია).

## ამანათნაყრები – დასკვნები

### ზოგიერთი პრობლემები...

ამანათნაყრების მომზადების ეს ტექნიკა ზოგჯერ იწვევს აგრესიულობას, განსაკუთრებით მუქი, ადგილობრივი ფუტკრებისათვის (Apis mellifera). ლალიანობის დროს დიდია ჩახუთვის რისკი თუ არ მივიღებთ ზომებს, გადავიტანოთ შეგროვილი ფუტკრები, სწრაფად, კოლექტორიდან, ბადისაგან დამზადებულ მცირე ყუთებში, ან თუ, ფუტკრების ასაკრეფი მოწყობილობა კარგად არ ნიავდება.

სეზონის დასაწყისში ან ბოლოს შეიძლება ცოტა დედა დაიღუპოს 'მუქ' ფუტკრებს შორის, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება.

### მაგრამ ბევრი უპირატესობა

ეს მეთოდი იძლევა საშუალებას, მოკლე დროში შევაგროვოთ ფუტკრების დიდი რაოდენობა, დედის მოძებნის გარეშე.

ამ ამანათნაყრებს არ ჰყავთ მამალი ფუტკრები რაც მნიშვნელოვანია, რომ გამნაყოფიერებელ საფუტკრეში გაგზავნილ ნუკლეუსებს დავახვედროთ იქაური სკებიდან შერჩეული მამლები.

სველი ფუტკრების 'დაწყვა' (რაოდენობის შეფასება) და მათი დანაწილება ნუკლეუსებში ან სატრანსპორტო ყუთებში ადვილია.

ბარტყის არ არსებობა აადვილებს ოპერაციებს სანიტარული პირობების დაცვით.

ამანათნაყრები უფრო ადვილად იღებენ სადედებს ან დედებს ვიდრე სხვა ფუტკრები.

ფუტკრების სწრაფი დაშორება სკიდან ხელს უწყობს ნაყრობის სანინაალმდეგო განწყობილების შექმნას.

ხელოვნური ნაყრებისათვის შესახებ უკეთესი შედეგებია არის გამოქვეყნებული ამანათნაყრებისათვის (ე. ი. უბარტყო ნაყარისათვის), ვიდრე ჩარჩოებიანი ტრადიციულ ნაყარისათვის (რომელიც, ფაქტიურად არის ფუტკრის ოჯახის გაყოფა). ბარტყის არსებობა არის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი. ამანათნაყრების სიძლიერე შეიძლება შევადაროთ ბუნებრივი ნაყარის სიძლიერეს, როცა მათ მოვათავსებთ სკაში.

ამანათნაყრები შეიძლება გამოვიყენოთ ფუტკრის ოჯახების გასაძლიერებლად, მაგალითად, დამტკერიანებისათვის.

კანადაში, სადაც ამანათნაყრების ნარმოება არის მეფუტკრეობის ერთერთი ტრადიციული ნაწილი, დაახლოებით, 1 კგ ფუტკარი, თავი-

სი ახალგაზრდა დედით, შეიყვანება ცარიელ სკაში 10-12 კვირით ად-  
რე პირველი ღალიანობის დაწყებამდე. მისი, საკვებით კარგად გაღი-  
ზიანების შემდეგ ასეთმა ოჯახებმა ზოგჯერ შეიძლება მოგვცეს 100  
კგ-ზე მეტი თაფლი, სეზონში.

# ხელოვნური განაყოფილება

ამ განყოფილების პრინციპული მიზანი, რომელიც ამ წიგნის მესა-  
 მე გამოცემის სიახლეა, არის ფუტკრის დედების ინსტრუმენტალური  
 განაყოფიერების საიდუმლეობის მოხსნა და ზოგიერთი მარტივი რჩე-  
 ვების, მეთოდების და ხელსაწყოების აღნერა. ეს, ახალი, ცხოველმყო-  
 ფელი ტექნიკა დაიმკვიდრებს თავის ადგილს მეფუტკრეობის მდიდარ  
 და მრავალრიცხოვან ტექნოლოგიებს შორის.

## შესავალი

1790 წელს F. HUBER-მა პირველმა მიაქცია ყურადღება და განახორ-  
 ციელა ფუტკრების ინსტრუმენტალური განაყოფიერება. მან გამოი-  
 ყენა მდებავის ფუნჯი, კელას მამლის სპერმის გადასატანად ფუტკრის  
 დედის სასქესო ორგანოს სადინარში.

კონტროლირებად გამნაყოფიერებელ ჩაკეტილ კამერაში, ბევრი  
 უნაყოფო შრომის შემდეგ F. RUTTNER-ის მიერ ხელოვნური განაყოფი-  
 ერების მეთოდიკა აუცილებელი გახდა გენეტიკური კვლევის პროგრე-  
 სისათვის.

დღეს ეს ტექნიკა გახდა ჩვეულებრივი ბევრი მკვლევარისათვის და  
 მეფუტკრეებისთვისაც კი.

ინსტრუმენტალური განაყოფიერება იძლევა განაყოფიერების სრუ-  
 ლი კონტროლის შესაძლებლობას და, მაშასადამე, დიდ წარმატებას სე-  
 ლექციის საქმეში.

## გამოყენება

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის უმეტეს საფუტკრეებში არსე-  
 ბობს სხვადასხვა გენერაციის უცხოური საჯიშები. ამჟამად რამდე-  
 ნიმე წელია ჩვენ გვქონდა პრობლემები კავკასიური დედების შეძენის  
 საქმეში. ჩვენი საკუთარი ჯიშის დედების განაყოფიერებით, მისივე ძმე-  
 ბით ჩვენ ვიღებდით იგივე გენეტიკური ჯიშის და ხარისხის დედებს ამის  
 გამო ჩვენ ვიღებდით მეტად დაბალ სიცოცხლისუნარიან ნაყოფს, რო-  
 გორც შედეგს მონათესავე ფუტკრების დაწყვილებისა.

მეორეს მხრივ, ეს ტექნიკა გვაძლევს საშუალებას, მოვამარავოთ  
 მომხმარებელი შემდეგი ტიპის სამმაგი ჰიბრიდით: (*ligustica X caucasi-  
 ca*) *X mellifera*. ჩვენ გამოგვყავს იტალიურ – კავკასიური ჯიში (*ligustica X caucasicus*) ინსტრუმენტალური განაყოფიერებით და აქედან მიღებულ  
 ქალიშვილს მივცემთ საშუალებას მოახდინოს დაწყვილება ე. წ. შავი

ფუტკრის ჯიშის (*mellifera*) მამლებთან. ამის შედეგად ვლებულობთ, კარგად ცნობილ სამმაგ ჰიბრიდს, რომელსაც ეწოდება TH (triple hybrid). ამ კერძო შემთხვევაში კონტროლირებული, ბუნებრივი დაწყვილება იტალიური ფუტკრის დედებისა (ligustica) იქნებოდა შესაძლებელი, თუ გამნაყოფიერებელ საფუტკრეს გავაჯერებდით მხოლოდ კავკასიური (caucasica) მამალი ფუტკრებით, იმისათვის, რომ მიგვეღო იტალიურ-კავკასიური ნაჯვარი (ligustica-caucasica). მაგრამ, ბუნებრივი, კონტროლირებული განაყოფიერება არ გვაძლევს 100% იან გარანტიას, რასაც აშკარად იძლევა ინსტრუმენტალური განაყოფიერება (იხ. გვ. 66, გამნაყოფიერებელი საფუტკრის შერჩევა). გარდა ამისა, იტალიურ-კავკასიური ჰიბრიდის ფასი გაიზრდებოდა, რომ ის მიგვეღო ბუნებრივი, კონტროლირებული განაყოფიერებით.

## ლაბორატორია

სრულიად სუფთა ოთახი, რომელშიდაც გვაქვს გამდინარე ნყალი და ელექტროდენი, მარტივი სამუშაო მაგიდა მოხერხებული სკამით, საკმარისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ინსტრუმენტები, ხელოვნური განაყოფიერებისათვის. ჩვენ გირჩევთ რომ დავიცვათ ოთახის ფარდობითი ტენიანობა სულ მცირე, 60% (იაფთასიანი ჰიგრომეტრი მოხერხებულია იმისათვის, რომ რეგულარულად ვზომოთ ტენიანობა). ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ხელი შევუძლოთ დედის ორგანოს გამოშრობას განაყოფიერების დროს. თუ ტენიანობის გაზრდა აუცილებელია, მაშინ წყლიანი ტაშტი დავდგათ რაიმე გამხურებელზე ან გამოვიყენოთ წნევიანი სამზარეულო ხელსაწყო (რომელიც შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ ინსტრუმენტების სტერილიზაციისათვის).

სპერმით მომმარაგებელი მამალი ფუტკრები უნდა შევინახოთ გალიაში, რამდენიმე წუთით. შეიძლება გამოვიყენოთ ძველი, პროდუქტების კარადა (ან ერთ მნკრივში გავაკეთოთ დიდი გალია). მისი ერთერთი წახნაგი უნდა იყოს ფანჯრის მხარეს მიქცეული – განემანის ფილტრი. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მათ გაისუფთაონ თავიანთი სწორი წანლავი ფრენის დროს. ეს ღონისძიება აადვილებს სპერმის დაგროვებას, დაბინძურების გარეშე.

ლაბორატორიის უფრო დეტალური აღჭურვილობის აღნერა გამოქვეყნებულია ურნალში: Bulletin Technique Apicole (OPIDA), 2, 3, 40, 'Instrumental Insemination - Setting Up Laboratory Units' (B. MOULIS and J. KEFUSS, 1989).

## მოწყობილობანი

გამნაყოფიერებელი ლაბორატორიისათვის საჭიროა შემდეგი მოწყობილობანი:

- ხელსაწყო ინსტრუმენტალური განაყოფიერებისათვის
- ბინოკულარული მიკროსკოპი (X10 და X20)
- ბალონი ნახშირორჟანგა გაზით ( $\text{CO}_2$ ), ნნევის რედუქტორით.

გარდა ამისა, გამნაყოფიერებელ ლაბორატორიასთან რაც შეიძლება ახლოს, უნდა გვქონდეს სანაშენე საფუტკრე. ეს საფუტკრე მოგვამარა-გებს სამამლე სკებით, გაუნაყოფიერებელი დედებით და ნუკლეუსებით.

- აპარატი ხელოვნური განაყოფიერებისათვის

რამდენიმე წელია ჩვენ ვიყენებთ KEMP-ის მოწყობილობას განაყოფიერებისათვის, რომლის უპირატესობა არის ის, რომ: მარტივია, ეფექტურია და შედარებით იაფია (ფიგ. 85).

დორსალური მოღუნული სისტემა, რომელსაც აქვს 0,15 მმ დიამეტ-რის ნახვრეტი, რომელიც შესაძლებელს ხდის ფუტკრის დედის ნესტა-რის დაფიქსირებას და მისი საშოს ადვილად გაღებას, F. SGHAFERHANS-ის (1987) მიერ აღნერილი მეთოდის მიხედვით. განაყოფიერების ტექ-ნიკაში ამ მეთოდმა რევოლუცია მოახდინა რამდენიმე წლის წინათ. მან გაამარტივა ეს პროცესი და მაშასადამე, გააადვილა მისი შესრულება. მან აგრეთვე თითქმის გამორიცხა დედის დაზიანების რისკი.

## – მიკროსკოპი

ჩვენ ვიყენებთ Euromex KTD1-925 ბინოკულარულ, ნათურიან მიკ-როსკოპს, რომლის ზედა ნანილის დახრის კუთხე არის  $45^{\circ}\text{C}$ . ამ მიკ-როსკოპს აქვს ორი გამადიდებლობა: X10 – სპერმის ამოსალებად და X20 – გასანაყოფიერებლად. ეს ხელსაწყო ძალიან მოხერხებულია ფუტკრის დედების ხელოვნური განაყოფიერებისათვის.

## – ნახშირორჟანგი

$\text{CO}_2$  ბალონით და ნნევის რედუქტორით არის აუცილებელი ფუტკ-რის დედის ანესთეზიისათვის. ის შეიძლება შევიძინოთ ადგილობრივ ბაზარზე. ზოგიერთი მეფუტკრე არჩევს უფრო იაფფასიან საშუალე-ბას, კერძოდ, ნახმარ, სახანძრო ცეცხლმქრობ ცილინდრს ავსებს  $\text{CO}_2$  ით ადგილობრივი სახელოსნოს დახმარებით. ჩვენ შევხვდით ავსტრა-ლიელ კოლეგას, რომელიც განაყოფიერებას ახდენდა მხოლოდ ერთ-ხელ ნელინადში, და ოთახს წინა დღით ავსებდა ამ აირით. თუმცა ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად ამ 'ჩხირკედელობის' მეთოდების მიმართ.

ELERNMEIER-ის CO<sub>2</sub>-ის გაფართოების კამერა დამზადებულია მინისაგან და აქვს ნახევარი ლიტრი მოცულობა. ის გამოიყენება გაზის გასათბობად და იძლევა საშუალებას ვიზუალურად შევამოწმოთ გაზის გამოდენა. ეს ხელსაწყო შეიძლება შევიძინოთ ქიმიური რეაქტივების მაღაზიაში ან აფთიაქში.

## – დამატებითი მოთხოვნილებანი

იმისათვის, რომ ეს პატარა გამნაყოფიერებელი ლაბორატორია იყოს ოპერატორული, დამატებით უნდა გვქონდეს შემდეგი:

- ბამბის ფთილა ინსტრუმენტალური განაყოფიერების აპარატის, მოლუნული წვეროს სადეზინფექციოდ
- ქალალდის ცხვირსახოცი, რომელიც უნდა დავაფინოთ სუფთა ზედაპირზე, ხელსაწყოების დასაწყობად, როგორიცაა, მაგალითად კაპილარული მილი

– ბოთლი სამედიცინო სპირტით (70°)

– ბოთლი ნორმალური ფიზიოლოგიური ხსნარით, სპეციალური რეზინის სახურავით. ის შეიძლება გამოვიყენოთ სტერილიზებულ შპრიცთან ერთად (შეიძლება ვიშოვოთ ქიმიურ მაღაზიებში). მისი რეცეპტი (Hyes-ის რეცეპტი) არის შემდეგი:


hydrated sodium citrate: 2,43 გ

სოდის ბიკარბონატი: 0,21 გ

კალიუმ ქლორი: 0,04 გ

სტერილიზებული გამოხდილი ნყალი: 100 მლ

D-გლუკოზა 0,30 გ.



ფიგ. 85: გამნაყოფიერებელი მოწყობილობა  
*(Kemp-ის მოდელი) / და მიკროსკოპი (Euromex  
 TM KTD 1925).*


ზოგიერთი ჩვენი ანგლო-საქსონელი კოლეგები იყენებენ კონტაქტური ლინზების სანმენდ სითხეს.

დამატებით, დედის გამოყვანისათვის საჭიროა შემდეგი მონიკობილობანი: ინკუბატორი, გაუნაყოფიერებელი ან ახლად განაყოფიერებული დედის დროებით შესანახად ( $27^{\circ}\text{C}$ ), სალებავი ან ლაკი დედის მარკირებისათვის, მაკრატელი, მამალი ფუტკრების გალიები, გალიები დედა ფუტკრებისათვის და ა. შ.

## სასქესო ორგანოების ანატომია და ფიზიოლოგია

ოპერაციების ჩატარებამდე აუცილებელია განვიხილოთ ფუტკრის დედის სასქესო ორგანოების ანატომიის და ფიზიოლოგიის ზოგიერთი დეტალი. ამ მიზნით შეიძლება ვისარგებლოთ OPIDA ტექნიკური ფუტკრის № 1, 2, 80 (და ასევე № 11, 8, 36, 66), ‘ფუტკრის დედის გამრავლების ორგანოები’ (J. LOUVEAUX, 1976). ამ შემთხვევაში, მუცლის (ქვედა) სექცია იმსახურებს უფრო დიდ ინტერესს.

როცა დედა ბუნებრივად ნაყოფიერდება მაშინ ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დანყვილებაში. შეიყვანება რა სპერმა მამლების მიერ ის შემდეგ ნაწილდება შუა და გვერდით კვერცხსადინარებში. ბო-



ფიგ. 86: გაუნაყოფიერებელი დედის მუცლის სექცია.  
(რუტნერის და ტრიასერის მიხედვით, 1976).

Bc: სასქესო ორგანოს ვესტიბული, Est: შესასვლელი გვერდით ჩანთაში, Lo: გვერდითი კვერცხსადინარი, Mo: მუანა კვერცხსადინარი, O: საკვერცხები, Oc: სასქესო ორგანოს გასასვლელი, R: სწორი ნაწლავი, S: ნესტარი, Sp: სპერმასანახი, St: გვერდითი ჩანთა, Vk: სასქესო ორგანოს სილრუე, Vp: სასქესო ორგანოს სადინარი, Vf: ნაოჭა კლაპანი.

ლოს და ბოლოს დედა ფუტკარს რჩება შესანახად მამლებიდან მიღებული სპერმის 10%, რომლის ნაწილი იხმარება გასანაყოფიერებლად. რამდენიმე საათის განმავლობაში სპერმატოზოიდები გამოდის სპერმასადინარებიდან. ეს ორგანო ძლიერს არის ქინძის თავის ოდენა და მას შეუძლია დაიტიოს 5 000 000 სპერმატოზოიდა. ის ცოცხლობს მანამ, სანამ დედა ცოცხალია, სპერმატეკას ჯირყვლების მოქმედების შედეგად (ხშირად მას ეძახიან 'Y' ჯირყვლებს მისი ფორმის მიხედვით) რომელიც მდებარეობს სპერმატეკას თავში და ვინრო მიღსადინარებში (LAIDLAW, ECKERT 1962; LOUVEAUX 1976).

ინსტრუმენტალურ განაყოფიერებაში დედა არ მონაწილეობს. სპერმა შეიყვანება შუანა კვერცხსადინარში კაპილარული მილის საშუალებით, იმის შემდეგ რაც გავაღებთ ნაოჭა კლაპანს. საუკეთესო შემთხვევაში, მიგრაციის პერიოდის დაახლოებით 24 საათის შემდეგ, ამ სპერმის, დაახლოებით 10% მიაღწევს სპერმასანახში, დანარჩენი გამოიდევნება დედის მიერ.

## სპერმის შეგროვება

ინსტრუმენტალური განაყოფიერების შესასრულებლად საჭიროა სპერმის წინასწარი შეგროვება. მამლები შეიძლება შეგროვილ იქნას განაყოფიერების წინადლით, და ჩაკეტილ იქნას ე. ნ. მამლების ბანკში. მოვიგონოთ, რომ ახლადდაბადებული მამლები სქესობრივად მოუმნიუებელია. KURNNOI-ს (1953) თანახმად სპერმა იწყებს შეჭრას კვერცხებში სამი დღის ასაკის შემდეგ. ეს დაგროვება მთავრდება მეექვსე დღეს.

სპერმის შესაგროვებლად ვიყენებთ 10-დან 20 დღემდე ასაკის მამლებს. უფრო მეტი ასაკის მამლები ძალიან ხნიერადაა მიჩნეული.

ეს მამლები უნდა შევაგროვოთ შერჩეული სკებიდან, სადაც ფუტკრის დედა დამწყვრეული იყო გალიაში რომელშიდაც ჩადებული იყო სამამლე უჯრიანი (დიდ უჯრედებიანი) ფიჭა, მაშასადამე ეჭვს გარეშეა მათი ნარმოშობის საკითხი (იხ. მამლების გამოზრდა გვ. 67). გამოვიყენოთ განემანის ფილტრი საფრენთან იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ მამლების შეჭრას სკაში, გარედან, განსაკუთრებით მაქსიმალური ღალიანობის დროს.

მომწიფებულ მამლებს მოსწონთ თაფლიანი ჩარჩო ან სკის ფსკერი, და შეიძლება მოგროვდნენ ამ ადგილებში. მათი დაჭერის უსწრაფესი ხერხი არის ის, რომ მოვათავსოთ მამლებიან კორპუსზე ცარიელი საკუჭნაო, რომელსაც ზემოდან ახურავს განემანის ფილტრი. მომწიფებულ მამლებს იზიდავს სინათლის სხივი ამიტომ ისინი დაგროვდებიან საკუჭნაოში, სადაც ისინი აღმოჩნდებიან ჩაკეტილი მაშინ, როდესაც

მუშა ფუტკრები თავისუფლად გადიან ფილტრში. შემდეგ დავხურავთ საკუჭნაოს ფსკერს და ასე გადავიტანთ მას გამნაყოფიერებელ ლაბორატორიაში. სპერმის ამოღებამდე ვინახავთ მამლებს ფანჯრის წინ მოთავსებულ გალიაში (იხ. გვ. 112 ლაბორატორია), ისე, რომ მათ შეეძლოთ კუჭის განმენდა ფრენის დროს.

პირველ რიგში, მოვახდინოთ ხელსაწყოს სტერილიზაცია, ავტოკლავში. შპრიცის გამოყენებით, ამოვნოვოთ დაახლოებით 20 მმ ფიზიოლოგიური ხსნარი კაპილარულ მილში, ვაკუუმის შექმნით, კაპილარული მილის მიმაგრების შემდეგ. ამის შემდეგ შევიწოვოთ ცოტა რაოდენობის ჰაერი, რომ შევქმნათ 2 ან 3 მმ ზომის ბუშტი, იმისათვის, რომ გავაცალკეოთ სპერმა ფიზიოლოგიური ხსნარისაგან. შემდეგ, შეგვიძლია სპერმა ამოვტუშებოთ.

მამლის სასქესო ორგანოს მიწვდომის ყველაზე უკეთესი ხერხი არის ის, რომ მოვაჭრათ მას თავი. ზოგჯერ საკმარისია, მსუბუქად, ჩავიჭიროთ ის, ცერა და მაჩევენებელ თითებს შორის. მუცელზე მოჭერით, მოხდება ბუშტის სრული გამოჩენა. ეს ინვევს სპერმის გამოჩენას ენდოფალუსის ბოლოში. სპერმა არის კრემის ფერი და ადვილად შეიძლება განვასხვაოთ ლორნოსაგან, რომელიც თეთრია. შევნიშნოთ, რომ მოუმნიფებელ მამალ ფუტკრებს აქვთ გამჭვირვალე ენდოფალუსი და მათი მუცელი არის რბილი გამოდენის შემდეგ. ასეთი მამლები არასასურველია სპერმის კოლექციისათვის. მომნიფებულ მამლებს კი აქვთ რქის მაგვარი სტრუქტურა, რომელიც თითქმის ფორთოხლის ფერისაა. მათი მუცელი მაგრდება გამოდენის დროს. ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი სიკვდილი ამ შემთხვევაში. შესაძლებელია, აგრეთვე გამოვიყენოთ, გამოდენის ოპერაციის ჩასატარებლად, ქლოროფორმი, როგორც ანესთეზიის საშუალება, ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში. ეს მეთოდი ყოველთვის არ იძლევა სუფთა სპერმის მიღების საშუალებას.

სპერმის აღებისას, ძირითადი სიძნელე არის ის, რომ საჭიროა მივიღოთ სპერმა ჰემოლიმფის ან ლორნოს მინარევების გარეშე, რომელთა ერთმანეთში შერევა უნდა ავიცდინოთ კაპილარულ მილში. ამის გამო, როგორც კი კაპილარული მილი კონტაქტში მოვა სპერმასთან, მისი ნამწვეტილი ნვეროს ბოლო დავაბრუნოთ 1 მმ-ით უკან. იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ სპერმის გაჭუჭყანება, სპერმა უნდა ავიღოთ ენდოფალუსის ბოლოდან, არ უნდა მოხდეს შეხება მამლის არცერთ სხვა ორგანოსთან, როგორიცაა მუცელი, ფეხები, ან ოპერატორის თითოეულობისას. რათა არ მოვახდინოთ ინფიციორება.


ყოველთვის, როცა ვაგროვებთ სპერმას, კაპილარული მილი წინასწარ უნდა გავნინდოთ, შრატში დასველებული, სტერილიზებული ბამბით. ეს ოპერაცია უნდა შევასრულოთ ძალიან ფრთხილად, იმისათვის,

რომ ავიცდინოთ ადვილად მსხვრევადი შევინწროებადი ბოლოს დამსხვრევა.

სპერმის ყოველ შემდგომ აღებას შორის გამოვწოვოთ სპერმის მცირე ნვეთი მიღის ბოლოში, ასე ის შუერთდება შემდეგი მამლის სპერმის ბოლქვს.

10-დან 20 მამალ ფუტკრამდე უნდა იყოს გამოყენებული, იმისდამი ხედვით, თუ როგორ არიან ისინი მომნიფებული, იმისათვის, რომ მივიღოთ 8-დან 10-მდე<sup>3</sup> სპერმა, რომელიც საკმარისია ერთი განაყოფიერების ჩასატარებლად. კარგად მომნიფებულ მამალ ფუტკარს შეუძლია მოგვცეს 1,5-დან 1,7-მილილიტრამდე სპერმა, მაგრამ, რეალურად ერთი მლ-ზე მეტის მიღება იშვიათად შეიძლება.

როგორც კი სპერმის გარკვეული რაოდენობა უკვე ამოღებულია, იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ სპერმის გამოშრობას, შევუშვათ კაპილარში მცირე ჰაერის ბუშტი, რომელსაც თან მიჰყვება, მცირე ნვეთი, აღებული, ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული ბამბიდან (ფიგ. 87).




ფიგ. 87: კაპილარული მიღი მზადაა განაყოფიერების ჩასატარებლად.

ყველა ეს სპერმის აღების ოპერაციები უნდა შესრულდეს X10 გამადიდებლობის მქონე ბინოკულარული მიკროსკოპის ქვეშ (ფიგ. 88).

## განაყოფიერების ტექნიკა

ხელოვნური განაყოფიერებისათვის განკუთვნილი გაუნაყოფიერებელი დედები უნდა იქნან გამოყვანილნი ოპტიმალური გამოყვანის პირობებში. ეს აუცილებელია მაღალი ხარისხის დედების მისაღებად.



ფიგ. 88:  
ენდოფალუსის ბოლოდან  
გამოფრქვეული სპერმის  
აღება.  
(F. RUTNER, 1976 და T.  
TRYASKO-ს მიხედვით).

ეს დედები უნდა ინახებოდეს ნუკლეუსებში და არა სადედე ბანკებში. JASENSKI-მ (1987) დაამტკიცა, რომ მუშა ფუტკრები ხშირად აზიანებენ გაუნაყოფიერებელ დედებს, გალიის ბადიდან, მათ შეუძლიათ მოქაჩინ ფეხებს ან ანტენას, ან მოგლიჯონ ფრთები. (იხილე პუნქტი – გაუნაყოფიერებელი დედები).

განაყოფიერება უნდა მოვახდინოთ, დაახლოებით 10 დღის ასაკის დედისა. ზოგიერთი ავსტრალიელი მედედე ანაყოფიერებს 2-დან 3 კვირამდე ასაკის დედას და ლებულობს უკეთეს შედეგებს. TABER-ის (1991) თანაბეჭდ დედების განავალი ინვევს ფერომონის კლებას, ამიტომ გონივრული იქნებოდა დედებისათვის მიგვეცა ფრენის საშუალება, რამდენიმე წუთით, ბადიანი ფანჯრის ნინ, ან ბადიან გალიაში, ფრენის დროს, კუჭის განმენდის მიზნით.

მოვახდინოთ დამჭერი მახეს დეზინტექცია ქირურგიული სპირტით.


$\text{CO}_2$ -ის ნაკადი რეგულირდება ბუშტების გამოდენის რიცხვით, რომელიც გადის ელექტროიდის ხელსაწყოში 1,5-დან 2-მდე ყოველ წუთში.

თავდაპირველად დედა უნდა შევიყვანოთ თავით დამკავებელ მილში, მისი მუცელი, ისე, რომ 2 ან 3 რგოლი გარეთ უნდა დარჩეს (ფიგ. 89).  $\text{CO}_2$ -ის მოქმედების შედეგად, ის 4-5 წამის შემდეგ შენყვეტს მოძრაობას.

## ფუტკრის დედის სასქესო ორგანოს გახსნა

საჭიროა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები:

- 1) დავიჭიროთ მუცელის არე იმისათვის, რომ მასში შეყვანა ხდებოდეს სასურველი გზით;



ფიგ. 89: დედის მდვომარეობა დამჭერ მილში.

2) გამოვდოთ ნესტარი დორსალურ კაუჭას სასქესო ორგანოს ზონ-დის საშუალებით;

3) ზუსტად და ნაზად გადავანაცვლოთ ყველაფერი იმისათვის, რომ სრულად და უმტკივნეულოდ გავანთავისუფლოდ სასქესო ორგა-ნოს შესასვლელი (ფიგ. 89); F. SCHAFFERHANS-ის (1987) მიერ გამოგო-ნებული პერფორირებული, დორსალური კაუჭის გამოყენება გამორიც-ხავს ონკანიანი ზონდის აუცილებლობას. სასქესო ორგანოს გაღება ხდება საკმაოდ განსხვავებული ტექნიკის გამოყენებით და იძლევა, კა-პილარული მილის, თავისუფლად შეყვანის შესაძლებლობას;

4) დავასველოთ კაპილარული მილის წვერო ფიზიოლოგიურ ხსნარ-ში;

5) მაშინ როცა ფუტკრის დედის რეპროდუქციული სადინარი ღიაა, შევიყვანოთ მილი სასქესო ორგანოში 1,5 მმ-ით და შევაშხაპუნოთ, მას-ში არსებული 8-10 მმ<sup>2</sup> სპერმა. ეს უნდა გაკეთდეს ნაზად, X20 გამადი-დებლობის მქონე ბინოკულარული მიკროსკოპის ქვეშ. შეშხაპუნების შემდეგ ნაზად გამოვილოთ კაპილარი და ფრთხილად გადავანაცვლოთ კაუჭა. ამ ოპერაციამდე, ხელის კაუჭით, ზოგჯერ უნდა ამოვილოთ შხა-მის რამდენიმე წვეთი, რომელიც მდებარეობს მასტიმულირებელი გან-ყოფილების შესასვლელში.

$\text{CO}_2$ -ით ანესთეზირება მოქმედებს როგორც კვერცხდების აღმგზ-ნები (MACKENSEN, 1947). ამიტომ დედა რჩება დამჭერ მილში 5-დან 8 წუთამდე, თუმცა განაყოფიერების პროცესისათვის იხარჯება მხო-ლოდ 1 წუთი. სასურველი, ადრე კვეცხდების დაწყების გამოწვევის მიზ-ნით, ზოგიერთი გამნაყოფიერებელი მეორე 5 წუთიან ანესთეზის დო-

ზას უშვებს 24 საათის შემდეგ. ეს განმეორებითი აღგზნება ხდება რო-  
 ცა დედა უკვე გადაყვანილია პლასტმასის გალიაში.

განაყოფიერების შემდეგ ახდენენ დედების მარკირებას და ფრთის  
 მოკრეჭას. მოკრეჭა მათ ხელს უშლის მოახდინოს გაფრენა დაწყვილე-  
 ბისათვის, რომელსაც ის ნუკლეუსში ჩასმისთანავე მოახდენდა. ისინი  
 უნდა დავაპრუხოთ თავიანთ ადგილას ნუკლეუსებში, შესაგუებელი გა-  
 ლიების დახმარებით, რომელსაც გაკეთებული აქვს კანდის საცობი,  
 რომლის გამოხვრის შემდეგ დედები განთავისუფლდებიან. ისინი იღ-  
 ვიძებენ 10-15 წუთის შემდეგ. ნუკლეუსის საფრენი იკეტება პლასტმა-  
 სის დედის დამჭერი ფილტრით, იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ დე-  
 დის გამოსვლას, რადგან ის არის დაბნეული და შეიძლება შეეცადოს  
 გარეთ გასვლას დასაწყილებლად. პირველი დათვალიერება უნდა მო-  
 ვახდინოთ 5 დღის შემდეგ, როცა დედების უმრავლესობას უკვე დაწ-  
 ყებული ექნება კვეცხის დება.

შემოწმების მიზნით აღრიცხულ უნდა იქნას ყველა დეტალი: დედე-  
 ბის ნარმოშობა, სპერმის ნარმოშობა, თარიღები, ყველა, ჩატარებული  
 ოპერაციების მომენტები და სხვა. ეს ინფორმაცია შეიძლება აღრიც-  
 ხული იყოს ნუკლეუსებზე მიმაგრებულ ფირფიტებზე ან რვეულში, თუ  
 ნუკლეუსები დანომრილია.

შპრიცი და კაპილარული მილი შეიძლება გამოვიყენოთ რამდენი-  
 მეჯერ, ყოველი სეანსის შემდეგ უნდა მოვახდინოთ მათი გულმოდგი-  
 ნე დეზინფექცია. კაპილარის ბოლო უნდა შევამოწმოთ ბინოკულარულ  
 მიკროკოპში, რადგან დამსხვრეულმა მილმა შეიძლება დედა ადვილად  
 დააზიანოს.

დამწყებ გამნაყოფიერებელს შეუძლია შესწიროს რამდენიმე დედა  
 და შეამონოს რამდენად ნარმატებით შესრულდა განაყოფიერების  
 პროცესი იმ დედებისა, რომლებიც 2-3 დღის წინ იყო განაყოფიერებუ-  
 ლი. უბრალოდ განვაცალკაოდ ფუტკრის დედის მუცლის ბოლო სეგ-  
 მენტი და დავაკვირდეთ სპერმათეკას, რომელიც ძალიან სუფთად მო-  
 შორდება მუცელს. ეს სრულყოფილი სფერო, რომლის დიამეტრია 1,2-  
 დან 1,3 მმ-მდე, ხოლო მოცულობა 1 მმ<sup>3</sup>, უნდა შეიცავდეს კრემისფერ  
 სპერმას, ახალი მიგრაციის შედეგად პირველი 24 საათის შემდეგ ამ  
 სპერმათეკაში მოხვედრისას, როცა დედა ინახება 27°C-ზე. თუ განა-  
 ყოფიერების პროცესი იყო ნარუმატებელი, სპერმათეკა არის კრისტა-  
 ლურად სუფთა, როცა თითებს შორის მას მოვსრისავთ დავინახავთ  
 თეთრ მასას.

ფუტკრის სპერმის გაცვლები ხშირად ხდება მედედებს შორის.

S. TABER-მა (1961) დაამტკიცა, რომ, ჰაერის და სინათლის ზემოქ-  
 მედებისაგან დაცული სპერმა შეიძლება შევინახოთ რამდენიმე კვირა,  
 13-დან 15°C-მდე ტემპერატურის პირობებში.



ფიგ. 90: ხელოვნურად განაყოფიერებული დედის სპერმატეკის შემონბება.

განაყოფიერებული დედების გენეტიკური არეალის გაფართოების მიზნით, მეცნიერებმა განავითარეს ტექნიკა რომელიც შესაძლებელს ხდის სხვადასხვა მამლის სპერმის შერევით მივიღოთ ერთგვაროვანი სპერმა. ამ მეთოდით განაყოფიერებისათვის საჭირო ნარევი დამზადებულია რამდენიმე ათასი მამალი ფუტკრის სპერმისაგან. ასე, რომ დედები იღებს გენეტიკურ ინფორმაციას მრავალრიცხოვანი მამლებისაგან. ახლონათესაური გამრავლების პრობლემა, ამ შემთხვევაში, რეგულირდება გენეტიკური საზღვრების გაფართოების გზით. ზუსტი შედარება შეგვიძლია ვანარმოოთ რამდენიმე 'და' დედის განაყოფიე-

### III ცხრილი: თაფლის პროდუქტიულობის შედარება ROBERTS, (1946)

ჯგუფი №	დედების რაოდენობა	განაყოფიერების ტიპი	საშუალო პროდუქცია
1	17	ბუნებრივი	211
	8	ხელოვნური	235
2	10	ბუნებრივი	134
	13	ხელოვნური	193
3	16	ბუნებრივი	155
	10	ხელოვნური	147
4	22	ბუნებრივი	266
	10	ხელოვნური	208

რებით იმავე გენეტიკური ინფორმაციის შემცველი სპერმის ნარევის საშუალებით. კარგი ხარისხის მამლების, კარგი ოპერატორის და კარგი სპერმის შემგროვებელის დახმარებით დღეში შეიძლება გავანაყოფიეროთ, საშუალოდ, 50 ფუტკრის დედა.

როცა ჩვენ ვადარებთ ხელოვნურად და ბუნებრივად განაყოფიერებულ დედებს, არავითარი შესამჩნევი განსხვავება არ შეიმჩნევა სპერმის ადექვატური რაოდენობის შემონმების დროს, როგორიც არ უნდა იყოს კლიმატური პირობები.

ROBERTS-მა (1946) შეადარა თაფლის პროდუქტიულობა ფუტკრის ოჯახების ჯგუფებისათვის, რომელთაც ჰყავდათ ხელოვნურად და ბუნებრივად განაყოფიერებული დედები (III ცხრილი).

## ხელოვნური განაყოფიერება: დასკვნა

მეცნიერების შრომის და მრავალი კოლეგის წვლილის საფუძველზე, ხელოვნური განაყოფიერება უკვე მისანვდომი გახდა მრავალი მეფუტკრისათვის. უფრო გონივრული იქნებოდა გვეთქვა, რომ უდიდესი პრობლემა დედების გამოყვანაში არის არა ხელოვნური განაყოფიერება, არამედ მუშა ფუტკრების მიერ, დედების მიღება ნუკლეუსებში ამ ოპერაციის შემდეგ.

დასკვნების გასაკეთებლად ნება მომეცით ჩამოვთვალო მნიშვნელოვანი საკითხები ხელოვნური განაყოფიერების ჩასატარებლად:

- აბსოლუტურად სუფთა და ჰიგიენური ოთახის არსებობა, ასეთივე სუფთა იარაღების მომარაგება, რომლებიც უშუალო კონტაქტშია სპერმასთან და ფუტკრის დედებთან.

- უნდა შევაგროვოთ სუფთა სპერმა ლორნოსა და ჰომოლიმფასთან ყოველგვარი შეხების გარეშე. ეს უეჭველად მოითხოვს გულმოდგინე და ფაქტიზი ოპერაციების ჩატარებას.

- ყველა, ბუნებრივი უსაფრთხოების დაცვა განაყოფიერებული დედის ახალ ოჯახში შეყვანის დროს.

ბევრი დრო დაიზოგება, განაყოფიერების შესასწავლად და მისი, ყველა ნესების პრაქტიკაში გამოსაყენებლად, თუ გამოვიყენებთ გამოცდილი მედედებს მიერ, მეფუტკრეებისათვის, ჩატარებულ კურსებს.

ზემოაღნერილი, დაწყებითი ტექსტი თქვენ შეიძლება შეავსოთ სხვა, უფრო ფუნდამენტალური ლიტერატურის ნაკითხვით, მაგალითად

F. RUTTNER ან H. H. LAIDLAW (იხ. ბიბლიოგრაფია).

# დამატება

## სადედე რძის წარმოება

ახლო წარსულში ფუტკრის სადედე რძის ინტენსიური წარმოება მხოლოდ აზის ქვეყნებში ხდებოდა. დღეს სულ უფრო მეტი ევროპელი და სამხრეთ ამერიკელი მეფუტკრეები აფართოებენ თავიანთ წარმოებას და ითვისებენ ამ უძვირფასესი პროდუქტის მოპოვების ტექნიკას. უფრო მეტიც, ევროპაში ფუტკრის სადედე რძის წარმოების მუდმივი ზრდა მეფუტკრეებს პირდება ძალიან საიმედო წათელი მომავლის შესაძლებლობებს. ტაივანში ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევამდე (1999) შეცდომას უშვებდნენ და ამ პროდუქტს ყინავდნენ დაბალ ტემპერატურაზე. ამის შედეგად ის კარგავდა თავის სასარგებლო თვისებებს. იგივე ხდებოდა მისი ლიიფიცირების შედეგად, რომლის შემდეგ ის ფხნილად იქცეოდა და ამ ოპერაციების შემდეგ სადედე რძე ველარ ახდენდა ფუტკრის კვერცხის გამოჩეკვას და ჭუპრის გამოკვებას ლაბორატორიაში და მაშასადამე ის უვარესი ხდებოდა. ამის გამო მეფუტკრეებისათვის წათელი გახდა, რომ მათ უნდა აწარმოონ და გაყიდონ ფუტკრის სადედე რძე ნედლეულის მდგომარეობაში, ყოველგვარი გაყინვის გარეშე, მისი საუკეთესო ხარისხის შესანარჩუნებლად.

ფუტკრის სადედე რძის შემადგენლობა

უხეშად, რომ ვთქვათ (Karaali და სხვ. მიხედვით 1998) ფუტკრის სადედე რძის შემადგენლობა ასეთია:

- \* ნყალი 67%
- \* ცილები 12,2%
- \* შაქრები 11%
- \* ცხიმოვანი მჟავეები 5%
- \* ნაცარი 1%
- \* უცნობი ნივთიერება 3,5%
- \* ვიტამინები: C, A, D, E, K. ტიამინი, რიბოფლავინი, პირიდოქსინი, ნიაცინი, პანტოთენიკის მჟავა, ინოსიტოლი, ბიოტინი.
- \* pH 3,8

სადედე რძე არის თხევადი ნივთიერება იცვლება მარგალიტისებრიდან ლია ყვითლამდე როცა ის ახალია. მისი სტრუქტურა მანინის ან არაუნის სტრუქტურას მოგვაგონებს. მისი მჟავე არომატი იძლევა უსიამოვნო გემოს თუ მას უმად გავსინჯავთ. კომერციული ღირებულება აქვს მხოლოდ იმ სადედე რძეს რომელიც მიღებული იქნა განვი-

თარებაში მყოფი სადედე უჯრიდან ორი ან სამი დღის ასაკის ჭურით. ეს სადედე რძე მიიღება დედების გამოყვანის პროცესის შეწყვეტის შედეგად, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ მეთოდს, რის შედეგადაც მიიღება საკმაოდ სტაბილური და მაღალი ხარისხის პროდუქტი. უნდა გვახსოვდეს, რომ ბიოლოგიური თვალსაზრისითაც, სადედე რძის შემადგენლობა, რომელიც ეძლევა ჭუპრს იცვლება თითქმის ყოველ საათშიც კი, მკებავი ფუტცრის ასაკის შესაბამისად, და აგრეთვე თუ რით იკვებებოდა ბარტყი, და აგრეთვე უფრო დეტალურად მათი კასტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს პროდუქტის მოპოვებაზე ზრუნვას (დედა, მუშა ფუტკარი, მამალი ფუტკარი).

## საფუტკრის შერჩევა

სადედე რძის წარმოება მოითხოვს ფუტკრის სკასთან მრავალჯერად მისვლას გარევეული ოპერაციების ჩასატარებლად. ამის გამო აუცილებელია სადედე რძის სანარმოო საფუტკრე განვალაგოთ რაც შეიძლება ახლოს სამუშაო ადგილთან და სკები განვალაგოთ მოხერხებულ ადგილებში. კარგადაა ცნობილი, რომ რძეს გამოჰყოფს ახაგაზრდა ფუტკარი, რომლის ასაკი არის 5-დან 15 დღემდე იმის შემდეგ როცა ის უხვად იკვებება სხვადასხვა სახის ყვავილის მტვერით. მაშასადამე, ძირითადია შევარჩიოთ ადგილი, რომელიც მდიდარი იქნება სხვადასხვა სახეობის ყვავილებით, რომელიც იძლევა დიდი რაოდენობით ყვავილის მტვერს. ამის გამო გადამწყვეტია მოიძებნოს ადგილი მისი ფლორის სიუხვის შესაბამისად. საყურადღებოა, რომ თვისებები და რაოდენობა სადედე რძისა შეიძლება იცვლებოდეს თაფლოვანი მცენარეთა სახეობის, მარაგის და აგრეთვე მათი ადგილმდებარეობის მიხედვით. აზის ზოგიერთ ქვეყანაში 70 ფუტკრის ოჯახიანი საფუტკრეები, რომელიც ერთი დღის განმავლობაში შეიძლება გამოიწველოს, გაფანტულია უმეტესად 7-8 კმ ის რადიუსით. სამი ასეთი საფუტკრე და მცირე საფუტკრე ნუკლეუსებით – დაზიანებული დედების შესაცვლელად, წარმოადგენს ერთი საოჯახო ფერმისათვის ტიპიურ შესაბამის ნორმას რძის მიღების საქმეში. ძალიან სასარგებლოა თუ ასეთი საფუტკრეები არიან განლაგებული რაპსის პლანტაციებთან ახლოს. ეს არის ბრწყინვალე წყარო საუკეთესო ხარისხის რძის მისაღებად. სუფთა წყლით მომარაგება თვით საფუტკრეში აიძულებთ ფუტკრებს აღარ ეძებონ წყალი ხშირად დაბინძურებულ გუბეებში, რითათაც თავიდან ავიშორებთ სკის დაბინძურებას.

## ფუტკრის ოჯახის შერჩევა ჭუპრების გადასანერგად

ზოგიერთი ჯიში ან ნაჯვარი იძლევა უფრო მეტ შთამომავლობას ვიდრე მეორე. იტალიური ფუტკარი (*mellifera ligustica*) ფართოდ გამოიყენება ამ სპეციფიკური პროდუქტის სანარმოებლად. ევროპაში ზოგიერთი ნაჯვარიც იძლევა კარგ შედეგებს, როგორიცაა მაგალითად *caucasica X ligustica*. უპირველეს ყოვლისა ახდენენ სელექციას და კვლავ-ნარმოებას სასურველი ჯიშის ოჯახისა რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან მოცემული მიზნისათვის. ასეთი შერჩევის მეთოდის ნიმუში შევვიძლია ვნახოთ კუნძულ ტაივანზე. ადგილობრივი ფუტკარი *Apis cerana* გამოუსადეგარია ამ პროდუქტის მისაღებად ამის გამო ლიგუსტიკა იქნა გადაყვანილი ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიდან. ახდენდნენ რა სელექციას 30-ზე მეტი წლის განმავლობაში, მნარმოებელთა თანამშრომლობის შედეგად საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. ამჟამად ისინი 30-40%-ით მეტ პროდუქციას იძლივა ვიდრე საუკეთესო ევროპელი ჯიშები. Li Gianke-ს (1998) მიხედვით, ჩინეთში სელექცია სრულდება ხუთი საუკეთესო ოჯახიდან. აქედან პირველი სამი არის დედების მშობლები, ხოლო დანარჩენები არიან მამლების მშობლები. დედლების მშობლებს უნდა ყველა საუკეთესო მახასიათებლები, განსაკუთრებით ნაყოფიერება, რომელიც უფრო მეტად მემკვიდრეობითია. რაც შეეხება მამრობით მშობლებს აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ უფრო მეტად სადედე რძის სიუხვეზე და არა ნაყოფიერებაზე. მემკვიდრეობითობის უმაღლესი დონე ნარმოიშობა უფრო მეტად ახალგაზრდა დედისაგან. თუ დედალი ფუტკრების მშობლებს აქვთ მკაცრი მემკვიდრეობითობა ისინი იქნებიან გამოყენებული დედების გამოსაყვანად და საუკეთესო დედლები იქნებიან შერჩეული. რამდენიმე წლის შემდეგ პირდაპირი შერჩევის შედეგად დედები თანდათან გაუმჯობესდებიან. ლათინურ ამერიკაში, სადაც გავრცელებულია აფრიკული ფუტკრები საუკეთესო შედეგი მიიღება აფრიკული ფუტკრის დედალი და იტალიური ფუტკრის მამლების შეჯვარების შედეგად. მოსავალი, ამ შემთხვევაში შეიღება 69 საათის შემდეგ ნაცვლად 72 საათისა ევროპული ფუტკრების შემთხვევაში. ყველა შემთხვევაში ფუტკრის ოჯახები უნდა იყოს ჯანრთელი, ისე რომ მათი დამუშავება უნდა მოხდეს ნინასწარ იმისათვის, რომ გავადიდოთ ჯამებში გადანერგილი ჭუპრების მიღების პროცენტი.

## ბარტყის კვება

ფუტკერის სადედე რძის გამომყოფი ჰიპოფარენგული სეპ-რეციის ჯირყვლების სტიმულირების მიზნით, მკვებავი ფუტკერები უნდა გამოვკვებოდ ადვილად მოსანელებელი, მასტიმულირებელი, უხვი და ყოველთვის მისაწვდომი საკვებით. ფუტკერის ოჯახის მომზადების მიზნით საჭიროა ერთ ოჯახში იყოს სულ მცირე 8 ცალი ბარტყიანი ჩარჩო ლანგსტროტის ტიპის სკისათვის ან 6-7 ბარტყიანი ჩარჩო დადანის ტიპის სკისათვის. ისინი უნდა იქნან სტიმულირებული დამატებითი საკვებით მეცაცრი რეჟიმის დაცვით 40% იანი შაქრის სიროფით ან თაფლით, ყოველ მეორე დღეს, მაგალითად 50 სანტილიტ-რი საკვები. თუ ფუტკერის ოჯახი რჩება არასაკმარისად განვითარებული ჩვენთვის სასურველი დროისათვის, კიდევ შეიძლება მას დაუმატოთ გამომავალ ბარტყიანი ჩარჩო. ოჯახს უნდა მივცეთ ლია ბარტყიანი ჩარჩო ყოველ მესამე დღეს იმისათვის რომ თავიდან ავიშოროთ ბარტყიანი უჯრების მიტოვება და მაშასადამე ბარტყის გაცივება.

იმ დროს როცა იწყება სადედე რძის მიღების ოპერაცია, სკის ახდისას მიღებული გაღიზიანება შეგვიძლია გავაკომპენსიროთ საკვების მიცემით, მივიყვანოთ ფუტკერის ოჯახი სანაყრე მდგომარეობამდე და ამის შემდეგ გავზარდოთ ტენიანობა სკაში, რომელიც აუცილებელია სადედების ასაშენებლად. საუკეთესო საკვებად ითვლება თაფლისა-გან დამზადებული სიროფი. ეს ბუნებრივი ნარევი იწვევს სადედე რძის სეკრეციისათვის საჭირო გაღიზიანებას, მაგრამ მას აქვს თავისი უარყოფითი თვისება: ის იწვევს თავდასხმების ნარმოშობას საფუტკერეში, რაც აძნელებს ნორმალურ მუშაობას. უფრო მეტიც ის შეიძლება გახდეს ისეთი დაავადების მიზეზი როგორიცაა სიღამპლე. M. BELIN-ის (1982) თანახმად ფხნილი შაქრის სიროფს უნდა მოვერიდოთ რადგან მისი კომპონენტებად დაშლის პროცესი იწვევს სადედე რძის გამომყოფი ჯირყვლების ატროფირებას. ისეთი ხელსაყრელი პირობების შემ-



დეგ როგორიცაა რაფსის ან ხეხილის ყვავილობა, ხშირად ბუნებაში დაბალია ცილების შემცველობა ყვავილის მტვერში და ამიტომ აუცილებელია ფუტკრის ხელოვნური გამოკვება. ეს შესაძლებელია და ხელ-საყრელი თუ დავამზადებთ ცილებით მდიდარი შემცველობის მქონე კანდის კოკრებს და განვალაგებთ ჩარჩოებზე, რაც შეიძლება ახლოს ლია ბარტყეთან. ეს დამატებითი საკვები ხშირად კეთდება გაყინული (-18°C) გაზაფხულის ყვავილის მტვერისაგან რომელსაც უმატებენ სოიას ფქვილს და ლუდის საფუარს. ასეთ ნარევს კარგად აურევენ და მოზილავენ თაფლში და ღებულობენ რბილ და მადის მომგვრელ პასტას. ერთერთი პოპულარული ასეთი პასტის რეცეპტი არის შემდეგი:

- \* 60% გაზაფხულის ყვავილის მტვერი
- \* 20% სოიას ცხიმგაცლილი (მაქს. 5-7%) ფქვილი
- \* 20% ლუდის საფუარი.

ყველაფერი ეს უნდა მოვზილოდ თაფლში ისე რომ მივიღოთ რბილი პასტა. ამ პასტის კოკრებს ფუტკრები ჩვეულებრივად ჭამენ დაბალი ღალიანობის დროს. იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ცილების დანაკარგი და სანთლისტამია ჩრჩილის განვითარება, სასურველია აღნიშნული საკვები მივცეთ მცირე დოზით დაახლოებით 300 გ თითოეულ ჯერზე. ყვავილის მტვერში არსებული ცილების შემცველობა შეიძლება იცვლებოდეს 5-დან 35%-მდე, შესაბამისად ფლორის სახეობის მიხედვით. ასე, რომ ყვავილის მტვერი უნდა შევარჩიოთ დამატებითი საკვებისათვის, ვიცით რა, როგორც წესი, გაზაფხულზე მოპოვებული ყვავილის მტვერი უფრო მდიდარია ცილებით. ყველაზე საუკეთესო ცილების შემცველი არის ჭეო ე. ი. ფიჭის უჯრედებში ჩატყეპნილი ყვავილის მტვერი. ეს, ფუტკრისაგან დამზადებული ყვავილის მტვერი ფიჭის უჯრედებში განიცდის ე. ნ. ლაქტო-ფერმენტაციის პროცესს: ის არის გარდაქმნილი და გამდიდრებული. ეს ჭეოიანი ჩარჩოები არიან აღებული ბუდის სკების განაპირა ადგილებიდან და არა რძის სანარმოებლად საჭირო სკებიდან. აუცილებელია შევარჩიოთ გაზაფხულის პერიოდი ყვავილის მტვერის მოსაგროვებლად. ერთადერთი გზა ამ პროდუქტის შენახვისა არის გაყინვა დაბალ ტემპერატურაზე ან მისი ჩაძირვა გაყინულ შაქარში ისე, რომ თავიდან ავიცდინოთ ფერმენტაცია. თუმცა ეს მეთოდი გამოსადეგია მცირე რაოდენობის მქონე სკების საფუტკრისათვის. დიდი მასშტაბის მქონე საფუტკრისათვის კანდს დამატებითი საკვებისათვის აკეთებს პროფესიონალი მეფუტკრე.

ცერტიფიცირებული ფინიშიორის დიაგრამა

- A: სექცია არ შეიცავს დედას
- B: სექცია, რომელიც შეიცავს დედას
- O: დედის სიმბოლო
- V: ცარიელი თამასებიანი ჩარჩო


- c: გადაბეჭდილ უჯრედებიანი ჩარჩო  
 p: ჭეოიანი ჩარჩო  
 l: ლია ბარტყიანი ჩარჩო

## მოწყობილობის მომზადება

ფუტკრის სადედე რძის სანარმოებელი მოწყობილებათა კაპიტალდაბანდება არის საკმაოდ მცირე, რაც უფრო მეტად მიმზიდველს ჰქმნის ამ პროდუქტის წარმოებას. ყოველი სკოლათვის მოითხოვება დედის გამომყოფი (განემანის) ბადე. სადედე რძის მისაღებად განკუთვნილი სკაორ განყოფილებად იყოფა განემანის ბადის საშუალებით. ერთერთი მათგანი შეიცავს ახალგაზრდა სელექციურ დედას, რომელიც უზრუნველყოფს ბარტყიანი უჯრედების არსებობას, ხოლო მეორე განყოფილება უდედოა, რომელშიდაც იდგმება სადედე ჯამებიანი ჩარჩო. განემანის ბადე შეიძლება განლაგებული იქნას ან ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად. ვერტიკალური სისტემა ან ვერტიკალური ფინიშიორი თავსებადია რასტანდარტულ მოწყობილებასთან ავლენს უპირატესობას იმითაც, რომ მასში კარგად ნანილდება სითბური რეჟიმი შედარებით ცივი რეგიონებისათვის.

თუმცა, ამ შემთხვევაში იქმნება უხერხულობა ლია ბარტყიანი ჩარჩოს ამოღების დროს ყოველ მექენიზე დღეს, რომელიც მოითხოვს ზედა მძიმე კორპუსის აღებას. მნარმოებლები, რომლებიც განუწყვეტლივ მუშაობენ რამდენიმე თვე არჩევენ ჰორიზონტალურ ფინიშიორს. ან ათ ჩარჩოიანი სტანდარტული სკა ან 12-15 ჩარჩოიანი კორპუსი, რომლებიც იძლევა საშუალებას სადედე რძესთან ერთად ვანარმოოთ თაფლის მიღებაც ამ კორპუსზე 10 ჩარჩოიანი საკუჭნაოს დადგმით (ფიგ. 3).

მრავალჯერადი გადადგილების გასაადვილებლად სასურველია უდედო განყოფილებაში დავტოვოთ ერთი ჩარჩოსათვის ცარიელი ადგილი. თაფლის სიუხვის პერიოდში სასურველია ეს განყოფილება გა-



ფიგ. 2.

ვავსოთ ჩარჩოებით იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ფუტკრების მიერ ზედმეტი ფიჭების აშენება ცარიელ განყოფილებაში.

## განემანის ბადე

უმჯობესია განემანის ბადე დამზადებული იყოს მეტალისაგან და იყოს რაც შეიძლება თხელი, რაღაც ის უფრო მეტ ადგილს დაუტოვებს ფუტკრებს ვიდრე პლასტმასის სქელი ბადე. არ არის აუცილებელი დავამზადოთ ხის ტიხარი, რომელსაც მცირე ადგილზე ამოკვეთილი ექნება ფანჯარა განემანის ბადის ჩასასმელად.

სანამ ფუტკრის დედა არ მოძრაობს უდედო განყოფილების ჩარჩოებზე ფუტკრები, ამ განყოფილებაში, ობლად გრძნობენ თავს და აღეძრებათ სურვილი, რომ მოუარონ ჩვენს მიერ ჩადგმულ ჭუპრიან სადედე დე ჯამებს დედის გამოყვანის მიზნით. თუმცა, ეს განყოფილება უნდა იყოს დედისათვის აბსოლუტურად გაუმტარი, წინააღმდეგ შემთხვევაში აშენებულ, წამოწყებულ სადედებს ფუტკრები ჩამოშლიან. ჩინელებს აქვთ ორი სმ სიგანის რეზინის ზოლები რომლებსაც ამაგრებენ განემანის ბადის ბოლოებში იმისათვის, რომ ფუტკრები ვერ გაძრენ ამ ბადესა და კორპუსის კედელს შორის. რეზინის ეს ზოლები იძლევა საშუალებას ვაფორმიროთ ნებისმიერი ზომის უდედო განყოფილება და ბუდე მათი განვითარების შესაბამისად, მოცემული მომენტისათვის.

რაც შეეხება სადედე ჯამებს ისინი პლასტმასისაა რაც მოხერხებულია და სასურველი იმის გამო, რომ ის იძლევა მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობას. შევნიშნოთ, რომ მუქი ფერის პლასტმასას აქვს გარკვეული უპირატესობა ფუტკრების მიერ სადედების მიღების პროცენტის გადიდების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მუქი ჯამის ფსკერზე უფრო კარგად ჩანს ჭუპრი. Chen-ის და სხვების მიხედვით (1983) საუკეთესო სადედე ჯამები არაა დამზადებული სანთლისაგან არამედ დამზადებულია პლასტმასისაგან, რომელთა დიამეტრი და სიღრმე 10 მმ-ია, რომლებიც იძლევა 11-20%-ით მეტ პროდუქციას. ძლიერი ოჯახი, რომელშიდაც სულ მცირე 7 ბარტყიანი ჩარჩოა უვლის 102 სადედე ჯამს. ჩვენ შეგვიძლია ჩავდგათ უფრო ცოტა ჯამები, მაგრამ როცა მათ თავებს მოვაჭრით, იმის გამო, რომ ისინი უფრო სავსე იქნებიან რძით, შეიძლება გავჭრათ ჭუპრი რის შედეგადაც დაბინძურდება რძე ჰემოლიმფით, რაც სახიფათოა მისი ვარგისიანობისათვის. სადედე ჯამები უნდა მიერამაგროთ ხის ან პლასტმასის თამასაზე. ასეთი თამასა ერთ ჩარჩოში ჩავამაგროთ 3 ან 4 იმის და მიხედვით თუ რამდენია მოცემული ოჯახისათვის სადედების მიღების მაქსიმალური შესაძლო

რაოდენობა. ახალი, ასეთი ჩარჩოს მიღების ხარისხი იზრდება თუ მას მოვათავსებთ წინასწარ შეგუებად მდგომარეობაში. ჩარჩო თავისი ჯამებით სიროფით დავასველოთ და მივცეთ ოჯახს გასაწმენდათ, ორი სამი დღის შემდეგ ფუტკრები მას გაანთავისუფლებენ ყოველგვარი უცხო სუნისაგან, რის შედეგადაც გაიზრდება სადედების მიღების ხარისხი. ჩვენი სადედე რძის მისაღები სკა უნდა იყოს აღჭურვილი საკვებურით, რომელსაც ექნება ორი განყოფილება, ერთი თხევადი საკვების- სიროფისათვის და მეორე ცილების შემცველი პასტისათვის. ჩვენ შეიძლება საკვებური გამოვიყენოთ სიროფისათვის და კანდი პირდაპირ ჩარჩოების თავზე მოვათავსოთ.


აფრიკულ ფუტკრის სკებშიც, რომელსაც კენიის სკები ენოდება, ახდენენ სადედე რძის მიღებას. ამ სკებს აქვს მეორე საფრენი სადაც ფუტკრები იძულებული არიან გაიარონ უდედო განყოფილებაში და იქ დატოვონ მოზიდული ყვავილის მტვერი. რადგან ამ ჯიშის (ადანსონის) დედები არიან შედარებით პატარა ამიტომ მათთვის ჩველებრივი განემანის ბადე, რომლის ხვრელის ზომა 4,2 მმ არ გამოდგება და ამიტომ ამზადებენ 4 მმ ხვრელის მქონე ბადეს.

მეფუტკრებს, რომელთაც აინტერესებთ ანარმოონ ცოტა სადედე რძე მხოლოდ თავიანთი საჭიროებისათვის, შეუძლიათ დააობლონ ფუტკრის ოჯახი იქედან დედის ამოყვანით. ოთხი ხუთი დღის შემდეგ უნდა ჩამოვშალოთ ჩამოშენებული სადედები და სამაგიეროდ ჩავდგათ, ზემოაღნერილი, სადედე ჯამებიანი ჩარჩო ახლად გადანერგილი ჭუპრებით. Van Toor R. F.-ის (1984) თანახმად პროდუქციის რაოდენობა იმდენივე მიიღება დაობლებულ ოჯახში რამდენიც, სპეციალურ სკაში დედიანი და უდედო განყოფილებით.

არგენტინაში, Fernandez P. M. (1900) გააუმჯობესა მოწყობილობა იმით, რომ შესაძლებელი ხდება მაქსიმალურად შეიზღუდოს სკის შესასვლელი. პატარა ფანჯარა, რომლის ფართობი რამდენიმე  $\text{სმ}^2$ -ია და გაკეთებულია სკის გვერდზე იძლევა ჯამებიანი თამასის შედგმის შესაძლებლობას.

## ჭუპრების გადანერგვა ანუ მყნობა

სადედე რძის ნარმოების ერთერთი ყველაზე შრომატევადი არის ახალგაზრდა ბარტყის გადანერგვა სადედე ჯამებში ანუ მყნობა. ვიცით რა, რომ ყოველი რძის მისაღებად განკუთვნილი ოჯახისათვის საჭიროა 100 ახალგაზრდა ჭუპრი ყოველ სამ დღეში, ნათელია, რამდენად ძნელი განსახორციელებელია ეს ოპერაცია. რაოდენობა დამოკიდებულია სკების რაოდენობაზე. საშუალოდ მჭიდროდ დასახლებული



ფიგ. 3.

ერთი ჩარჩო საკმარისია 15 თამასის მყნობისათვის. დედების გამოყვანისას ჩეენ ვარჩევთ რაც შეიძლება ახლად გამოჩეული ჭუპრს. რძის მიღების დროს კი პირიქით სრულიად შესაფერისია თუ გადავნერგვათ 48 სათის ნინ გამოჩეული ჭუპრს, რომელიც უფრო ადვილია გადასანერგად. 5-6 დღით ადრე გადანერგვისათვის საჭირო მომენტის მიმართ, ერთი ცარიელი და მუქ სანთლიანი ჩარჩო უნდა ჩავდგათ ნაყოფიერ დედიან ოჯახში. ამ სანთლის ოდნავი შეფერილობა იძლევა შესაძლებლობას კარგად დავინახოთ ჭუპრი უჯრედის ფსკერზე და ნაკლებად იღლება მეფუტკრის თვალები. ბარტყის გადანერგვის ნინ ღია, თხევადი საკვებში გახსნილი მცირე სადედე რძე იძლევა შესაძლებლობას გავზარდოთ ჭუპრების მიღების პროცენტი. ჭუპრის გადანერგვა უნდა ვანამოოთ ჩრდილში, დიდი ტენიანობის მქონე გარემოში (მინიმუმი 60%) იმისათვის რომ თავიდან ავიშოროთ ბარტყის გამოშრობა. იდეალური იქნებოდა, რომ გვექონდა პატარა ოთახი საფუტკრეში იმისათვის რომ არ დაგვჭირდეს ხშირი გადაადგილება. აზიელი მეფუტკრები იყენებენ სამუშაოს შესასრულენლად ავტომობილის ფურგუნს, რომელიც დაცულია თავდასხმების სანინააღმდეგო საშუალებით (ფიგ. 7). რასაკვირველია ახლადგადანერგილ ჯამებიანი ჩარჩოები მაშინვე უნდა ჩავდგათ სკაში ანდა დავაფაროდ სველი ტილო მათი გამოშრობის თავიდან ასაცილებლად. მყნობისათვის ანუ გადანერგვისათვის საუკეთესო მოწყობილობა არის ის, რომელიც თქვენთვის არის მოხერხებული. მრავალი სახის ასეთი მოწყობილობა შეიძლება შეგვხვდეს მსოფლიოში. ის შეიძლება იყოს ბატის ფრთიდან დაწყებული ველოსიპედის სპიცით დამთავრებული, რომლის ერთი ბოლო გაბრტყელებულია და ოდნავ მოღუნული, მაგრამ ბამბუკის პატარა ღარი არის სრულიად დამაკმაყოფილებელი ხელსაწყო. მნიშვნელოვანი აქ არის ის, რომ ამოვილოთ სადედე ბარტყი დაზიანების გარეშე და ზოგჯერ, მცირე რაოდენობის ნარმოებისათვის ამოვილოთ სადედე რძე. მაგალითისათვის ეს შესაძლებელია შევასრულოთ უბრალო მცირე ზომის სახატავი ფუნჯით. ჭუპრი კარგად შეიძლება დავინახოთ კარგად მომარჯვებული შუბლის

ნათურით, რომელსაც იყენებენ სტომატოლოგები ან ქირურგები (ფიგ. 8). თუ მხედველობა დაქვეითებულია ცივი სინათლის ნათურა შეიძლება გამოვიყენოთ ჭუპრის გადასანერგად. პროფესიონალი აზიელი მეფუტკრე- მყნობელები ასრულებენ 1400 ჭუპრის გადანერგვას საათში, მაგრამ აქედან ნახევარი არის საუკეთესო!

## სკის მოწყობა

### საწყისი მომსახურეობა

უდედო განყოფილება ა უნდა მომარაგდეს ორი ბარტყიანი ჩარჩო- თი უფრთკროდ, ერთი მაინც ჭეოიანი ჩარჩოთი და ერთი ცარიელი ჩარ- ჩოთი სადედე გადანერგილი ჯამებით, იმისდა მიხედვით თუ როგორი სახისაა სკა და საჭირო ცარიელი სივრცით. ეს უკანასკნელი საჭიროა ახალი სადედე ჯამებიანი ჩარჩოს ჩასადგმელად და ძველის ამოსაღე- ბად. ბარტყიანი ჩარჩოები საჭიროა იმისათვის, რომ მოვიზიდოთ ახალ- გაზრდა მომვლელი ფუტკარი დედიანი განყოფილებიდან. ისინი განე- მანის ბადეში გაივლიან და დაინყებენ ჩვენს მიერ ჩადგმული სადედეე- ბის მოვლასაც. ჭეოიანი ჩარჩო საჭიროა იმისათვის, რომ მკვებავი ფუტკარები მომარაგებულ იქნას, მათთვის აუცილებელი, ცილებით. ცარიელი ჩარჩო საჭიროა სადედეიანი ჯამების მისაცემად და აგრეთ- ვე საკებურისათვის ფუტკრების მიერ მოზიდული ყვავილის მტკერის ან ნექტარის შესანახად. ახალგაზრდა ფუტკრები გავლენ რა განემა- ნის ბადეში დაინყებენ ბარტყის მოვლას. ამ შემთხვევაში ფერომონე- ბით მომარაგება ხდება ბარტყიცით, რომელიც იზიდავს ფუტკარს. უნ- და შევეცადოთ, რომ არ შევარჩიოთ ძალიან ახალგაზრდა ბარტყიანი ჩარჩოები, იმისათვის, რომ ძირითადი რძე არ დაიხარჯოს მათ გამო- საკვებად, რაც შეამცირებდა სადედე რძის მოსავალს ჩვენს მიერ მი- ცემულ ჯამებში. სრულყოფილი ჩარჩო ამ მიზნისათვის არის ისეთი ჩარჩო რომლის ნახევარი დაფარულია გადაბეჭდილი ბარტყით ხოლო ნახევარი - 5 დღეზე მეტი ასაკის ბარტყით, რომელსაც უკვე აღარ ესა- ჭიროება სუთა სადედე რძე. 1 ან 2 დღეში ახლად დასახლებული სტარ- ტერისა, განემანის ბადით იზოლირებული ფუტკრები, თავს ობლად იგ- რძნობენ, დაინყებენ ზრუნვას, ჩვენს მიერ მიცემულ ჯამებს მიიღებენ სადედეებად და მათ რძით გამოკვებავენ. ახლად დამყნობილი სადედე ჯამებიანი ჩარჩოს მიცემასთან ერთად უნდა მივცეთ დამატებითი საკ- ვები. თუ ამინდი არახელსაყრელია მაშინ სირფით მარაგი უნდა გან- ვაახლოთ ყოველდღე. სადედეების მიღების პროცენტის გაუმჯობესე- ბის მიზნით პირველი მყნობის ჩატარების დროს, ყოველ ჯამში ვანვე- თებთ ხსნარს რომელიც შედგება ერთი წილი სადედე რძისაგან და ერ-

თი ნიღი წყლისაგან. მყნობის დაწყებამდე ჯამები უნდა გადმოვაბრუნოთ ვერტიკალურად ქვემოთ იმისათვის, რომ ხსნარის ზედმეტი ნანილი ჩამოვარდეს. ორმაგი მყნობის ტექნიკის გამოყენება 24 საათის შემდეგ ნარუმატებლობის შემთხვევაში, არახელსაყრელია (Van Toor 1994).

ჩარჩოს ჩადგმიდან სამი დღის შემდეგ სადედე რძე იქნება მაქსიმალური რაოდენობის, სადედები გადაბეჭდილი და ჩარჩო შეიძლება ამოვილოთ. მართლაც ამ მომენტისათვის მკვებავი ფუტკრები დებენ უფრო მეტ რძეს ვიდრე ჭუპრს შეუძლია შეჭამოს, და სამი დღის შემდეგ ჭუპრი უკვე არის მაქსიმალურად განვითარებული და ხარჯავს უფრო მეტს. ახალი დამყნობისას კი ჭუპრი გადმოგვაქვს სანამ არ გამოშრებარძის მცირე კვალი. რძის ეს მცირე რაოდენობა საკმარისია მიღების პროცესისათვის.

პროდუქციის მიღების მეორე ციკლის შემდეგ ე. ი. ყოველ 6 დღეში ბარტყიანი ჩარჩოების ფუტკრები გახდება უკვე საკმაოდ მოხუცი. დავფერთხავთ რა ორ ბარტყიან ჩარჩოს დელიანი ოჯახში, იმისათვის, რომ დედა არ გადაყვეს ამოვილებთ მათ და მივცემთ უდედო ოჯახს, რომლიდანაც ამოვილებთ ძველ ჩარჩოებს. აგრეთვე უნდა შემონმდეს ჭეოს არსებობა და, თუ საჭიროა უნდა შევცვალოთ მათი შესაბამისი ჩარჩოებიც. A განყოფილების ყველა ჩარჩოები გულმოდგინეთ უნდა დავამთვალიეროთ და უნდა ჩამოვშალოთ, თუ მათზე შევნიშნავთ, ბუნებრივ ჩამოშენებულ სადედეებს. ჩარჩოების განლაგების სიზუსტეს უნ-

## კონსპექტი კალენდარი

დღე	ოპერაციები
-15	სამამლე ოჯახების შერჩევა
-14	გამალიზიანებელი თხევადი საკებების და ცილოვანი კანდის მიცემა ოჯახის ფორმირება (მინ. 8 ბარტყიანი ჩარჩო)
-2	დაობლებული განყოფილების დასახლება ფუტკრებით სადედე ჯამების შეგუება
0	ჭუპრების გადანერგვა ანუ მყნობა
1	კვება
2	კვება
3	სადედე რძის ამოღება და მყნობა
4	კვება
5	კვება
6	სადედე რძის ამოღება, მყნობა, 2 ბარტყიანი ჩარჩოს შეცვლა

და მიექციოს ყურადღება ბარტყიან ბუდეში, (იხ. ფიგ. 3-ში ნევეტილი ხაზი) იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ყოველგვარი გაჭრა ბარტყიანი ფიჭისა უდედო ოჯახში მისი გადატანის დროს.

## სადედე რძის ამოღება და მისი შენახვა

სადედე რძის მოპოვებისას მოითხოვება უმაღლესი ჰიგიენური სისუფთავის დაცვა. მოსავლის აღება ხდება ყოველი სამი დღის შემდეგ სუფთა და განივებად ოთახში. ზოგიერთ შემთხვევაში როცა საჭიროა თავისუფალი დრო შაბათ საღამოს და კვირას, ზოგიერთი კოლეგა მოსავლის აღებას ახდენს 3 დღის და ნახევრის შემდეგ. ამ შემთხვევაში დასამყნობი ჭუპრი უნდა ავიღოთ უფრო ახალგაზრდა, კერძოდ, მაქ-სიმუმი 24 საათის ასაკისა.

პირველი ოპერაცია არის ფუტკრების მიერ, პლასტმასის ჯამებზე აშენებული ნაწილების მოკვეთა კარგად მჭრელი დანით ან სხვა რომელიმე საშუალებით. ჩვეულებრივად, როცა დრო არის შესაბამისი და დამყნობილი ჭუპრი არის შესაბამისი ასაკის, ჯამში მოგროვილი რძის დონე იქნება ისეთი რომ ის, ჭუპრთან ერთად იქნება ზუსტად პლასტმასის ჯამის პირამდე. ამის გამო, დანის პირი შეგვიძლია გავატაროთ ზუსტად პლასტმასის ჯამის ბოლოზე. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დანამ არ გაკვეთოს ჭუპრი, ნინააღმდეგ შემთხვევაში გამონაურნი პომოლიმფა დააბინძურებს რძეს, რის გამოც ის უვარვისი გახდება. ჩინელებმა გამოიგონეს ორსართულიანი სადედე ჯამი, რომელიც იძლევა საშუალებას თავიდან ავიშოროთ ეს სახიფათო ოპერაცია. ჯამის ბოლოზე ჩამოცმული რძილი სალტე შეიძლება ადვილად მოვხსნათ გადაბეჭდილ სანთლის ქუდთან ერთად. როცა სანთელს გავადნობთ ეს მცირე სალტე ისევ შეიძლება გამოვიყენოთ და ჯამებიანი თამასა ისევ მოვამზადოთ ხელმეორედ მყნობისათვის. შემდეგ გადაიყვანება ჭუპრი ნევეტიანი საგნით ან გადასაყავანი ხელსანყოთი ან პინცეტით. სადედე რძე შეიძლება უბრალოდ, ამოვიღოთ პატარა ღარით, მცირე ნარმოების შემთხვევაში, ან გადაკეთებული, ძროხის საწველი მოწყობილობით, როცა ვანარმოებთ დიდი რაოდენობით რძეს. აზიაში, რძის ამოსაღებად იყენებენ ან სახატავ ფუნჯს ან ბაბბუკისაგან დამზადებულ ღარს რომლის ზომა და ფორმა ისეთია, რომ კარგად შეიძლება ამოვიღოთ რძე სადედე ჯამის ფსკერიდან. სადედე რძეს ვფილტრავთ ძალიან ნმინდა საცერით ( $400$  ნახვრეტი/მმ<sup>2</sup>), იმისათვის, რომ გავანთავისუფლოთ სანთლის ნამცეცებისაგან.

ზომიერი კლიმატისათვის, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სადედე რძის პროდუქტიულობა იქნება  $500$  დან  $700$ -მდე გ/ფუტკრის ოჯახი/სეზონი, ეს არის დაახლოებით  $4$ -დან  $5$  თვემდე შუალედში. უფრო

უკეთესი სუბტროპიკული კლიმატური პირობებისათვის პროდუქტი-ულობა აღნევს 3-დან 4 კგ/ფუტკურის ოჯახი/9 თვის პერიოდში. სადე-დე რძე მაღალფუჭებადია უანგბადთან შეხებისას და სინათლის სხივების ზემოქმედებით, ამის გამო მას აღებისთანავე ინახავენ სიბნელეში და მაქსიმუმ  $3^{\circ}\text{C}$ -ზე. როცა ის სუფთა მდგომარეობაშია მაშინ ის ინახება მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში. ამის გამო მას ურევენ თაფ-ლში შემდეგი შეფარდებით 3გ/კგ, რაც იძლევა შესაძლებლობას შევი-ნახოთ ის მაცივარში. 4-დან 5-დღეშე ასაკის დედის ჭუპრისაგან აზი-ის ქვეყნებში ამზადებენ ტრადიციულ კერძს, რომელიც დიდი დაფასე-ბით სარგებლობს ამ ქვეყნებში. ზოგჯერ მას გაყინვით აშრობენ და გა-მოიყენება როგორც საუკეთესო კომპონენტი სხვა ძვირფასი პროდუქ-ტებისათვის.

კორეს ფირმას YASAENG-ს აქვს სადედე რძის შენახვის ორიგინა-ლური მეთოდი. ტექნიკა გვაძლევს შესაძლებლობას გაყიდოთ უშუა-ლოდ სადედე ადრეულ სტადიაში თავისი რძით, ჭუპრით და სანთლით, რომელიც ჩაუტილია დამცავი პლასტმასის ჯამით რძის აღებისას. პროდუქტი ადვილი დასამზადებელია რადგან რძის ამოღება და ჭუპ-რის ამოგდება საჭირო აღარაა. ეს პლასტმასის ჯამი ჩვეულებრივად იყიდება მისი ღრმად გაყინვის შემდეგ.

## დასკვნა

მაშასადამე, წარმატება სადედე რძის წარმოების დროს დამოკიდე-ბულია რამდენიმე ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ფაქტორზე როგო-რიცა: დამყნობილი (გადანერგილი) ჭუპრის ასაკზე, უჯრედების რა-ოდენობა და შემცველობაზე, ჭეოს რაოდენობაზე და მკვებავი ფუტკ-რების რაოდენობაზე, და ამის გარდა სკაში შემავალი ფუტკრების გე-ნეტიცურ მახასიათებლებზე.

Van Toor-ის და Littlejohn-ის (1994) პრომების მიხედვით სადედე რძის წარმოებამ შეუძლია შეამციროს თაფლის პროდუქტიულობა 51%-ით.

აზია ხარჯავს, მსოფლიოში აღებული სადედე რძის 90%-ს. იაპო-ნია, გარდა იმისა, რომ თვითონ ანარმოებს სადედე რძეს ჩინეთიდან და ტაივანიდან დამატებით ყიდულობს 400 ტონა ამ ძვირფას პრო-დუქტს. ჩინეთი და ტაივანი კი ანარმოებენ შესაბამისად 600 ტონას/ნელინადში და 350 ტონას/ნელინადში.

სადედე რძის ანალიზის თანამედროვე მეთოდები გვაძლევენ შესაძ-ლებლობას მოვახდინოთ მისი წარმოშობის ნყაროების იდენტიფიკა-ცია (Loubier, Y., Lheritier, J., 1989). არსებული ყვავილის მტვერის ანალი-ზი გვაძლევს შესაძლებლობას გამოვიკვლიოთ მისი წარმოშობის ნყა-რო უმაღლესი სიზუსტით.

## პიგჭოობრავია

- ADAM (frère), 1000. - A la recherche des meilleures races d'abeilles, Le Courrier du livre Ed.
- ALLEY H., 1883. - The Beekeepers handy book, or twenty-two years experiences in queen rearing, 184 pp.
- ANDERSON E.J., 1955 - A two queen system in one hive body. Am. Bee. J. 95(8), 310-312.
- ARNOLD G., GUERNERY Y in ANERCEA 1994
- ARNOLD G., QUENET B., CORNUET J.M., MASSON C., DE SCHEPPER B., ESTOUP A., GASPI P., 1993. - Kin recognition in Honeybees: Genetic basis of cuticular hydrocarbon production in natural conditions, Nature, 379, 498.
- BELIN H., 1984 - Bull. int. ANERCEA.
- BENTLEY R., 1960. - Increase with queen rearing. Am. Bee. J.. 100 (5), 190-191.
- BILASH G.D., 1962. - Conditions of queen rearing and the inheritance of characters in bees, Pehelovodstvo 39 (4), 9-11.
- BOTTCHER F.K., HIRSCHELDER H., WEISS K., 1967. - Die Tätigkeit der Bayerischen Landesanstalt für Bienenzucht in Erlangen. Imkerfreund , 22, 69-77.
- BRUNEAU E., M.R. GUILLEVIC, P. VIENNE, G. GREENLEAF, J.
- ATKINSON, Mr BIDAULT, Dr VESELY, 1991. - Dossier "La Sélection" , Cahier du C.A.R.I. , 28 (1 ), 5-22.
- COOK V.A., 1963. -Using a bee colony for queen cell raising without imsairing honey production. N.Z.J.I. Agric , 107 (4).
- CORNUET J.M., 1002. -Plan de sélection simplifié pour l'amélioration de la production de miel. Bull. Tech. Apic, 29 , 8 (1), 13-18.
- DAVIS J.L., 1874. -Davis transposition process. Glean. Bee. Cult. 2, 107.
- DIETZ AT., WILBANKS T W, 1983 - Investigation on long-term queen storage in a confined system. Apiacta, 28 (3), 67-70.
- DOOLITTLE G.M, 1882. - How I rear my queens Am. Bee J. 18 (29), 454-455.
- DOOLITTLE G.M., 1915. - Scientific queen rearing Am Bee J .Hamilton
- FRESNAYE J., 1975. - Les méthodes d'élevage et la qualité des reines obtenues Bul. Tech. Apic. 2(2), 15-30.
- FRESNAYE J., 1981. - Biométrie de l'abeille OPIDA ed, Echauffour.
- FRESNAYE J., JÉANNE F., 1976 - Techniques d'élevage des reines. Le greffage Bug. Tech Apic. 3(1), 45-46.
- GIOVENAZZO P., 1992 - Stockage et hivernage des reines, FT 21 14, Bull

- Tech Apic., 19 (3-4), 139-144.
- HACCOUR P., 1961, La Belgique Apicole 25 (1-2), 13-18
- HUBERT F., 1814. - New observations upon Bees. Am. Bee. J., Hamilton, III, 1926.
- JÉANNE F., 1975. - Les stations de fécondation, F.T 2810., Bull. Tech. Apic., 2 (2), 35-36.
- JÉANNE F., 1991. - Technique d'élevage des reines, FT 21 10 , Bull Tech. Apic., 18 (2), 109-116.
- JÉANNE F., 1995 - Dossier de l'OPIDA. Le Cheptel apicole en France - Bull Tech. Apic., 22(2-3), 63-90.
- JEAN-PROST P., 1979 - L'apiculture J.B. Baillière ed., Paris.
- JOHANSSON T.SK. and MP., 1978. - Some important operations in bee management I.B.R.A.
- JORDAN R., 1953 - Zwei Koniginnen-Zuchtmethoden in wort und Bild.
- KEFUSS J., MOULIS B., 1989. - L'insémination artificielle agencement des postes en laboratoire, Guide pratique de l'Apiculture, FT. 20340, 170-178, Bull Tech Apic, 16 (2), 209-216
- KELLEY W.T., 1938. - How to grow queens for 15 cents each. Published by the Walter T. Kelley Co., 20 pp.
- KURENNOI N.M., 1953. - When are the drones sexually mature ?  
Ptchelovodstvo, 11,28-32.
- LAIDLAW H.H.Jr, ECKERT J.E. 1950. - Queen rearing Hamilton, III, Dadant and sons ed, Inc Hamilton, IL.
- LAIDLAW H.H.Jr, 1977. - Instrumental insemination of honey bee queen Dadant and Sons ed, Inc Hamilton, IL.
- LANGSTROTH L.L., 1853. - Langstroth on the hive and the honey-bee, a beekeepers' manual Northampton, Hopkins, Bridgman and co.
- LARCH E.C., 1876. - Grafting queen cells Gl. Bee Cuit. 4(3):48.
- LIU YING-SHIN, JAY S.C., 1975. - Field studies of queen honey bees reared by small numbers of caged worker bees. Can. Ent. 107. 705-709.
- LOUVEAUX J., 1973. - Du côté des chercheurs: A propos de la production du couvain de males. Bull. Tech. Apic. Andia 1 (1) 15-16.
- MACKENSEN O., 1947. - Effect of carbon dioxide on initial oviposition of artificially inséminated and virgin queens. Jour. Econ. Ent. 40(3):344-9.
- MILLER C.C., 1914. - Failure in rearing queens in upper stories. Glean. Bee.Cult. 42(19):775, 43(3):35.
- MONTAGNER H., 1962. - Influence de la technique de double greffage sur le développement des reines. Insectes sociaux 9(1):91-99.
- MOULIS B., KEFUS (J.), 1986. - Agencement des postes en laboratoire. Bull. Tech. Apic. 16(2), 68, 209.

- OROSI-PAL Z., 1952. - Kisérletek az anyaneuclés korébol. Kulatointéz. Euk. Méhészeti, Godollo (Hongrie).
- PERRET-MAISONNEUVE A., 1924. - Practical queen rearing. Bee World 6(1), 1-2.
- PERRET-MAISONNEUVE A., 1933. - L'apiculture intensive et l'élevage des reines. Presses Universitaires de France ed., Paris.
- PEYVEL Ch., 1994 - Biologie de l'abeille. L'Espèce *Apis mellifera* L., les grandes races géographiques, F.T. 11 20, Guide Pratique de l'apiculture 29-32F, Bull. Tech. Apic., 21(3), 129-138.
- PEYVEL Ch., 1998 - Paquets d'abeilles: Intérêt et utilisation - Un dossier de l'O.P.I.D.A., Bull. Tech. Apic., 25 (4), 155-166.
- RAUCHFUSS F.G., 1921. - Swarm control Glean. Bee. Cult. 49 (5) 266-267, 275.
- RICE N.; Queens'Land 1995
- ROBERTS W.C., STANGER W., 1969. -Survey of package bee and queen industry. Am.Bee. J. 109(1), 8-11.
- ROOT E.T. 1900. - Editorial, Glean. Bee. Cult. 28 (17), 694-695.
- ROSENTHAL C., 1989. - Etude économique de différentes combinaisons hybrides d'abeilles italiennes et caucasiennes. Bull. Tech. Apic., 16 (1), 21-28
- ROTHENBUHLER W.C., 1960. - A technique for studying genetics of colony behavior in honey bees. Am. Bee J., 100,176
- RUSSIER N., 1986. - Comparaison de la production de miel de l'abeille noire et de quelques hybrides interraciaux dans les Pyrénées. D.E.A. Station d'Apidologie INRA-Montfavet-Avignon
- RUTTNER F., 1976. - Insémination artificielle de la reine d'abeilles. Apimondia ed., Bucarest.
- RUTTNER F., 1988. - Biogeography and taxonomy of honeybees, 284 pp. 161 fig. Springer Verlag, Berlin, Heidelberg, New-York, London, Paris Tkio.
- SCHAEFFERHANS F., 1987 - Instrumentelle Besamung der bienenkonigen-Ein Beitrag zur Verbesserung der Technik. Vortrag und Demonstration auf dem Apimondia-Kongress in Warschau (Aug.1987).
- SCHLEY P., 1987. - Einführung in die Technik der instrumentellen Besamung von Bienenkoniginnen, Giessen, 2 erweiterte Auflage.
- SCHAEFER C.W. et FARRAR C.L., 1941. - The use of pollen traps and pollen supplements in developing honey bee colonies. Publ. U.S.D.A. E. 531, rev.1946.
- SMITH J., 1933. - Rearing your own queens. Am Bee J., 73 (3), 93-94.
- SMITH M.V, 1959. - Queen differentiation and the biological testing of royal jelly. N.Y. (Cornell) Agric. Exp. Sta. Mem.356, 56 pp.

- SNELGROVE L.E., 1949. - Queen rearing. Bleadon: I. Snelgrove.
- SZABO T.I., 1978. - Queen introduction in push-cages and mailing cages. J.apic. Res. 17 (1), 41-43.
- TABER S., 1961. - Forceps design for transferring honey-bee eggs. J. econ. Ent. 54 (2), 247-250.
- TABER S. III, BLUM M.S., 1960. - Preservation of honey bee semen. Science 131, (3415), 1734-5.
- TABER S., 1973. -Drones, their value to you. Amer. Bee. J., 113:302, 304.
- TABER S., 1987. - Breeding super bees. The A.I. Root CO. ed., Medina, OH.
- VOLOSEVICH A.P, 1954. - An evaluation of queen-rearing methods Pchelovodstvo (8), 28-31.
- WOYKE J., 1979. - Effects of the access of Worker honeybees to the queen on the results of instrumental insemination. J. apic. Res. 18(2), 136-143.

### მისამართები:

ANERCEA: Association nationale des éleveurs de reines et des centres d'élevage apicole. Siège social: Maison des éleveurs, 149 rue de Bercy, F 75570 PARIS Cédex 12, tel.: 0140045005

APIMEDIA (gestion du serveur Minitel 36 15 APIMEDIA) BP 22, F 74371 PRINGY

Cédex, tel/Fax: 04 38 59 56 20

APISERVICES. "Le Terrier" F 24420 COULAURES - tel.: 05 53 05 91 13 - Fax:05 53 05 44 57.

FERT Gilles (Auteur du présent ouvrage), apiculteur-éleveur, F 64300 ARGAGNON

tel.:05 59 67 68 55 -Fax: 05 59 67 69 90 - E-MAIL: Gilles.Fert@wanadoo.fr Web [www.apiculture.com/fert/](http://www.apiculture.com/fert/)

C.A.R.I: Centre apicole de recherches et d'information, 4 Place Croix du Sud, 8-1348 LOUVAIN-LA-NEUVE, tel.: 00 (32) 10 47 34 16 - Fax: 00 (32) 10 47 34 90

FNOSAD - Fédération nationale des organisations sanitaires apicoles départementales. Siège social: 41, rue Pernety, F 75014 PARIS. tel.: 01 45 42 29 48

IBRA - International bee research association, 18 North Road, CARDIFF GB CF13 DY-

tel.: -00(44) 1222372409 - Fax:00(44) 1222665522

OPIDA- Centre apicole, F 61370 ÉCHAUFFOUR -tel.: 02 33 34 0580 -Fax:02 33 34 46 34.

04/302



ISBN 99928-898-2-9

A standard linear barcode is positioned vertically on the left side of the page. It corresponds to the ISBN number 99928-898-2-9.

9 789992 889824